

ემომალი სამუდამოდ
A2



პერესტროიკა, ახლა უკვე წებოს არომატით
A6



ერთად და მარტო
A8


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი    სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2006 წელი. №248 (1400)    ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**



საქართველოს გენერალური პროკურატურის ცხელი ხაზის ნომერი

40 52 22



თიბისი-ფოსტა

**გაქვთ სურვილი ისარგებლოთ საბანკო მომსახურებით, მაგრამ არ გაქვთ ბანკთან ურთიერთობის გამოცდილება?**

**გაინტერესებთ საბანკო სფეროში მომხდარი სიახლეები და ცვლილებები?**

**გინდათ პირადად გაესაუბროთ საქართველოს წამყვანი ბანკის ექსპერტებს?**

გამოაგზავნეთ შეკითხვები გაზეთ "24 საათში" (გამრეკელის №51. ტელ: 31-93-90; 31-93-91; 31-93-86) და სულ მალე, ყოველ პარასკევს რუბრიკაში "თიბისი-ფოსტა" თქვენს კითხვებს უპასუხებენ საბანკო საქმის ექსპერტები.


## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

**ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.**

*მისამართი:*
*თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51,*
*"24 საათის" რედაქცია.*

## ამინდი

| | 7/11 | 8/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 14 | 13 |
| ბათუმი | 15 | 10 |
| სოხუმი | 8 | 10 |
| დმანისი | 8 | 0 |
| გორი | 9 | 5 |
| ონი | 5 | 1 |
| ზუგდიდი | 12 | 12 |
| ახმეტა | 15 | 12 |
| გაგრა | 6 | 9 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7355 |
| ევრო | 2.2041 |
| გირვანქა სტერლ. | 3.2940 |
| რუბლი | 0.0650 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| რევიუ | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სპორტი | A 7 |
| რევიუ | A 8 |


# უსაგნო დავა

## რა სარგებლობა მოაქვს დსთ-ში ყოფნა-არყოფნას

ეკა კვესიტაძე

ოპოზიცია ჯიუტად და უკვე მერამდენედ ითხოვს საქართველოს დსთ-დან გამოსვლას. ხელისუფლება კი ასევე ჯიუტად უარს აცხადებს და არც აკონკრეტებს იმ არგუმენტებს, რის გამოც საქართველოს ამ მკვდარი და სრულიად უვარგისი ორგანიზაციიდან გამოსვლა არ შეუძლია. უმრავლესობის მსგავსად მჭრელი არგუმენტები არც ოპოზიციას აქვს - ვერც ის აზუსტებს, თუ რატომ არის დღეს ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დსთ-ს დატოვება.

შთაბეჭდილება რჩება, რომ დსთ-ს თემა პოლიტიკურ დებატებში მაშინ ამოტივტივდება, როცა ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის დისკუსიის გასაგრძელებლად სხვა თემების მოფიქრება ჭირს. ოპოზიცია სრულიად გულგრილად შეხვდა რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს და სამშვიდობოების გაყვანასთან დაკავშირებულ დადგენილებას, სამაგიეროდ დსთ-დან გამოსვლას პერიოდულად სრულიად არაადეკვატური დაჟინებით ითხოვს.

დღეს თუ დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობას დავტოვებთ, არაფერი შეიცვლება, ისევე როგორც არაფერი შეიცვლება, თუ იქ დავრჩებით. რადგან ამ ორგანიზაციაში ყოფნა-არყოფნა ერთიდაიგივეა და ის არსებით და პრინციპულ ცვლილებებს საქართველოსთვის არ მოიტანს.

საქართველოს ხელისუფლებას შეეძლო დსთ-დან გამოსვლის საკითხი ადრე დაეყენებინა და არგუმენტი, რომ ამით რუსეთის გაღიზიანება არ სურდა, საკმაოდ უსაფუძვლოა. კრემლის გასაღიზიანებლად რუსი ოფიცრების დაჭერა ბევრად უფრო "ეფექტური" სვლა იყო. ხოლო დსთ-ში ყოფნის მთავარი მიზეზი - რუსეთთან უვიზო მიმოსვლა და ვაჭრობაზე დაწესებული შეღავათები - დღეს უკვე აღარ არსებობს, რადგან აღარ არსებობს არანაირი ტიპის ურთიერთობა თავად რუსეთთან.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სერიოზული ევროპელი მოკავშირე

დიმიტრი ავალიანი

*პოლონეთი ევროკავშირში საქართველოს ყველაზე დიდი, პრინციპული და თანმიმდევრული მოკავშირეა. რუსეთთან ურთიერთობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ამის გამო საქართველოს ღია მხარდაჭერაზე პოლონეთი უარს არ იტყვის, - ეს მიდგომა პოლონეთის პოლიტიკას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების პოზიციისგან განასხვავებს. სწრაფი განვითარების გზაზე დამდგარ 40-მილიონიან ქვეყანას საქართველოსადმი პოლიტიკური, ეკონომიკური ინტერესი და უბრალოდ სიმპათია ამოძრავებს. ყოველ შემთხვევაში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველი ჟურნალისტების მოწვევა არსებული პოლიტიკური ვითარების გამო ჩვენი ქვეყნისადმი გაზრდილი ინტერესით ახსნა.*



### ლავირების გარეშე

საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი ბარბარა ტუგე-ერეჩინსკა, როგორც თავად აცხადებს, ქართულ ღვინოს მიირთმევს და საქართველოს პოლონეთის ბაზარზე ღვინისა და ბორჯომის შეტანაში ყოველმხრივ მხარდაჭერას ჰპირდება. დღესდღეობით კი ქართული ღვინის შეძენა ვარშავის მხოლოდ რამდენიმე სავაჭრო ცენტრში შეიძლება. ის, რაც ჩვეულებრივ მაღაზიებში ქართული სავაჭრო ნიშნებით იყიდება, არც ქართულია და, ხშირ შემთხვევაში, არც ღვინოა.

ბარბარა ტუგე-ერეჩინსკას განცხადებით, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტში პოლონეთი საქართველოს ცალსახა მხარდაჭერას უცხადებს.

**"პოლონეთი უკმაყოფილებას გამოხატავს რუსეთის მიერ საქართველოსა და მისი მოქალაქეების მიმართ განხორციელებული ქმედებების გამო. ეს არ არის ჯაშუშების დაკავების ადეკვატური რეაქცია. ეს უფრო მეტად რიგითი ქართველების უფლებებს ეხება, ვისაც სამშობლოსთან კავშირი შეეზღუდა,"** - აცხადებს სახელმწიფო მდივანი. მისი თქმით, - **"მიგვაჩნია, რომ კონფლიქტი მშვიდობიანად უნდა გადაწყდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პირობებში."**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ამერიკის შეერთებული შტატები არჩევანის წინაშე

დიანა ჩაჩუა
*ნიუ იორკიდან*

*დღეს ამერიკის შეერთებული შტატები არჩევანს გააკეთებს. ამერიკელები საარჩევნო უბნებზე მივლენ, რათა მომდევნო ორი წლის განმავლობაში კონგრესის წარმომადგენელთა პალატაში და სენატში სასურველი კანდიდატები იხილონ. მაშ ასე, "თამაშდება" წარმომადგენელთა პალატის 435-ივე და სენატის მესამედი ადგილები. უმრავლესობაში მოსასვლელად დემოკრატებმა რესპუბლიკელებს პალატაში 15, ხოლო სენატში 6 ადგილი უნდა "აალონ".*

გაგრძელება A2 გვერდზე



*აშშ-ში ერთიანი საარჩევნო სისტემა არ არსებობს.*

# რუსეთი სომხეთის ენერგეტიკულ სისტემაზე კონტროლს აძლიერებს

ვლადიმირ სოკორი

კრემლში რობერტ კოჩარიანის უკანასკნელი სამუშაო ვიზიტისას მიღებულმა გადაწყვეტილებებმა კიდევ უფრო განამტკიცა რუსეთის კონტროლი სომხეთის გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების სისტემებზე. ამ შეთანხმებებით, გაზპრომი არაოფიციალურად ხელში იგდებს ირან-სომხეთის გაზსადენს, მიუხედავად იმისა, რომ ადრე მიღწეული ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე თეირანი და ერევანი უკვე თითქმის ასრულებენ გაზსადენის მშენებლობას. უფრო მეტიც, გაზპრომმა, 119 მლნ დოლარის ღირებულების აქციების დამატებით შეძენაზე თანხმობით, გაზარდა თავისი წილი რუსულ-სომხურ კომპანია "არმროსგაზ"-ში და ახლა აქციების 45 პროცენტის ნაცვლად, 58 პროცენტს აკონტროლებს. ეს თანხა განკუთვნილია ირან-სომხეთის გაზსადენისა და "რაზდანის" ელექტროსადგურის მეხუთე ენერგობლოკის (რაზდან-5 ქვეყანაში წამყვანი ენერგოგენერატორია) "არმროსგაზ"-ის მიერ შესაძენად. სომხეთის წილი "არმროსგაზში", შესაბამისად, 45 პროცენტიდან 32-მდე დავიდა. აქციების დარჩენილ ათ პროცენტს წარსულში "გაზპრომის" შვილობილი "იტერა" აკონტროლებს.

სომხეთის ასეთ "დანებებას", როგორც რუსეთიდან სომხეთისათვის იაფად გაზის მიწოდების შეთანხმების ნაწილს, საფუძველი მიმდინარე წლის მარტ-აპრილში ჩაეყარა. აპრილში ხელმოწერილ გაზის მიწოდების შეთანხმებაში, "გაზპრომმა" გაზის ფასი სომხეთისთვის ტრადიციული "ძმური" 54 აშშ დოლარიდან, მაინც "ძმურ", მაგრამ უფრო მაღალ ფასამდე - 110 აშშ დოლარამდე გაზარდა. თუმცა, ეს ფასიც მხოლოდ 2009 წლის 1 იანვრამდე იარსებებს. ამ მოკლევადიანი "დათმობის" სანაცვლოდ, როგორც ჩანს, სომხეთი დათანხმდა რუსეთის ინტერესებში სომხეთის ენერგოსისტემის გრძელვადიან გადასვლას.

მიმდინარე წლის სექტემბერში, რუსეთის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფმა "ინტერ-ეეეს"-მა ("რაოეეეს"-ის შვილობილი კომპანია) დაასრულა სომხეთის ელექტროგადამცემი სისტემების შესყიდვა. ამ გადამცემი ქსელების გარდა, "რაოეეეს"-ი ფლობს და მართავს სომხეთის ელექტროგენერაციის საშუალებების დაახლოებით 80 პროცენტს. გარდა ამისა, იგი ფინანსურად მართავს სომხეთის ატომურ ელექტროსადგურსაც.

გაგრძელება A3 გვერდზე

# უმრავლესობა დათმობაზე არ მიდის

*საპარლამენტო უმცირესობის შექმნა კვლავ საეჭვოა. ყოველ შემთხვევაში, მოლაპარაკებებს უმრავლესობასა და ფრაქცია "მრეწველებს" შორის რაიმე კონკრეტული შედეგი ჯერ არ მოუტანია. იმის მიუხედავად, რომ თავად ნინო ბურჯანაძე არ ეწინააღმდეგება პარლამენტის რეგლამენტში "მრეწველებისთვის" მისაღები ცვლილებების შესვლას, უმრავლესობის ნაწილი მაინც აცხადებს, რომ ოპოზიციას ხელოვნურად სასათბურე პირობები არ უნდა შეექმნას და დღეს პარლამენტში მათთვის პოსტების დარიგებაზე გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებია მოსაგვარებელი.*

თამარ ასათიანი

**"უმცირესობა დღეს მოქმედი კანონის ფარგლებში უნდა შეიქმნას,"** - ეს უმრავლესობის ნაწილის უცვლელი პოზიციაა. გუშინ ეს ფრაზა კიდევ ერთხელ გაიმეორეს უმრავლესობის წარმომადგენლებმა გიგა ბოკერიამ და ნიკა გვარამიამ.

ამის მიუხედავად, უმცირესობის შექმნის იდეის ავტორი ზურაბ ტყემალაძე მაინც ცდილობს, მხარდაჭერა მოიპოვოს უმრავლესობის მეორე ნაწილისგან, პირველ რიგში კი, პარლამენტის თავმჯდომარისაგან. როგორც უკვე ვთქვით, ამ თემის "გააქტუალურება" სწორედ მისი დამსახურებაა. სხვა ოპოზიციური ფრაქციები უმცირესობის შექმნაზე თითქმის არ საუბრობენ.

ზურაბ ტყემალაძე კი კვლავ აქტიურობს. იგი მიიჩნევს, რომ მიზნის მისაღწევად საჭიროა პარლამენტის რეგლამენტში შევიდეს ცვლილება, რომლის თანახმადაც, უმცირესობის შექმნა შეეძლება პარტიას ან ბლოკს, რომელმაც საპარლამენტო არჩევნებში მეორე ადგილი მოიპოვა (უმცირესობის შექმნის სწორედ ასეთ მოდელს ითვალისწინებდა პარლამენტის ძველი რეგლამენტი. თუმცა მოგვიანებით მასში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმადაც, უმცირესობის შექმნა შეუძლიათ იმ ფრაქციებსა და დამოუკიდებელ დეპუტატთა ნახევარზე მეტს, რომლებიც უმრავლესობაში არ არიან გაწევრიანებულები). ახლა უმრავლესობამ თავად უნდა გადაწყვიტოს, ულირს თუ არა მას დათმობაზე წასვლა.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "კანონიერმა ქურდმა" სასამართლოს ჩვენება მისცა

*საქალაქო სასამართლოში გრძელდება 27 მარტს თბილისის მეხუთე საპყრობილეში მომხდარი ბუნტის ორგანიზებასა და "კანონიერ ქურდობაში" ბრალდებულის ტარიელ ფოცხვერიას, მეტსახელად "ტარასას", საქმის განხილვა.*

გუშინ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე ე.წ. კანონიერმა ქურდმა დუმილის უფლება დაარღვია და სასამართლოს ჩვენება მისცა. პროკურატურის მიერ "შავი სამყაროს" ლიდერობაში - "კანონიერ ქურდობაში" ბრალდებულმა "ტარასამ" უარყო "კანონიერი ქურდობა" და პროკურორს შეკითხვით მიმართა.

**"ფოცხვერიამ პროკურატურის მხარეს შეკითხვა დაუსვა, თუ რას მოიაზრებდა კანონი ე.წ. "კანონიერი ქურდის" ცნებაში, რისი განმარტებაც განსასაჯელმა ვერ მიიღო. დაკავებული აცხადებს, რომ იგი "კანონიერი ქურდი" არ არის",** - განაცხადა ტარიელ ფოცხვერიას ადვოკატმა შალვა ხაჭაპურიძემ.

განსასჯელი თავს დამნაშავედ არც მეორე ბრალდებაში ცნობს - ციხის ბუნტის ორგანიზებაში და აცხადებს, რომ 2006 წლის 27 მარტს, ღამით საქართველოში არავისთვის დაურეკავს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "ჩაქრილი უნივერსიტეტები"

*2007-2008 სასწავლო წლიდან, 5 წლის განმავლობაში, სტუდენტთა მიღება 39 უმაღლეს სასწავლებელს შეეძლება. ინსტიტუციური აკრედიტაციის მისაღებად განაცხადი სულ 64-მა უმაღლესმა სასწავლებელმა შეიტანა. აქედან, 32-მა დადებითი პასუხი მიიღო, პირობითი აკრედიტაცია გაიარა ოთხმა, ხოლო მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა ცხრამეტმა უმაღლესმა სასწავლებელმა, მათ შორის თბილისის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა. აკრედიტაციის შედეგები გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა გააპროტესტეს.*

თამარ დვალი

უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია პირველად 2004-2005 სასწავლო წელს ჩატარდა. მაშინ ლიცენზირებული უმაღლესი სასწავლებლების რიცხვი 248-დან 117-მდე შემცირდა, ხოლო აკრედიტაციის მოქმედების ვადა 2 წლით განისაზღვრა. განმეორებითი აკრედიტაცია 2006 წლის 25 აპრილს დაიწყო. ამჯერად 117 ინსტიტუტიდან განმეორებითი აკრედიტაციის მიღების სურვილი მხოლოდ 64-მა სასწავლებელმა გამოთქვა.

მიმდინარე წელს აკრედიტაციისთვის აუცილებელი ძირითადი კრიტერიუმები შემდეგნაირად განისაზღვრა: ECTS-სთან შესაბამისობაში მოყვანილი პროგრამები და გეგმები; 30 სტუდენტზე არანაკლებ 1 აკადემიური პერსონალი; 25 სტუდენტზე - ერთი პერსონალური კომპიუტერი; საბიბლიოთეკო საქმიანობისთვის სტუდენტზე არანაკლებ 10 სახელმძღვანელო; სასწავლო სამეცნიერო ფართი სტუდენტზე - არანაკლებ 4 კვადრატული მეტრი; სრულყოფილი ოფიციალური ინტერნეტ-გვერდი და სხვ.

იმ უმაღლეს სასწავლებლებს, რომლებმაც აკრედიტაცია ვერ მიიღეს, 2007-2008 სასწავლო წელს სტუდენტების მიღების უფლება არ ექნებათ.

**"თუკი სასწავლებელი ორ წელიწადში ხელახალ აკრედიტაციას ვერ მიიღებს, სტუდენტებს საშუალება მიეცემათ, აკრედიტებულ სასწავლებლებში გადანაწილდნენ,"** - განაცხადა საქართველოს განათლების სამინისტროს აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორმა ნინო ჩუბინიძემ. მისივე თქმით, ძირითადი მიზეზი, რის გამოც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა აკრედიტაცია ვერ მიიღო, არასრულყოფილი სასწავლო პროგრამები, სტანდარტებთან შეუსაბამო სამეცნიერო ლაბორატორიები და სტუდენტთა შეფასების სისტემა იყო. **"ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, ძირითადად, ფართის, ინტერნეტ-გვერდის და სტუდენტების კომპიუტერებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა. სწორი ადმინისტრირების პირობებში, ამ ხარვეზების აღმოფხვრა უმოკლეს ვადაშია შესაძლებელი. იმედი გვაქვს, 6 თვეში სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება,"** - აღნიშნა ჩუბინიძემ.

თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში ამჟამად 31 ათასზე მეტი სტუდენტი სწავლობს, რომლებიც სწავლას ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებენ. მათ, ასევე, არ შეეხებათ სავალდებულო სამხედრო სამსახური. არააკრედიტებულ სახელმწიფო სასწავლებლებს შორის აღმოჩნდა ცხინვალის სახელმწიფო უნივერსიტეტიც.

ტექნიკური უნივერსიტეტისთვის აკრედიტაციის შეჩერებას აპროტესტებს და სასწავლებლის ხელმძღვანელობის შეცვლას ითხოვს არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდული ალტერნატივა". მათი თქმით, პრობლემების არსებობა მხოლოდ კონკრეტული სასწავლებლის ადმინისტრაციას არ უნდა დაბრალდეს და მათზე პასუხისმგებლობა თავად განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა იკისროს.

**"განათლების სამინისტროს ჰქონდა საკმარისი დრო და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, რათა ტექნიკურ უნივერსიტეტში რეფორმა რეალურად განეხორციელებინა. რეფორმის დაწყებას საქართველოს თითქმის ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში ადმინისტრაციის შეცვლა მოჰყვა. ასევე, დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა. ეს ცვლილებები რატომღაც, ტექნიკურ უნივერსიტეტს არ შეხებია. მიგვაჩნია, რომ განათლების სამინისტრომ უნდა იკისროს ვალდებულება, რათა დაკმაყოფილდეს საერთაშორისო მოთხოვნები და შეიცვალოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია,"** - აღნიშნა ორგანიზაციის თავმჯდომარემ ლაშა ბლიაძემ.

მისივე თქმით, განათლების სამინისტრომ სპეციალურად გააჭიანურა ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის შეცვლის საკითხი. სასწავლებლისთვის აკრედიტაციის შეჩერება კი, პირველ რიგში, პრობლემებს იქ მომუშავე პერსონალს და სტუდენტებს შეუქმნის - სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მათი დიპლომის ვარგისიანობის საკითხი კითხვის ქვეშ დადგება.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებს აქვთ უფლება, გამოაცხადონ სტუდენტთა მიღება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის.

ამდენად, 2007-2008 სასწავლო წლიდან, 5 წლის განმავლობაში, სტუდენტთა მიღება 39 უმაღლეს სასწავლებელს შეეძლება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იმ 117 ლიცენზირებულ უმაღლეს სასწავლებელს შორისაა, რომლებმაც 2004-2005 სასწავლო წლებში პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია წარმატებით გაიარეს. თუმცა, მაშინ სასწავლებლებს აკრედიტაცია 2 წლით, ანუ 2007-2008 წლამდე მიენიჭათ.

# საპრეზიდენტო პროგრამებზე 15.3 მილიონი ლარი დაიხარჯა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტროსთვის გაწეულმა ხარჯმა 43.0 მილიონი ლარი შეადგინა. როგორც სამინისტროში განაცხადეს, საპრეზიდენტო პროგრამებზე დაიხარჯა 15.3 მილიონი ლარი; ხელოვნების პროგრამები - 14.5 მლნ. კულტურული მემკვიდრეობის პროგრამები - 4.5 მლნ. ლარი; სხვა ხარჯები კი 8.7 მლნ. ლარით დაფინანსდა. ცნობისთვის, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი 2 905.7 მლნ ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

**ია კიწმარიშვილი და ფიქრია სპარაგნა**
**ოჯახებით იუწყებიან დედის -**
**თინა ქიქიბოშვილის**
**გარდაცვალების შესახებ.**

**პანაშვიდი: სამშაბათს - 7 ნოემნერს 16 სთ-ზე.**
**ქალაქი რუსთავი 21-ე მკ. რ-ნი. კორპ. 16 მე-3**
**სადარბაზო. ოთხშაბათს - 8 ნოემნებს, 16 სთ-ზე**
**ქ. რუსთავში ვახტანგ გორგასლის ეკლესიაში.**
**დაკრძალვა: ხუთშაბათს - 9 ნოემებერს, 14 სთ-ზე.**
**გამოსვენება ეკლესიიდან.**

**გაზეთ "24 საათის" რედაქცია უთანაგრძნობს**
**ეროსი კიწმარიშვილს სიდედრის**
**თინა ქიქიბოშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

**სამოდელო სააგანტო "იმიჯ-ცენტრი"-ს**
**თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ**
**ია კიწმარიშვილს დედის -**
**თინა ქიქიბოშვილის**
**გარდაცვალების გამო.**

# "რესპუბლიკელები" ლიბერალურ ინტერნაციონალში ერთიანდებიან

*9 ნოემბერს მაროკოში გაიმართება ლიბერალური ინტერნაციონალის კონგრესის სხდომა, რომელზეც საქართველოს რესპუბლიკური პარტია ლიბერალური ინტერნაციონალის ასოცირებული წევრი გახდება.*

ამ სიახლის შესახებ გუშინ, ხუთდღიანი სემინარის გახსნის წინ განაცხადა რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, რომელიც დღეს საღამოს მაროკოში მიემგზავრება. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ უკვე ლიბერალური ინტერნაციონალის წევრი პარტიის თავმჯდომარე ქართულ მედიას შეხვდება.



*ხუთდღიანი სემინარის თემაა წარმატებული საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა.*

5-10 ნოემბერს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის ორგანიზებით, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული მოძრაობა - "ახალგაზრდა რესპუბლიკელები" ევროპის ლიბერალური ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებს მასპინძლობს. გუშინ რესპუბლიკური პარტიის ლიდერებმა დავით უსუფაშვილმა და ივლიანე ხაინდრავამ სემინარი გახსნეს. მათ საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და რესპუბლიკური პარტიის საქმიანობაზე ისაუბრეს.

ხუთდღიანი სემინარის ძირითადი თემაა წარმატებული საარჩევნო კამპანიის დაგეგმვა და მისი ეფექტური მართვა. საარჩევნო სტრატეგიის გარდა, სემინარზე ასევე იმსჯელებენ პარტიული მშენებლობისა და მოსახლეობასთან კომუნიკაციის საკითხებზე. სემინარში მონაწილეობენ ინგლისის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენელი პიტერ ბანკროფტი, ევროპის ლიბერალური ახალგაზრდული ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტი თომ კიბასი, ინგლისის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის კონსულტანტი საარჩევნო საკითხებში კრისტოფერ კითინგი.

სტუმართა შორის ასევე იმყოფებიან უკრაინის, მოლდოვას, აზერბაიჯანის და სომხეთის ახალგაზრდული ლიბერალური ორგანიზაციის წარმომადგენლები.

სემინარის მონაწილეებისათვის მოეწყობა ღონისძიებები თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. ხვალ უცხოელი სტუმრები საქართველოს პარლამენტს ეწვევიან. სემინარის ფარგლებში მომზადდება სპეციალური ბუკლეტი რესპუბლიკური პარტიის შესახებ. იგი საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში (რეგიონი სემინარის მიმდინარეობისას დაკონკრეტდება) "კარდაკარ"-ის პრინციპით დარიგდება.

როგორც ღონისძიების მასპინძელმა, რესპუბლიკური პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის თავმჯდომარემ ნიკო თევდორაშვილმა განაცხადა, სემინარი არის ნაწილი იმ დიდი პროცესისა, რომელიც ახალგაზრდა რესპუბლიკელების საერთაშორისო ლიბერალურ ახალგაზრდულ ოჯახში გაწევრიანებას გულისხმობს.

*24 საათი*

# ემომალი სამუდამოდ

## ტაჯიკეთის პრორუსული კურსი არჩევნების შემდეგაც უცვლელი დარჩება

ნათია თათოშვილი

*ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით, 6 ნოემბერს ტაჯიკეთში არჩევნები შედგა. ამომრჩეველთა აქტივობა - 65,3 პროცენტი, გაცილებით მეტი, ვიდრე კანონით არის გათვალისწინებული. სხვათა შორის, ემომალი რახმანოვის 14-წლიანი მმართველობის გაგრძელებას, ალბათ, ამომრჩევლის დაბალი აქტივობა თუ შეუშლიდა ხელს.*



*კანდიდატებს შორის პოლიტიკური ბრძოლა ნამდვილად არ შეინიშნებოდა.*

ჯერ უცნობია, თუ ვინ მოაგროვა ხმების უმრავლესობა, თუმცა თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ არჩევნების პირველ ტურშივე ახლანდელი პრეზიდენტი - ემომალი რახმანოვი გაიმარჯვებს.

ქვეყანაში არსებული 8 პოლიტიკური პარტიიდან არჩევნებში 5 მონაწილეობდა. მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - ემომალი რახმანოვის კანდიდატურით, კომუნისტური პარტია - პარლამენტის დეპუტატის ისმაილ ტალბაკოვას კანდიდატურით, აგრარული პარტია პარტიის ხელმძღვანელს, აგრარული უნივერსიტეტის რექტორს ამირა კარაკულოვას ასახელებდა და ბოლოს, ეკონომიკური რეფორმების პარტია - ლიდერი სატრანსპორტო ინსტიტუტის რექტორი ოლიმჯონ ბობოევა.

საპრეზიდენტო კანდიდატურებს შორის არ არიან ოპოზიციის წარმომადგენლები, რაც საერთაშორისო დამკვირვებლებს არჩევნების ლეგიტიმურობის შესახებ სერიოზული ეჭვის საფუძველს უქმნის.

ემომალი რახმანოვი ქვეყნის სათავეში 1992 წლიდან მოვიდა, ხოლო 1994 წლიდან ტაჯიკეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა. ჯერ 4 წლით, 1999 წელს, მეორე არჩევნების დროს კი უკვე 7 წლით.

სხვათა შორის, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი, ეკონომიკური რეფორმების პარტიის წარმომადგენელი ოლიმჯონ ბობოევიც კი მიიჩნევს, რომ ტაჯიკეთში არჩევნები დემოკრატიის ყველა პრინციპის დაცვით ტარდება და კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისა და ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისაკენ.

ისლამის აღორძინების პარტიას საკუთარი კანდიდატურა არ წამოუყენებია, არჩევნებს ბოიკოტი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც გამოუცხადა.

არჩევნების მიმართ ოპოზიციის ბოიკოტი საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებში 5 პარტიის წარმომადგენელი მონაწილეობდა, აღნიშნულ არჩევნებს მაინც უალტერნატივოდ აფასებს ფინეთის პარლამენტის წევრი, ტაჯიკეთის არჩევნებზე ეუთო-ს დამკვირვებელთა მისიის ხელმძღვანელი კიმო კილჯუნენი. მან "რეგნუმის" ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ეუთო-ს წინასაარჩევნო დაკვირვებისას კანდიდატებს შორის პოლიტიკური ბრძოლა ნამდვილად არ შეინიშნებოდა, ამის ფონზე კიდევ ერთხელ აშკარად გამოიკვეთა, რომ ცენტრალური აზიის ქვეყნების ხელისუფლება ანარქიულია და ეუთო-ს მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. მიუხედავად იმისა, რომ ტაჯიკეთი, თურქმენეთისა და უზბეკეთისაგან განსხვავებით, მეტად იზიარებს დასავლურ ღირებულებებს, ნამდვილი დემოკრატიული და ალტერნატიული არჩევნების ჩატარებამდე ჯერ კიდევ შორი გზაა.

ეუთო-ს მხრიდან კრიტიკის საპასუხოდ, ახლანდელი პრეზიდენტი აცხადებს, რომ **ტაჯიკეთი 97 პროცენტით მუსლიმური ქვეყანაა და ეს ფაქტი აუცილებლად გასათვალისწინებელია.** მას მიაჩნია, რომ აზიურ ქვეყნებს გაბატონებული შაბლონები არ უნდა მოახვიონ თავს, მეორე მხრივ კი, უჭირს მსოფლიოში ქვეყნის დასახელება, რომელიც ეუთო-ს საარჩევნო მოთხოვნებსა და სტანდარტებს 100 პროცენტით აკმაყოფილებს. **"მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვითარდებით და, რა თქმა უნდა, პრობლემების გარეშე ეს პროცესი წარმოუდგენელია. ასე რომ, ძნელია ვამტკიცოთ, რომ მიმდინარე არჩევნები ბოლომდე დააკმაყოფილებს ეუთო-ს მოთხოვნებს,"** - დაამატა ტაჯიკეთის ლიდერმა.

მართალია, რახმანოვი მოსალოდნელ გამარჯვებაზე კომენტარისაგან თავის არიდებას ამჯობინებს, მაინც მთელი პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ტაჯიკეთი "ღია კარის" პოლიტიკას კვლავ გააგრძელებს და ეცდება მჭიდრო თანამშრომლობა დაამყაროს მსოფლიოს ყველა ქვეყანასთან.

**"ტაჯიკეთი 15 წლის განმავლობაში იყო და რჩება დიდი რუსეთის სტრატეგიულ მოკავშირედ და უახლოესი პერიოდის განმავლობაში მათ თანამშრომლობაში და ამ მიმართულებით ტაჯიკეთის საგარეო პოლიტიკაში რაიმე ცვლილებები გამორიცხულია,"** - ამბობს ემომალი რახმანოვი და ბუნებრივიცაა - შუააზიელ ლიდერთა აზრით, რუსეთის ღვაწლი ხომ "მნიშვნელოვანია" არა მარტო ტაჯიკეთში, არამედ მთელს ცენტრალურ აზიაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

# ამერიკის შეერთებული შტატები არჩევანის წინაშე

პირველი გვერდიდან

არსებობს ასეთი პრინციპი: ერთი ადამიანი - ერთი ხმა. შემდეგ შედეგები ითვლება და ვინც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, გამარჯვებულიც ის არის. დემოკრატიული სისტემის ხიბლი სწორედ მის სიმარტივესა და სამართლიანობაშია. ნუთუ შეიძლება აქ რამე ვერ აეწყოს? როგორც ამერიკელი ჟურნალისტები ამბობენ, ეს შესაძლებელია. აშშ-ში ყველას კარგად ახსოვს 2000 წლის სკანდალი ფლორიდის შტატში: ხმების გადათვლა, სარჩელები სასამართლოში და საბოლოო შედეგი - საპრეზიდენტო არჩევნების ბედი არა ამომრჩეველმა, არამედ სასამართლომ გადაწყვიტა. ამ მოვლენას აშშ-ს სხვადასხვა წრეებში დღემდე იხსენებენ. ამერიკელი ანალიტიკოსების შეფასებით, "მეორე ფლორიდის" მოხდენის ალბათობა არ შემცირებულა, მეტიც, გაიზარდა. ბევრი მიიჩნევს, რომ 2004 წელს მსგავსი უკვე განმეორდა ოჰაიოს შტატში.

"კონგრესის ზედა და ქვედა პალატის 2006 წლის არჩევნები აშშ-ს შუალედური არჩევნების ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული იქნება," - ასეთი დასკვნა დამოუკიდებელმა საგამომძიებლო ორგანიზაცია Centre for responsive Politics-მა გააკეთა. მათი მონაცემებით, 2006 წლის არჩევნები რესპუბლიკურ პარტიას 1,4 მილიარდი დოლარი, დემოკრატებს კი 1,2 მილიარდი დოლარი დაუჯდებათ.

კონგრესში ადგილების მოსაპოვებლად პარტიებმა განსაკუთრებულად აგრესიული წინასაარჩევნო კამპანიები აწარმოეს. აქამდე, როგორც ამერიკელი ანალიტიკოსები აღნიშნავენ, შუალედური არჩევნები გაცილებით "ღირსეულად" გამოიყურებოდა ხოლმე.

**"ვფიქრობ, 2006 წლის წინასაარჩევნო კამპანიები მეხსიერებაში შემორჩება, როგორც ყველაზე ნეგატიური. საქმე ხომ კონგრესის გაკონტროლებას ეხება. ასეთ პირობებში მსგავსი შეჯიბრი ნებისმიერი საშუალების გამოსაყენებლად შესანიშნავ პირობებს ქმნის,"** - აღნიშნავს ვანდერბილტის უნივერსიტეტის პოლიტოლოგი ჯონ გირი.

მაგალითად, დემოკრატებისთვის ნეგატიური წინასაარჩევნო კამპანიის საწარმოებლად რეკლამაში პრეზიდენტის სახის ჩართვა სრულიად საკმარისია.

დემოკრატები ოპტიმისტურად არიან. მათი განწყობა ადგილობრივ გამოკითხვებს ეფუძნება. ამერიკული მედიის ინფორმაციით, დემოკრატებს უპირატესობა გააჩნიათ ისეთ ტრადიციულად რესპუბლიკურ შტატებში, როგორებიც მონტანა, ტენესი და მისურია. მეტიც, ისინი ელიან, რომ ოჰაიოს შტატიდან სენატში ერთ, ხოლო პალატაში ორ ადგილს მიიღებენ. საგულისხმოა, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში სწორედ ამ უკანასკნელ შტატში გადაწყდა ჯონ კერის ბედი.

ცნობისათვის, აშშ-ში ერთიანი საარჩევნო სისტემა არ არსებობს. თუ ერთ შტატში ხმის მიცემა ელექტრონული სისტემით ხდება, მეზობელ შტატში, შესაძლოა, ხმის მიცემა კვლავ ტრადიციული ბიულეტენებით ხდებოდეს. მეტიც, ამ ორივე მოვლენას, შესაძლოა, ერთ შტატში ჰქონდეს ადგილი. შტატების საარჩევნო სისტემებს შორის ბევრი სხვა განსხვავებაცაა. მაგალითად, ზოგ შტატში პატიმრებს ხმის მიცემის უფლება აქვთ, ზოგან - არა. ზოგან ხმის მისაცემად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენაა საჭირო, ზოგან ეს სრულიად ზედმეტია.

წინასაარჩევნო კამპანიის მთავარ თემებად დემოკრატებმა ერაყის ომში და ქარიშხალ კატრინას შემდგომ პერიოდში დაშვებული შეცდომები, მოქალაქეთა უფლებების დარღვევები და მინიმალური ხელფასის გაზრდის აუცილებლობა აირჩიეს.

ერაყის ომი გაცილებით მტკივნეული თემა აღმოჩნდა რესპუბლიკელებისთვის. სხვათა შორის, ამერიკელი ექსპერტების შეფასებით, ორივე წამყვან პარტიას ძალიან გაუჭირდა ერაყის ომთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის განსაზღვრა. დემოკრატიული პარტიის წამყვანმა სახეებმა ერაყში ძალადობის შესამცირებლად ვერ შეძლეს ერთიანი სტრატეგიის შემუშავება და, შესაბამისად, ამომრჩევლებს სხვადასხვა გამოსავალს სთავაზობდნენ. მათ შორის, წლის ბოლომდე ერაყიდან ჯარების გამოყვანის დაწყებას. ამასთან, ისინი ფრთხილობდნენ, რომ ომის კრიტიკით ერაყში მყოფი ამერიკელი მეომრებისთვის ჩრდილი არ მიეყენებინათ.

დემოკრატებმა არჩევნებში კანდიდატების სახით ომის ვეტერანებიც ჩართეს, მათ შორის ერაყის ომის მონაწილეები. თემი დაკვორთი ერთ-ერთი მათგანია. მან ბაღდადში ბრძოლისას ფეხები დაკარგა. იგი დღეს დემოკრატების წინასაარჩევნო სტრატეგიის სიმბოლო გახდა.

რესპუბლიკელების მდგომარეობა გაცილებით რთული აღმოჩნდა. Wall Street Journal-ის და NBC-ის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, ერაყში ომის დაწყებას ამომრჩეველთა მხოლოდ 37 პროცენტი ამართლებს. ამასთან, ამავე გამოკითხვის მიხედვით, ერაყის თემა კვლავ რჩება იმ მთავარ სტიმულად, რომელიც მოსახლეობას არჩევნებში მონაწილეობისკენ უბიძგებს.

რესპუბლიკელებს შორის განხეთქილება გარდაუვალი გახდა. ეს პროცესი ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაიწყო და არჩევნების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო გაღრმავდა. **"პრეზიდენტ ბუშს არ ესმის ჩვენი იმედგაცრუება. დროა გადაწყვეტილება მივიღოთ,"** - განაცხადა კამპანიის პერიოდში რესპუბლიკელმა მაიკ მაკგევიკმა. მეტიც, კიდევ ერთი რესპუბლიკელი ჯო ჰოსტეტლერი საარჩევნო რეკლამაში ინდიანას შტატის ამომრჩევლებს ახსენებდა, რომ 2002 წელს ის ერთ-ერთი იყო იმ მცირეთა შორის, რომლებიც ერაყში ომის დაწყების წინააღმდეგ გამოვიდნენ. **"ეს არაპოპულარული გადაწყვეტილება იყო ჩემი მხრიდან. განსაკუთრებით ჩემი მოწინააღმდეგე პარტიებისთვის. როცა საკუთარ აზრს გამოთქვამ, შესაძლოა, მარტო დარჩე,"** - აღნიშნა ჰოსტეტლერმა. დემოკრატები იმედოვნებენ, რომ ამომრჩეველი სწორედ ასე მოიქცევა. თუმცა იმასაც ამბობენ - პროგნოზი უმადური საქმეაო. განსაკუთრებით კი აშშ-ში, სადაც ასეთი რამ არაერთხელ მომხდარა.

## მოკლედ

### "თბილისი" დაინგრევა

მოსკოვის მერის იური ლუჟკოვის გადაწყვეტილებით, უახლოეს მომავალში, მოსკოვში ნოვოჩერიომუშენსკაიას 53ა-ში მდებარე ნაგებობა - კინოთეატრი "თბილისი" დაინგრევა. გავრცელებული ინფორმაციით, "თბილისის" ადგილზე მრავალფუნქციური კომპლექსი გაშენდება, რომელშიც ოფისებთან, მაღაზიებთან და კაფეებთან ერთად კულტურულ-გასართობი ცენტრიც განთავსდება. კინოთეატრი "თბილისი" მოსკოვში 70-იან წლებში აშენდა. 90-იანი წლებიდან მასში მოვაჭრეები განთავსდნენ და კინომ ფუნქციონირება შეწყვიტა. 2000 წლიდან კინოთეატრის შენობა მოსკოვის მთავრობისგან იჯარით კომპანია "იმპერის კონომ" აიღო და უახლესი ტექნიკით აღჭურვა. კომპანიის მართვაში წარმოშობილი კონფლიქტის გამო 2002 წლიდან კინოთეატრი "თბილისი" არ ფუნქციონირებდა. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ბეჟუაშვილი ევროპულ ტურნეს იწყებს

დღეს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გელა ბეჟუაშვილი სამუშაო ვიზიტით საფრანგეთს ეწვევა. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდება. სავარაუდოდ, მინისტრების განხილვის თემა საქართველოს ევროკავშირთან თანამშრომლობა, სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში სქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობები და ნატოში გაწევრიანების პერსპექტივები იქნება. ბეჟუაშვილი პარიზში ვიზიტისას ევროპელი პარტნიორების განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს ქართულ-რუსულ ურთიერთობებს და თბილისის ხედვას არსებული კრიზისის დაძლევისათვის განსახორციელებელი ქმედებების შესახებ. ბეჟუაშვილის ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია სხვა ოფიციალური და საქმიანი შეხვედრები. პარიზიდან ბეჟუაშვილი ვიზიტით ბულგარეთში გაემგზავრება, სადაც 10 და 11 ნოემბერს მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ახალი მეგობარი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში.

ცნობისათვის, საქართველოს ახალი მეგობარი ქვეყნების ჯგუფში შედიან ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, პოლონეთი, ბულგარეთი და რუმინეთი. ჯგუფში გაწევრიანებისა და საქართველოს მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა ჩეხეთმაც. 12-13 ნოემბერს კი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მოლდოვას ეწვევა, სადაც ქვეყნის პრეზიდენტს, საგარეო საქმეთა მინისტრს და ოფიციალურ პირებს შეხვდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

### კანონპროექტთა პაკეტი მზადაა

პარლამენტის ჯანდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გიგი წერეთელმა ბიუროს სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტთა პაკეტი "სოციალური დახმარების სისტემების შესახებ" ძირითადად მზად არის და მისი განხილვის დაწყება შესაძლებელია. თუმცა როგორც გიგი წერეთელი აღნიშნავს, დასაზუსტებელია გამომდინარე კანონპროექტები, რომლებიც სხვადასხვა კატეგორიებისადმი დახმარებას ითვალისწინებენ. "სხვადასხვა კატეგორიების ადამიანის დახმარება გათვალისწინებულია 2007 წლის 1 იანვრამდე. პროექტის მიხედვით კი, დაზუსტებული არ არის დახმარება ვის უგრძელდება და ვის არა. ამიტომ ვთხოვ მთავრობას, დავიწყოთ ჩარჩო პროექტზე მუშაობა და თანდათანობით მოხდება გამომდინარე პროექტების დაზუსტებაც", - აცხადებს გიგი წერეთელი. მისი თქმით, წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ამ კატეგორიის ადამიანებს დახმარების ვადა გადაეწიოთ. **ჯი-ეიჩ-ენი**

### ცესკო-ს დასკვნას დღეს წარუდგენენ

არჩევნებში მონაწილე სუბიექტების მიერ წინასაარჩევნოდ გამოყენებული სახსრების კანონიერების შესახებ დასკვნას სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფი ცენტრალურ საარჩევნო კომისიას დღეს წარუდგენს. მონიტორინგის ჯგუფი საზოგადოებრივი წარმომადგენლებით - იურისტებით და აუდიტორებითაა დაკომპლექტებული. ცესკო-ს თავმჯდომარის გურამ ჩალაგაშვილის განაცხადებით, 27 ოქტომბრის სხდომაზე დადგინდა, რომ ჯგუფმა ანგარიშების კანონიერების შესახებ მონიტორინგი და დასკვნა 7 ნოემბერს უნდა წარმოადგინონ. სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი 5 წევრით არის დაკომპლექტებული. პარტიის ანგარიშების კანონიერებას აუდიტორული ფირმა "ბაკაშვილი და კომპანია", აუდიტორული ფირმა "გემა", საადვოკატო ფირმა "მიგრიაული და პარტნიორები", საადვოკატო ფირმა "მგო", სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი რევაზ ასათიანი ამოწმებენ. ჯგუფის მოვალეობა იმ ფონდების შემოწმებაა, საიდანაც პარტიები წინასაარჩევნოდ ფინანსდებოდნენ. საქართველოს ცენტრალური საარჩნო კომისიის ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების სარეკლამო კამპანიის წარმოებისა და სხვა ღონისძიებებისთვის "ნაციონალურმა მოძრაობამ" - 3 367 383 ლარის ანგარიშები წარმოადგინა, "ლეიბორისტულმა პარტიამ" - 13 277 ლარის ანგარიშები, "მრეწველებმა" - 523 758, "დავითაშვილი-ხიდაშელი-ბერძენიშვილის" საარჩევნო ბლოკმა კი 88 956 ლარის ოდენობის ანგარიშები წარადგინა. **ინტერპრესნიუსი**

**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# თანხმობა ყოველთვის არ ნიშნავს... თანხმობას

გიორგი ასანიშვილი



პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შექმნილი ვითარების გამოსწორებას ცდილობს.

პარლამენტის პლენარული სხდომების მუშაობა მთლად რაციონალურად ვერ არის აწყობილი. სესიის დასაწყისში თვალშისაცემია განსახილველი კანონპროექტების დეფიციტი, შესაბამისად, სხდომების დღის წესრიგი ძალზე "მწირია" და პარლამენტის ხელმძღვანელობა იძულებულია, პლენარული სხდომების გრაფიკი შეკვეცოს. შესაბამისად, ამ ბოლო დროს უკვე ტრადიციად დამკვიდრდა, რომ პლენარული კვირიდან ერთი დღე საკომიტეტო მოსმენებს "ეთმობა". განსხვავებული მდგომარეობაა ხოლმე სესიის ბოლოს: ახალი წლის წინა დღეებში და საზაფხულო არდადეგების დაწყების წინ პარლამენტარებს დროის მცირე მონაკვეთში ერთდროულად უამრავ კანონპროექტზე უწევთ მუშაობა და ცაიტნოტში მყოფი ხალხის რჩეულნი იძულებულნი არიან, კანონები დასტა-დასტა მიიღონ, რის გამოც მათი ხარისხიც შესაბამისია.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე შექმნილი ვითარების გამოსწორებას ცდილობს. მან ბიუროს წინა სხდომაზე ვიცე-სპიკერ ჯემალ ინაიშვილს დაავალა, შეისწავლოს კომიტეტების მუშაობა და დაადგინოს, დეპუტატების საკანონმდებლო ინიციატივა რატომ წარმოადგენს იშვიათობას და რატომ ხდება, რომ პლენარულ სხდომაზე გატანილი საკითხების უდიდესი ნაწილი მთავრობის მიერ არის მომზადებული.

სიტუაცია გუშინ უნდა გარკვეულიყო და ინაიშვილს კოლეგებისთვის კანონპროექტების ხან ნაკლებობის, ხან კი მოჭარბების მიზეზები აეხსნა. თუმცა, ეს იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ მოხერხდა, რომ ვიცე-სპიკერი ბიუროს გუშინდელ სხდომას არ დასწრებია.

ვინაიდან პარლამენტარები ამჟამინდელი პლენარული სხდომების პერიოდში თავისუფალი დროის დეფიციტს არ განიცდიან, ისინი დღის წესრიგს სიამოვნებით ავსებენ სხვადასხვა საკითხებით. ასე მაგალითად, პარასკევს სხდომა დაიწყება ენერგეტიკის სექტორის ანგარიშით 2006-2007 წლების შემოდგომაზამთრისთვის მზადების თაობაზე.

პარასკევამდე კი აღნიშნულ საკითხზე ინფორმაციას ბიუროს წევრებს სათბობენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური აწვდის. მისმა გუშინდელმა გამოსვლამ, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, "თვით" ოპოზიციაც კი დააკმაყოფილა: "მემარჯვენეების" წარმომადგენელმა მანანა ნაჭყებიამ მინისტრს გაწეული მუშაობისთვის საჯაროდ გადაუხადა მადლობა.

გუშინ ოპოზიცია სხვა მხრივაც დარჩა კმაყოფილი: უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია დათანხმდა, მუშაობა დაიწყოს "დემოკრატიული ფრონტის" მიერ მომზადებულ კანონპროექტზე ლუსტრაციის შესახებ.

**"დემოკრატიული ფრონტის" მიერ ინიცირებული "ლუსტრაციის შესახებ" კანონპროექტი უმრავლესობისთვის პოლიტიკურად მისაღებია,"** - განაცხადა ბიუროს სხდომაზე ბოკერიამ და იქვე დააზუსტა, რომ დახვეწას, ძირითადად, კანონპროექტის ფორმატი მოითხოვს.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციონერი კახა კუკავა ბოლომდე არ არის დარწმუნებული, რომ პარლამენტი ლუსტრაციის კანონს მიიღებს. მისი განცხადებით, საპარლამენტო უმრავლესობაში, გიგა ბოკერიას გუნდის გარდა, არსებობს სხვა დაჯგუფებაც, რომელიც ლუსტრაციის კანონის მიღებას მხარს არ დაუჭერს.

**"საქართველოს პარლამენტში არიან დეპუტატები, რომლებიც ხელისუფლებაში "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოვიდნენ და არიან "სუკის" ნომრიანი აგენტებიც, ვისაც არ უნდა, რომ საქართველომ მათ შესახებ სიმართლე იცოდეს,"** - მიიჩნევს კახა კუკავა.

ოპოზიციისთვის ასევე სასიამოვნო მოულოდნელობაა ისიც, რომ სახელისუფლებო გუნდი დსთ-დან საქართველოს გამოსვლის საკითხის ინიცირებაზე თანხმდება. თუმცა, არც ეს ნიშნავს იმას, რომ საპარლამენტო უმრავლესობა დსთ-ს რიგების დატოვებას უპირობოდ უჭერს მხარს. სახელისუფლებო გუნდის წევრები არც მალავენ, რომ ამ ეტაპზე ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიზანშეწონილად არ მიაჩნიათ და ასეთი დამოკიდებულების მთავარ მიზეზად რუსეთ-საქართველოს შორის ისედაც გართულებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას ასახელებენ.

ვიცე-სპიკერ მიხეილ მაჭავარიანის მტკიცებით, ამ ეტაპზე დსთ-დან საქართველოს გამოსვლა ნიშნავს იმას, რომ უკრაინიდან საქართველოში შემოსული პროდუქცია მინიმუმ 12 პროცენტით გაძვირდება, რაც ადამიანების ყოფას კიდევ უფრო გაართულებს.

ასე რომ, პოლიტიკაში თანხმობა ყოველთვის არ ნიშნავს... თანხმობას.

# რუსეთი სომხეთის ენერგეტიკულ სისტემაზე კონტროლს აძლიერებს

პირველი გვერდიდან

ცოტა ხნის წინ, სომხეთმა სცადა ენერგომიწოდების წყაროებისა და ინფრასტრუქტურის დივერსიფიცირება და რუსეთის კონტროლიდან გამოსვლა. 2004 წლის მაისში ხელმოწერილი ირან-სომხეთის შეთანხმება ითვალისწინებდა გაზსადენის მშენებლობას ორი ქვეყნის საზღვრიდან ერევნამდე და პერსპექტივაში სომხეთ-საქართველოს საზღვრამდე. გარდა ამისა, შეთანხმება ითვალისწინებდა "რაზდანის" მეხუთე ენერგობლოკის მშენებლობის დასრულებასაც, ძირითადად, ირანული დაფინანსებით. სომხეთს რაზდანში ელექტროენერგია ირანული გაზით უნდა ეწარმოებინა და ეს ელექტროენერგია, უფრო სწორად მისი ნაწილი, 20-წლიანი პროექტის პირველ წლებში, ჩადებული ინვესტიციის სანაცვლოდ, ისევ ირანისთვის უნდა მიეწოდებინა. პროექტის თანახმად, რაზდანის მეხუთე ენერგობლოკი 2008 წლის შუაში უნდა დასრულდეს.

პროექტის დასაწყისშივე ოფიციალური ერევანი დათანხმდა მოსკოვის მოთხოვნას, ირან-სომხეთის გაზსადენის დიამეტრი 700 მილიმეტრიანი ყოფილიყო, ნაცვლად თავდაპირველი პროექტის მიხედვით დაგეგმილი 1420 მმ-ისა. ამგვარად, მოსკოვმა და მისმა მოკავშირეებმა ერევანში, თავიდანვე შეუძლებელი გახადეს ირანული გაზის მიწოდება საქართველოსთვის (და პერსპექტივაში - შავი ზღვის გავლით უკრაინისთვის). შეგახსენებთ, გასულ წელს უკრაინის მთავრობამ, იულია ტიმოშენკოს ხელმძღვანელობით, გამოხატა თავისი ინტერესი სომხეთის გავლით ირანის გაზის მიღებაზე. თუმცა, ეს გაზსადენი ამჟამად 300-400 მლნ კუბურ მეტრ გაზის გატარებასღა შეძლებს და მხოლოდ სომხეთის შიდა ბაზრის მოთხოვნილების ნაწილს დააკმაყოფილებს. მაშინ, როცა ირან-სომხური პროექტი თავდაპირველად 1,1 მლრდ კუბური მეტრი გაზის გატარებას ითვალისწინებდა.

მილსადენის 40 კილომეტრი, პროექტის 35-მილიონიანი ღირებულების პირველი ნაწილი ირან-სომხეთის საზღვარზე მდებარე ყაჯარანიდან მეღრიმდე, სავარაუდოდ, დეკემბრის ბოლოსთვის დასრულდება და გადაეცემა "არმროსგაზ"-ს. დაგეგმილი მეორე სექცია, ასევე გადაეცემა "გაზპრომს". იგი მიაღწევს სომხეთის არარატის რაიონს, სადაც შეუერთდება "არმროსგაზ"-ის გაზგამანაწილებელ სისტემას. ამგვარად, ერთობლივი ირანულ-სომხური გაზსადენის ნაცვლად, რომელსაც ირანული გაზი უნდა შემოეტანა კავკასიაში, ვიღებთ გაზპრომის კონტროლქვეშ მყოფ შემაერთებელ გაზსადენს, ირანიდან ასევე გაზპრომის კონტროლქვეშ არსებულ სომხეთის გაზგამანაწილებელ ქსელებთან. როგორც ერთმა ერევნელმა მიმომხილველმა აღნიშნა, "გაზსადენი მხოლოდ ერთი შეხედვით გადაეცემა "არმროსგაზ"-ს. სინამდვილეში, გაზსადენი შეფუთულია "არმროსგაზ"-ში და გადაცემულია გაზპრომს".

სომხეთის გაზის ბაზარი მცირეა და რუსეთისთვის მიმზიდველი არ არის. "არმროსგაზი" 2006 წელს, მხოლოდ 3,75 მლნ აშშ დოლარის ოდენობის მოგების მიღებას გეგმავს, ნაწილობრივ იმის გამო, რომ სომხეთში რიგითი მომხმარებლებისთვის ტარიფები სახელმწიფო კონტროლქვეშაა. თუმცა, მოსკოვს სომხეთის გაზის ბაზრის გაკონტროლება გეოპოლიტიკური მიზნებით სურს. ასეთი კონტროლი რუსეთს საშუალებას აძლევს, დაბლოკოს ირანული ან თურქმენული გაზის ტრანზიტი სომხეთის გავლით, საქართველოს, უკრაინის და პერსპექტივაში ევროპული ქვეყნების მიმართულებითაც, სადაც ასეთი გაზი სერიოზულ კონკურენციას გაუწევდა "გაზპრომის" მიერ მიწოდებულ აირს.

ირანის მიერ სომხეთის მოთხოვნილებების ნაწილობრივ დაკმაყოფილებით, რუსეთს შეუძლია დანარჩენი აირი ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე სომხეთს აწვდის, ევროპაში გაყიდოს. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ბაზრის რაღაც ნაწილს ირანს უთმობს, "გაზპრომი" შეუზღუდავ კონტროლს ინარჩუნებს სომხეთის გაზის ბაზარზე, იმით, რომ სრულად ფლობს ქვეყნის მაგისტრალურ და დისტრიბუციის სისტემას.

ერევნის გადაწყვეტილების ახსნის მცდელობისას სომხეთის პრემიერ-მინისტრი ანდრანიკ მარგარიანი ამტკიცებდა, რომ ირან-სომხეთის გაზსადენის მფლობელობაში დატოვება მაშინ, როცა "გაზპრომი" უკვე აკონტროლებს გაზის სატრანზიტო მაგისტრალსა და დისტრიბუციის სისტემას და, შესაბამისად, აკონტროლებს სომეხი მომხმარებლისთვის სხვა მიმწოდებლის მიერ გაზის მიწოდებას, უბრალოდ, "ალოგიკურია".

ევროპული ქვეყნებიც, გაზპრომთან გრძელვადიან მონოპოლისტურ კონტრაქტებზე დათანხმებისას, კარგად უნდა დააკვირდნენ მარგარიანის მიერ აღწერილ სიტუაციას - თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, იგი ხომ წინასწარმეტყველური იქნება მათთვისაც.

# სერიოზული ევროპელი მოკავშირე

პირველი გვერდიდან

**"რუსეთი და მასთან კარგი ურთიერთობა მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ასეთ ურთიერთობას ყველაფრის ფასად შევინარჩუნებთ და არ გამოვხატავთ უკმაყოფილებას რუსეთის ზეწოლაზე,"** - აცხადებს ბარბარა ტუგე-ერეჩინსკა.

მისი თქმით, პოლონეთი საქართველოს და რუსეთს დიალოგისკენ მოუწოდებს და ევროკავშირთან ერთად მზად არის, მხარეებს ამ დიალოგის წარმართვაში დაეხმაროს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ასევე აცხადებს, რომ პოლონეთი მხარს უჭერს საქართველოს მისწრაფებას ნატო-ში გაწევრიანებისკენ და ამ მხრივ ჩვენს ქვეყანას დაეხმარება. მისი თქმით, პოლონეთი საქართველოში დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერითაც არის დაინტერესებული.

**"მხარს ვუჭერთ საქართველოს გაწევრიანებას ნატო-ში და ევროკავშირში. ევროკავშირი მომავალ წელს ჩამოაყალიბებს აღმოსავლეთის პოლიტიკის გეგმას. პოლონეთი ამ გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას მიიღებს,"** - განუცხადა ქართველ ჟურნალისტებს პოლონეთის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარემ პაველ ზალევსკიმ.

მისი თქმით, პოლონეთის წარმომადგენლები მხარს უჭერენ საქართველოს სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე. პოლონეთი რუსეთისგან მოითხოვს, შეწყდეს როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში მცხოვრები ქართველების უფლებათა დარღვევა. **"დიდი შეშფოთებით აღვიქვით რუსეთის მუქარა საქართველოს მიმართ და განსაკუთრებით აღშფოთებულები ვართ საქართველოს ერთიანობის კითხვის ქვეშ დაყენებით,"** - აცხადებს ზალევსკი. თუმცა, მან არ იცის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებთან დაკავშირებით საბოლოოდ რა პოზიციას დაიკავებს ევროკავშირი. **"რუსეთი ევროკავშირისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ქვეყანაა,"** - განმარტავს ზალევსკი.

პოლონეთის სენატის ვიცე-სპიკერს მაჩეი პლაჟინსკის, რომელიც ასევე აცხადებს, რომ ქართული ღვინის მოყვარულია, მიაჩნია, რომ რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ევროკავშირში ერთიანი აზრი არ არსებობს.

**"პოლიტიკა უნდა იყოს რუსულ-ევროპული და არა რუსულ-გერმანული ან რუსულ-ფრანგული. რუსეთი ბოლო წლებში ცალკეულ ქვეყნებთან მუშაობს და ევროკავშირის სხვა ქვეყნებს თანასწორ პარტნიორებად არ აღიქვამს,"** - განმარტავს პლაჟინსკი. თუმცა, აღნიშნავს, რომ პოლონეთი ეცდება, აქტიურად ჩაერთოს ერთიანი პოლიტიკის შემუშავებაში. ვიცე-სპიკერი მიიჩნევს, რომ რუსეთის ქმედებებზე **"საჭიროა მკაცრი რეაგირება და არა ლავირება". "ჩვენ მკაცრ პოზიციას ვემხრობით,"** - აცხადებს პლაჟინსკი.

**"ჩვენ დიდ პატივს ვცემთ დამოუკიდებლობისკენ სწრაფვას და ვიცით, რამდენად რთულია ეს,** -ამბობს ვიცე-სპიკერი, - **ძალიან ვაფასებთ საქართველოს სვლას ნატოსკენ და ვფიქრობთ, საჭიროა საქართველოს გაწევრიანება. სიმშვიდე რეგიონში მნიშვნელოვანია ევროპისათვის."**

"ნატოლინის ევროპული კვლევების ცენტრის" ექსპერტი პშემისლავ ჟურავსკი ველ გრაევსკი იხსენებს, რომ პოლონეთს და საქართველოს ისტორიული ურთიერთობა აკავშირებს. პოლონეთში ახსოვთ ქართველი ოფიცრები, რომლებიც ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ პოლონეთის არმიაში იბრძოდნენ. გარდა ამისა, პოლონელები ტრადიციულად სიმპათიით არიან განწყობილნი თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხებისადმი.

ექსპერტის თქმით, დღეისთვის საქართველო პოლონეთისათვის მნიშვნელოვანი ქვეყანაა ენერგორესურსების ტრანზიტის, მათი მიღების გზების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, რომელიც **"ევროპისათვის რუსეთზე დამოკიდებულების დაძლევის ერთადერთი გზაა"**, რადგან **"რუსეთს ჯერ კიდევ აქვს იმპერიალისტური ამბიციები და ენერგორესურსები მისი პოლიტიკის იარაღია"**.

**"ჩვენ ვცდილობთ, ავუხსნათ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს, რომ არ უნდა მოვითმინოთ რუსეთის იმპერიული ამბიციები,"** - ამბობს ჟურავსკი ველ გრაევსკი, თუმცა დასძენს, რომ რუსეთთან დაპირისპირებაში საქართველოს **"ევროპის დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს"**.

**"ევროკავშირი არ არის ძლიერი საგარეო პოლიტიკის საკითხებში, განსაკუთრებით კონფლიქტების სიტუაციაში. არ მგონია ევროკავშირმა საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტებთან დაკავშირებით რაიმე პოლიტიკური ნაბიჯი გადადგას,"** - მიიჩნევს ექსპერტი და მაგალითისთვის 2005 წელს გამართული ევროკავშირის ერთ-ერთი სამიტი მოყავს, რომელზეც ევროკავშირმა წევრი სახელმწიფოს - ესტონეთის რუსეთთან სასაზღვრო პრობლემების საკითხს გვერდი აუარა.

ექსპერტს ეჭვი არ ეპარება, რომ საქართველო ნატო-ში გაწევრიანდება, რაც **"იმის გარანტია იქნება, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო გზით არ დაუპირისპირდება"**.

თუმცა, იგი ასე ოპტიმისტურად არ არის განწყობილი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივისადმი. მისი აზრით, ჯერჯერობით **"ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში საქართველომ უნდა დასახოს პრიორიტეტები, რომელიც უახლოეს პერიოდში რეალურად მიღწევადი იქნება"**. კერძოდ, ეს ეხება თანამშრომლობას განათლების, სამართალდაცვის სფეროში და თავისუფალი ვაჭრობის საკითხებში.

იგი საქართველოს ევროპარლამენტში პარტნიორების პოვნას ურჩევს. ექსპერტის თქმით, პოლონეთს ევროპარლამენტში 54 დეპუტატი ჰყავს და **"ეს არის პოტენციური წარმატება პროპაგანდის თვალსაზრისით"**.

### წარმატების გზა

"შოკური თერაპიის" სამშობლო პოლონეთი, ეკონომიკური მაჩვენებლებით, ჯერ კიდევ გაცილებით ღარიბად გამოიყურება, ვიდრე მეზობელი გერმანია და დასავლეთ ევროპის ქვეყნები. თუმცა, მან დიდი ხანია უკან ჩამოიტოვა როგორც სოციალისტური ეკონომიკის "მიღწევები", ასევე პოსტსაბჭოთა მეზობლები რუსეთის ჩათვლით.

პოლონეთს აქვს სტაბილური ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, ინფლაციის დაბალი დონე და მაღალი (20 პროცენტამდე) უმუშევრობა. 2004 წელს ევროკავშირში გაწევრიანებამ პოლონეთს ევროკავშირისგან სუბსიდიები და უცხოური ინვესტიციების, ასევე სამომხმარებლო ფასების მკვეთრი ზრდა მოუტანა. ორი წლის განმავლობაში ქვეყანამ ევროკავშირის ბიუჯეტიდან, ძირითადად ინფრასტრუქტურის და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, 12 მილიარდ ევროზე მეტი მიიღო. თავად პოლონეთი ევროკავშირის ბიუჯეტში წლიურად 2,2 მილიარდ ევროს იხდის.

ევროკავშირის ახალი წევრით ძირითადად იაპონელი და კორეელი ინვესტორები დაინტერესდნენ - მათ პოლონეთში ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკა, შედარებით იაფი მუშახელი და დასავლეთ ევროპის ქვეყნების ბაზრებზე დაუბრკოლებელი შეღწევა იზიდავთ. ქვეყნის რეგიონებს შორის უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე მძაფრი კონკურენციაა. დღეისთვის პირველობა ქალაქ ვროცლავს უჭირავს, რომლის მერი რაფალ დუდკევიჩი სიამაყით აცხადებს, რომ ევროკავშირში პოლონეთის გაწევრიანების შემდეგ ქალაქში და რეგიონში 3 მილიარდამდე ევროს ინვესტიციები შემოვიდა და 100 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა.

დღეს უმსხვილესი კორეული კომპანია "LG" ვროცლავის გარშემო რამდენიმე მსხვილ საწარმოს აშენებს, სადაც ევროპის ბაზრებისთვის მრავალი სახეობის ელექტროსაქონელი დამზადდება. 650-ათასიანი ვროცლავი პოლონეთის მეორე ფინანსური, საბანკო და საგანმანათლებლო ცენტრია. ქალაქი თანაბრადაა დაშორებული სამ ევროპულ დედაქალაქს - ვარშავას, პრაღას და ბერლინს. დუდკევიჩი ქალაქისადმი უცხოელების ინტერესს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობითაც ხსნის. გარდა ამისა, ვროცლავი, რომელიც მეორე მსოფლიო ომამდე გერმანიის შემადგენლობაში შედიოდა, ერთ-ერთი ულამაზესი ევროპული ქალაქია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ქალაქის მეთაური იმედოვნებს, რომ 2012 წელს მსოფლიო გამოფენის "ექსპო-2012" ვროცლავში ჩატარების ამბიციური გეგმა წარმატებით დაგვირგვინდება.

პოლონეთს, რა თქმა უნდა, დღეს პრობლემებიც აქვს. პოლონელები ძირითადად მაღალ ფასებს, შედარებით დაბალ შემოსავლებს და მაღალ უმუშევრობას უჩივიან. ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ მრავალმა პოლონელმა სამუშაოდ დასავლეთ ევროპას მიაშურა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ქვეყნის მშენებლობის მინისტრის ანტონი იაშჩაკის თქმით, ქვეყანაში კვალიფიცირებული მშენებლების დეფიციტი შეიქმნა და ეს დარგის მთავარი პრობლემაა. მინისტრი გამოსავალს მაღალი ტექნოლოგიების დანერგვაში და უცხო ქვეყნებიდან მუშახელის მოწვევაში ხედავს. პოლონეთთან შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შესაძლებლობა საქართველოსაც აქვს.

თუმცა პოლონეთმა არსებული სოციალური პრობლემების დაძლევის ძირითად გზას უკვე მიაგნო - დემოკრატიული მმართველობის, სტაბილურობის, კარგად გათვლილი ეკონომიკური პოლიტიკის, ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნის წყალობით ქვეყანამ დიდი ინვესტიციების მოზიდვისთვის და მზარდი განვითარებისათვის სერიოზული პოტენციალი შექმნა.

# უსაგნო დავა

პირველი გვერდიდან

ასე რომ, საკმაოდ ლოგიკურად ჟღერს კითხვა - თუ დასაკარგი არაფერი გვაქვს და რუსეთი ამაზე მეტს ვერაფერს დაგვიშავებს, მაშინ რატომ არ უნდა გადავდგათ ნაბიჯი დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობიდან გამოსასვლელად.

საქართველოს მხრიდან დსთ-ს დატოვება რუსეთში უეჭველად აღიქმება კიდევ ერთ დემარშად. ეს კი დღეს, სწორედ ამ ეტაპზე, როცა ურთიერთობები უკიდურესად გამწვავებულია და საშიშ ზღვარს უახლოვდება, ალბათ არ ღირს დსთ-დან გამოსვლის გულისთვის.

რუსი ჯაშუშების დაჭერა სწორი ნაბიჯი იყო, მიუხედავად იმ შემაშფოთებელი რეაქციისა, რაც ამ ფაქტს რუსეთის მხრიდან მოჰყვა. რადგან ამით კრემლისთვის ნათელი გახდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლა ასე ადვილი აღარ იქნება.

რას ვეტყვით დსთ-დან გამოსვლით რუსეთს? - ახალს არაფერს. ის რომ დამოუკიდებლები ვართ და ნატო-ში გაწევრიანება გვინდა, რუსეთმა ისედაც კარგად იცის. ამის შესახსენებლად დსთ-დან გამოსვლა საჭირო არ არის. გარდა ამისა, დსთ-ს სხვა წევრებთან სავაჭრო ურთიერთობაზე დაწესებული შეღავათები ამ ორგანიზაციიდან გამოსვლის შემდეგ ძალას დაკარგავს და საქართველოს მთავრობას ამ ქვეყნებთან ცალ-ცალკე მოუწევს მუშაობა ახალი ხელშეკრულებების გასაფორმებლად, რომელიც ან მოხერხდება ან არა.

რაც შეეხება ოპოზიციის ყველაზე მთავარ არგუმენტს - დსთ-ს მანდატის ქვეშ მყოფი რუსი სამშვიდობოების გაყვანის პროცესის დაჩქარებას კონფლიქტის ზონებიდან. ამ პროცესს ერთადერთი რამ დააჩქარებს - საერთაშორისო საზოგადოების მზადყოფნა, მოხდეს სამშვიდობო პროცესის ინტერნაციონალიზაცია. სანამ ეს მზაობა არ იარსებებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, დსთ-დან გასვლა-არაგასვლა არაფერს შეცვლის.

ასე რომ, ცარიელ კარში ბურთის დარტყმა უაზრობაა. ადრე თუ გვიან დამოუკიდებელი ქვეყნების თანამეგობრობას მაინც დავტოვებთ და ამისათვის ბევრად უფრო უმტკივნეულო დროის შერჩევაა საჭირო. დღეს კი, ალბათ, ოპოზიციამ ხელისუფლებასთან პოლიტიკური დისკუსიებისთვის უფრო მნიშვნელოვანი და სასარგებლო თემები უნდა გამონახოს.

# უმრავლესობა დათმობაზე არ მიდის

პირველი გვერდიდან

თუკი უმრავლესობა პარლამენტის თავმჯდომარის სურვილს არ გაითვალისწინებს და რეგლამენტში იმ მუხლს არ აღადგენს, რომელსაც ასე მისტირიან "მრეწველები", მაშინ ოპოზიციისთვის ერთადერთ გამოსავლად ბესო ჯუღელის ფრაქცია რჩება, რომლის უმრავლესობაში გაწევრიანების შემთხვევაში, უმცირესობის შექმნა უკვე რეალური ხდება.

უნდა ითქვას, რომ ტყემალაძისაგან განსხვავებით, რომელიც საკმაოდ ოპტიმისტურად არის განწყობილი (როგორც ამბობენ, მას ამის საფუძველს ნინო ბურჯანაძის ოპტიმისტური დანაპირები აძლევს), საკმაოდ პასიურობენ სხვა ოპოზიციური ფრაქციები და უმრავლესობასთან კონსულტაციების გამართვას არ ჩქარობენ.

"მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძე კი, საერთოდ, ამ ეტაპზე უმცირესობის შექმნის შესაძლებლობას თითქმის გამორიცხავს.

**"თავის დროზე ჩვენ ხელოვნურად დაგვბლოკეს და უმცირესობის შექმნის შესაძლებლობა არ მოგვცეს. მერე გააქტიურდნენ უცხოური ორგანიზაციები და ხელისუფლებას რამდენიმე რეკომენდაცია მისცეს. თუმცა არა მგონია, ეს რჩევა ხელისუფლებამ გაითვალისწინოს. ასე რომ, უმცირესობის შექმნა მომავლის საქმეა,"** - განაცხადა გუშინ ფიქრია ჩიხრაძემ.

ამის მიუხედავად, ოპოზიციონერები იმედს მაინც არ კარგავენ და ჯერ კიდევ არარსებულ პოსტებს ინაწილებენ. როგორც გუშინ გაირკვა, უმცირესობის შექმნის შემთხვევაში, მისი ლიდერი ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" თავმჯდომარე დავით გამყრელიძე გახდება, ხოლო პარლამენტის მესამე ვიცე-სპიკერი - ზურაბ ტყემალაძე.

# თავისუფალი სიტყვა

FM უცნობი 92.0

*რადიო "უცნობის" ყოველდღიური გადაცემა "თავისუფალი სიტყვის" წამყვანია ჟურნალისტი მაია ჭალაგანიძე. გადაცემის სტუმარია ეკონომიკური ექსპერტი, პოლიტოლოგი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ასოციაციის მსოფლიო ლაბორატორიის თავმჯდომარე სოსო ცისკარიშვილი.*

**მაია ჭალაგანიძე:** როგორც ჩანს, ხელისუფლება მართლაც ზედმიწევნით მოემზადა წლევანდელი ზამთრისთვის. ყოველ შემთხვევაში, ყველა ექსპერტი, ვისი მოსაზრებაც მოვისმინე, ამას აღიარებს. თქვენ რას იტყოდით ამასთან დაკავშირებით?

**სოსო ცისკარიშვილი:** ცხადია, ვგულშემატკივრობ ხელისუფლებას, რომ წარმატებული იყოს მისი მცდელობა, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როდესაც, განურჩევლად ჩვენი შეხედულებებისა, ყველა ერთად ან გავთბებით, ან გავიყინებით. შესაბამისად, ხელისუფლების და საზოგადოების ერთიანობა, არსებული პრობლემის დასაძლევად მიმაჩნია ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად, რომელიც გარკვეული წარმატების და სირთულეების უკეთესად გადატანის წინაპირობა უნდა იყოს. საზოგადოება იმედიან განცხადებებს ისმენს ხელისუფლებისგან, მაგრამ ასეთი ოპტიმიზმის ფინანსურ-ეკონომიკურ დასტურს ვერ გაიზიარებს, რადგან ეს მისთვის უცნობია. ხოლო, ხელისუფლების მიმართ ნდობის ხარისხი ეს უკვე ინდივიდუალური გემოვნების საკითხია თითოეული ჩვენი მოქალაქისთვის.

**მ.ჭ.** ვთქვათ, საზოგადოებისათვის უცნობია, მაგრამ ექსპერტებისთვის თუ არის ხელმისაწვდომი დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით?

**ს.ც.** რასაკვირველია, ალტერნატიული გზების ძიება რუსული ენერგეტიკული ბაზრისთვის მარტივი საკითხი არ არის და არც ერთი და ორი თვის გადასაწყვეტი პრობლემაა. თუ ვინმესთვის მოულოდნელი იყო რუსული გაზის გაძვირება, მაშინ საქმე გვქონია პოლიტიკურ სიბეცესთან. მე ვგულისხმობ უკანასკნელ გაძვირებას. შარშანდელი- გეგმაზომიერი და მოსალოდნელი იყო. წელს შეიძლება ვინმე გაორმაგებას არ ელოდა, მაგრამ არც რაიმე შეღავათის მოლოდინი უნდა ყოფილიყო. პირიქით, პოლიტიკური თვალსაზრისით, ჩვენი ქვეყნის პერსპექტივებიდან გამომდინარე, გაზის გაორმაგება და მისი გათანაბრება დასავლეთ ევროპისთვის მიწოდებულ გაზის ფასთან, საქართველოს რუსეთთან მიმართებაში სრულიად უნიკალურ სიტუაციაში აყენებს. მე ვთვლი, რომ ამით რუსეთმა საქართველო არა მარტო დე-იურედ, არამედ დე-ფაქტოდაც აღიარა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად, გათავისუფლდა შემდგომი დაპყრობის იდეებისგან და არანაირ შეღავათზე აღარ ლაპარაკობს. შეღავათი შეიძლება გაუწიო საკუთარ ვასალს. ჩვენ, როდესაც ასეთი შეღავათებით აღარ ვსარგებლობთ და გვესაუბრებიან ისე, როგორც ევროპის სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ეს, რასაკვირველია, მომგებიან სიტუაციაში გვაყენებს ზოგიერთ ჩვენს მეზობელთან შედარებით, რომელიც შესაძლოა ნაკლებს იხდის, მაგრამ რუსეთს ქვეშევრდომი ჰგონია.

**მ.ჭ.** შეგიძლიათ შედარებისთვის კონკრეტულად რომ ვთქვათ ეს ფასები?

**ს.ც.** 230-240 დოლარი ათას კუბურ მეტრში იყო შეთავაზებული და დამუქრებული უკრაინისთვის, ვიდრე პრემიერ-მინისტრი იანუკოვიჩი გახდებოდა. მიხარია და მისალოცი მაქვს ჩვენი ქვეყნისთვის, რომ რუსეთმა საქართველოში დასაყრდენად ვერ მონახა ვერც ერთი იანუკოვიჩი, რომლის იმედადაც დააკლებდა ფასს. 170 დოლარია მოლდოვასთვის, ცხადია დნესტრისპირეთში ბევრად ნაკლებია, ისევე, როგორც ცხინვალსა და სოხუმში. ესეც პოლიტიკური შანტაჟის ისეთი ღია დადასტურებაა, რომელიც განხილვას არ საჭიროებს. ამდენად, აქედან ჩვენ უნდა ვეძებოთ ის სიკეთე, რაც ამ სიტუაციამ შესაძლოა პარალელურად მოიტანოს.

**მ.ჭ.** ერის და ხალხების ძალიან კარგი თვისებაა, როდესაც ყველა ცუდში ეძებს კარგს და საიმედოს. მაგრამ, მაინც რა იქნება წელს რეალურად, ვთქვათ მოიძებნა ალტერნატიული გზები, მთავრობა გადახდის ალტერნატიულ ვარიანტებს ამუშავებს, მაგრამ თუ მოსახლეობა მოამზადა ამისთვის ხელისუფლებამ?

**ს.ც.** მიმაჩნია რომ ჩვენი ხელისუფლების უპირველესი პრიორიტეტი საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნებაა და მერე ყველაფერი სხვა. იმიტომ რომ მიაჩნია, თუ არ არის თავად, სხვა ვერ მიაღწევს ვერანაირ შედეგს. ძალაუფლების შენარჩუნება, მხოლოდ ასეთი კლიპების წარმოებით, რომელიც არა მხოლოდ ინტერესს, არამედ გაღიზიანებასაც იწვევს მიუღებელია, ამის გამოცდილება კომუნისტური წარსულიდან გვაქვს, თუ არ იქნება უფრო ადამიანური და უფრო კონკრეტულად გაგზავნილი მესიჯები საზოგადოების მხრიდან.

**მ.ჭ.** რომ მოემზადებინა ხელისუფლებას საზოგადოება ზამთრისთვის, რა უნდა გაეკეთებინა ამისთვის?

**ს.ც.** უნდა ყოფილიყო ღია და მუდმივი დიალოგი საზოგადოებასთან ენერგოკრიზისის თემებზე, შეკითხვაზე პასუხი, მათ შორის ირანულ გაზზეც. 1992 წლიდან მოყოლებული, საკმაოდ აქტიური საუბრები იყო ირანულ გაზზე. ყველა ცდილობდა საკუთარი როლი შეეტანა. მათ შორის 1994 წელს ირანში ჩავიდა ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე. ახლა, ჩართულები არიან ამ საკითხებში, მაგრამ კონფიდენციალურია ფასი. გარდა ამისა, მოსახლეობისთვის მთავარი შეკითხვა რაც არის, ამაზე სდუმს ხელისუფლება. 110 დოლარს ვიხდით დღესაც ათას კუბურ მეტრში, ვინ იხდის ამ ფასს? რუსული კომპანია, რომელიც ყიდულობს "გაზპრომისგან" და შემოაქვს საქართველოში, შემდეგ ჩემს სამზარეულოში რატომ ღირს ეს გაზი 200 დოლარზე მეტი?

მოკლედ

### გალის რაიონში ავტობუსი დააყაჩაღეს

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში სამგზავრო ავტობუსზე შეიარაღებული თავდასხმა მოხდა. ნიღბიანი, ავტომატებით შეიარაღებული ხუთი პირი თავს დაესხა სამგზავრო ავტობუსს. დამნაშავეებმა მძღოლს მანქანის გაჩერება მოსთხოვეს, რის შემდეგაც მგზავრები გაძარცვეს, წაართვეს ფული და პროდუქტები, რომლებიც ზუგდიდის ბაზარში გასაყიდად მიჰქონდათ. თავდამსხმელებმა მამაკაცებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ჰაერში რამდენჯერმე გამაფრთხილებელი გასროლა გააკეთეს. თუმცა, დაშავებულები არ არიან. თავდამსხმელებმა მძღოლი გააფრთხილეს, რომ ზუგდიდის მიმართულებით რეისებისგან თავი შეიკავოს. როგორც თვითმხილველები აცხადებენ, თავდამსხმელები რუსულ ენაზე საუბრობდნენ. მათ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა მოახერხეს. **ინტერპრესნიუსი**

### მოშიმშილე პატიმრები იზოლირებას მოითხოვენ

იგორ გიორგაძის მომხრე და "სამშობლოს ღალატის" ბრალდებით დაკავებული მოშიმშილე პატიმრები სხვა დაკავებულებისგან იზოლირებას მოითხოვენ.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები-ადამიანის უფლებებისათვის" წევრმა, ადვოკატმა გელა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, მოშიმშილეები მოითხოვენ, რომ ციხის ადმინისტრაციამ მათ კანონით გათვალისწინებული პირობები შეუქმნას, რაც სხვა არამოშიმშილე პატიმრებისგან განცალკევებას გულისხმობს. მისივე თქმით, ისინი დაუყოვნებლივ გათავისუფლებას და ობიექტური გამოძიების ჩატარებას ითხოვენ, რაც წაყენებულ ბრალდებაში მათ უდანაშაულობას დაადასტურებს. ნიკოლაიშვილის ინფორმაციით, გუშინ შიმშილობას ქალთა საპყრობილეში მყოფი მაია თოფურიაც შეუერთდა. როგორც ცნობილია, 31 ოქტომბერს სასამართლოს დარბაზიდან გაძევებისა და დამცველის იძულებით დანიშვნის გამო, რუსთავის N6 საპყრობილეში მყოფმა პატიმრებმა თემურ ჟორჟოლიანმა, გურამ პაპუკაშვილმა, ვახტან ტალახაძემ, კახა ქანთარიამ, გიორგი მეტრეველმა, რევაზ ბულიამ, იაკობ კვინიკაძემ, ზაზა დავითაიამ, ვარლამ გალდავამ რამაზ სამნიძემ და გიორგი ახობაძემ 1 ნოემბრიდან შიმშილობა დაიწყეს. ისინი სამართალდამცველებმა 2006 წლის 6 სექტემბერს დააკავეს, 31 ოქტომბერს კი სასამართლომ პატიმრობის ვადა კიდევ ერთი თვით გაუგრძელა. **ინტერპრესნიუსი**

### ყველაზე მეტი თანხა სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე იხარჯება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან იუსტიციის სამინისტროსთვის გაწეულმა ხარჯმა 54.5 მილიონი ლარი შეადგინა. ყველაზე მეტი - 30.8 მილიონი ლარი სასჯელაღსრულების დაწესებულებების ფინანსურ უზრუნველყოფასა და მათ რეაბილიტაციას მოხმარდა. დანარჩენი კი შემდეგნაირად გადანაწილდა: სამოქალაქო რეესტრის სააგენტო - 5.9 მლნ. ლარი; საინვესტიციო პროექტები - 3.8 მლნ. ლარი;

სხვა ხარჯები - 14 მლნ. ლარი. ცნობისთვის, მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული ხარჯი სულ 2 905.7 მლნ ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

### საქართველოში საბაჟო წესებს ჩინელებიც არღვევენ

ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის თანამშრომლებმა საბაჟო წესის დარღვევის ფაქტზე ჩინეთის რესპუბლიკის მოქალაქეები ამხილეს. როგორც ფინანსურ პოლიციაში აცხადებენ, ჩინეთის მოქალაქეებმა, ჩუანგ რენვანგიმ და ჩენგ ჩაოველიმ, რომლებიც საქართველოში ინდმეწარმეებად არიან რეგისტრირებულნი, ჩინეთიდან დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების საყოფაცხოვრებო პროდუქცია და ტანსაცმელი შემოიტანეს. ფინანსური პოლიციის ინფორმაციით, ინდმეწარმეებმა დეკლარაციაში ტვირთის საბაჟო ღირებულება შეამცირეს და დიდი ოდენობით საბაჟო გადასახადი დამალეს. დაწყებულია საგამოძიებო მოქმედებები, ტვირთი ამოღებულია და ნატახტრის საბაჟო ტერმინალშია გადატანილი. ექსპერტიზის დასრულების შემდეგ დამალული საბაჟო გადასახადის ზუსტი ოდენობა განისაზღვრება. ფინანსურ პოლიციაში გამოძიება საბაჟო წესის დარღვევის მუხლით დაიწყო. **პრაიმ-ნიუსი**

## "საქართველოს ბანკის" კლიენტი "ანელიკის" პრიზიორი გახდა



*"საქართველოს ბანკის" კლიენტი ლიზა სახვაძე სწრაფი ფულადი გზავნილების საერთაშორისო სისტემა "ანელიკის" მიერ ჩატარებული გათამაშების გამარჯვებული აღმოჩნდა. "ანელიკმა" იგი, როგორც მისი მუდმივი მომხმარებელი, პრიზით დააჯილდოვა.*

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ "ანელიკმა", რომლის სტრატეგიული პარტნიორები საქართველოში სულ ორი ბანკი - "საქართველოს ბანკი" და "სახალხო ბანკი" გახლავთ, გამოაცხადა საერთაშორისო გათამაშების შესახებ, რომელში მონაწილეობაც "ანელიკის" მუდმივ და აქტიურ კლიენტებს შეეძლოთ. "საქართველოს ბანკმა", თავის მხრივ, გათამაშებაზე ბანკის სამი კლიენტი წარადგინა. შედეგები კი სულ რამოდენიმე დღის წინ გახდა ცნობილი. დაწესებული ოთხი პრიზიდან, ერთი საქართველოს მოქალაქეს, "საქართველოს ბანკის" კლიენტს ლიზა სახვაძეს ერგო.

აღსანიშნავია, რომ გათამაშება, რომელშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით "ანელიკის" სტრატეგიული პარტნიორი ბანკები მონაწილეობდნენ, სრულად კომპიუტერიზებული იყო, ანუ გათამაშების მონაწილეთა მონაცემების შეფასებას კომპიუტერი აკეთებდა და საბოლოო შედეგებიც სწორედ კომპიუტერმა გამოავლინა. რაც შეეხება გათამაშების მონაწილეთა მიმართ "ანელიკის" მიერ წაყენებულ მოთხოვნას, იგი მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მონაწილე "ანელიკის" მუდმივი კლიენტი უნდა ყოფილიყო. ლიზა სახვაძეს "ანელიკის" პრიზი "საქართველოს ბანკში" გადასცეს.

# "კანონიერმა ქურდმა" სასამართლოს ჩვენება მისცა

პირველი გვერდიდან

სასამართლოზე დაცვის მხარემ რამდენიმე შუამდგომლობა დააყენა, რომელთაგანაც მოსამართლე მამუკა ნოზაძემ მხოლოდ ერთი - ფონოსკოპიური ექსპერტის მოწვევა დააკმაყოფილა. ექსპერტიზა გამოძიებაში არსებულ ფარულ სატელეფონო ჩანაწერებში დაფიქსირებული ხმის გასარკვევად დაინიშნა.

ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადებით, ტარიელ ფოცხვერია უკრაინის მოქალაქეა, რის გამოც, მისი საქართველოში გასამართლება დაუშვებელია. ადვოკატის თქმით, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი მან უკრაინაში ყოფნისას, მოქალაქეთა სარეგისტრაციო სამსახურიდან მოიპოვა.

მისივე თქმით, ამჟამად ფოცხვერიასთვის უკრაინის მოქალაქეობის კანონიერად მინიჭების საკითხს ადგილობრივი სასამართლო განიხილავს.

**"ვიდრე უკრაინის უზენაესი სასამართლო ტარიელ ფოცხვერიასთვის მოქალაქეობის კანონიერად მინიჭების შესახებ შეტანილ სარჩელზე საბოლოო გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, მისი "კანონიერი ქურდობის" მუხლით გასამართლება დაუშვებელია, რადგან იგი უკრაინის მოქალაქედ ითვლება, უკრაინის კანონმდებლობაში კი ამგვარი მუხლი არ არსებობს",** - განაცხადა ადვოკატმა .



"კანონიერ ქურდობაში" ბრალდებულმა "ტრასამ" უარყო "კანონიერი ქურდობა".

ინტერპრესნიუსი

შეგახსენებთ, რომ 27 მარტის ბუნტის მომდევნო დღეს შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა "გამოცხადებული გაქცევის ქრონიკა", - ფარული სატელეფონო ჩანაწერები, რომლის თანახმადაც, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებს, "კანონიერ ქურდებსა" და "მაყურებლებს" სატელეფონო კავშირი ჰქონდათ ტარიელ ფოცხვერიასთან, რომლისგანაც დირექტივებს იღებდნენ.

ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს ხელმძღვანელის ლევან გურგენიძის განცხადებით, **"ტარიელ ფოცხვერია "ქურდულ სამყაროში" ტარიელ ონიანის შემდეგ ყველაზე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ონიანის შემდეგ ის ყველაზე დიდი ფიგურაა, რომელიც საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე კრიმინალურ ჯგუფებს აკონტროლებდა",** - განაცხადა მაშინ ლევან გურგენიძემ.

ტარიელ ფოცხვერიასთვის წაყენებული ბრალი, დადასტურების შემთხვევაში, 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*24 საათი*

# ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა საქართველოში

*ქართული არასამთავრობო ორგანიზაციები სისტემატურად აქვეყნებენ ანგარიშს საქართველოში ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვის შესახებ. სწორედ ასეთი ანგარიშის საფუძველზე ამზადებენ ხოლმე დასკვნებს და შენიშვნებს საერთაშორისო ორგანიზაციები საქართველოს ხელისუფლებისთვის. ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით, ქვეყანაში რომ სერიოზული ხარვეზებია, ბოლო ხანებში რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციამაც აღიარა; მეტიც, საქართველოს ხელისუფლებას მითითებები და რჩევებიც მისცა სიტუაციის გამოსასწორებლად. არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრების ბოლო ანალიზი იმ საქმეებზე დაყრდნობით მომზადდა, რომლებსაც ორგანიზაციის ადვოკატები არა მხოლოდ ქართულ სასამართლოებში, არამედ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოშიც აწარმოებენ.*

**"6 წელია, ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს სტრატეგიული სამართალწარმოების პროექტს, რომლის ფარგლებშიც რამდენიმე ათეული საქმე ვაწარმოეთ, რომელშიც ადგილი ჰქონდა და დღესაც აქვს ფუნდამენტურ უფლებათა დარღვევას. სწორედ ეს დარღვევები გახდა ჩვენი ანალიზის მომზადების საფუძველი. ამ ეტაპზე ჩვენი მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ ევროკონვენციით დაცულ თუ რომელი უფლების დარღვევას ვხვდებით უფრო ხშირად და, შეძლებისდაგვარად, გავაანალიზოთ ამ დარღვევათა მიზეზები. ეს ანგარიში ევროსასამართლოში გაიგზავნება",** - აცხადებენ "კონსტიტუციის 42-ე მუხლში".

როგორც ცნობილია, 1999 წელს საქართველო ოფიციალურად აღიარეს ევროსაბჭოს 41-ე წევრად და მთავრობის მიერ ხელი მოეწერა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას. შედეგად, სახელმწიფომ პასუხისმგებლობა აიღო აღნიშნული საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას კონვენციით დაცული ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.

**"ევროპის კონვენციას საქართველოს შიდა საკანონმდებლო სივრცეში უშუალოდ მოქმედი ძალა აქვს. შესაბამისად, შიდა სასამართლოებმა საქმეთა განხილვისა და გადაწყვეტისას უნდა იხელმძღვანელონ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკითა და მისი პრეცედენტული გადაწყვეტილებებით და არა მხოლოდ სასამართლოებმა. სახელმწიფოს სხვა უწყებებმა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა თავისი ფუნქციების განხორციელებისას, როდესაც საქმე ეხება ადამიანის უფლებებს, უნდა იხელმძღვანელონ საერთაშორისო და პირველ რიგში, ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტებით. უკვე შვიდი წელია, რაც კონვენცია ჩვენს სამართლებრივ სივრცეში მოქმედებს, თუმცა დღეისათვის ადამიანის უფლებათა დაცვის სტანდარტები ქვეყანაში ნამდვილად შორს დგას ევროპულისაგან. ამის საფუძველს გვაძლევს ის პრაქტიკა, რაც "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატებმა შეიძინეს კონკრეტულ საქმეებზე მუშაობისას",** - აცხადებენ ორგანიზაციაში.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების საქმეების ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ხშირად უხეშად ირღვევა კონვენციის მე-2 მუხლით დაცული და გარანტირებული სიცოცხლის უფლება. აქ, უპირველეს ყოვლისა, ორგანიზაცია გულისხმობს ე.წ სპეცოპერაციებს, რომელსაც ახორციელებენ სამართალდამცველი ორგანოები; მათივე განმარტებით - დანაშაულთან ბრძოლის მიზნით. ორგანიზაციის წევრები არ დავობენ იმაზე, რომ თავისთავად, დანაშაულის აღკვეთა და დამნაშავე პირების დასჯა სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა და ის უნდა აღსრულდეს, მაგრამ მათი აზრით, დაუშვებელია ამ პროცესში სიცოცხლის უფლების იმგვარად ხელყოფა, როგორსაც სამწუხაროდ, ბოლო პერიოდში პოლიციელთა მხრიდან აქვს ადგილი.

ევროპული კონვენციისა და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების შესაბამისად, პოლიციის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უნდა მოხდეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, უკიდურესი ღონისძიების სახით, როდესაც ყველა სხვა საშუალება ამოწურულია და აშკარა საფრთხე ემუქრება სხვა ადამიანების ან თავად პოლიციელთა სიცოცხლეს.

**"ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკა კი მეტყველებს იმაზე, რომ სამართალდამცველი ორგანოების მიერ ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელებული თითქმის არც ერთი სპეცოპერაცია არ დამთავრებულა მსხვერპლის გარეშე. ამ ოპერაციებს შეეწირა სრულიად უდანაშაულო ადამიანების სიცოცხლეც, ვინაიდან სპეცოპერაციის ადგილი და შესაბამისი პერიმეტრი არ იყო სათანადოდ დაცული, მთლიანობაში ოპერაცია არ იყო სათანადოდ დაგეგმილი და ორგანიზებული. ევროპის სასამართლომ სწორედ ამ ნიშნით არაერთ საქმეში დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა",** - ასეთია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" დასკვნა. ამ ანალიზისვე მიხედვით, ევროკონვენციის მე-2 მუხლის აშკარა დარღვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც არ ხდება სპეცოპერაციების შედეგების ეფექტური, მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი გამოძიება. სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სპეცოპერაციების შედეგები, როგორც წესი, დამნაშავეთა "ლიკვიდაციად" "ინათლება", რაც იმთავითვე გამორიცხავს ეფექტურ გამოძიებას.

როგორც ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ასეთ შემთხვევებში, საქმის გამოძიება არ მიმდინარეობს იმ კუთხით, თუ რამდენად საჭირო, გადაუდებელი და აუცილებელი იყო პოლიციელთა მხრიდან ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება და ხომ არ ჰქონდა ადგილი გადაჭარბებული ძალის გამოყენებას. პრაქტიკულად, არ ხდება სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილი ადამიანების ახლო ნათესავების დაზარალებულად ცნობა.

**"წინასწარი გამოძიება, ჩვეულებრივ იწყება წინააღმდეგობის გაწევის და არა სიცოცხლის მოსპობის ფაქტზე. გარდაცვლილ პირებს კი სისხლის სამართლის საქმეში არ ეძლევათ საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული რაიმე სტატუსი (არც ბრალდებულის და არც დაზარალებულის), რაც ძალზე ართულებს მათი უფლებების დაცვას. მათი წარმომადგენლებისთვის საქმის მასალები ხელმიუწვდომელია საქმის წარმოების შეწყვეტამდე. შეწყვეტის საფუძველი კი ხდება ბრალდებულად პასუხისგებაში მისაცემის პირის გარდაცვალება. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სპეცოპერაციების და მათ შედეგად ადამიანთა გარდაცვალების ფაქტების გამოძიება მიმდინარეობს არაეფექტურად, რაც პირდაპირ არღვევს ევროკონვენციის მე-2 მუხლს",** - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები, რომელთა თქმით, კვლავ პრობლემად რჩება სახელმწიფოს მხრიდან ევროკონვენციის მე-3 მუხლის (წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისაგან დაცვის უფლება) დარღვევა.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" იურისტების განმარტებით, წამებას უფრო ხშირად ადგილი აქვს წინასწარი დაკავების ადგილებში აღიარებითი ჩვენებების თუ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ასეთ შემთხვევაში, მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება სამართალდამცველ ორგანოს, რომლის ძალაუფლების ქვეშაც დაკავებული პირი იმყოფება და, წამების ჩამდენი კონკრეტული ჩინოვნიკის დაუდგენლობის საფუძვლით, წინასწარი ძიების შეჩერება თუ შეწყვეტა პირდაპირ უხეშად არღვევს ევროპის სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

როგორც ორგანიზაციაში განმარტავენ, მათ ხელთ არსებული სტატისტიკით, წამების საქმეებზე დღეს არ არსებობს არც ერთი გამამტყუნებელი განაჩენი, რაც უდავოდ მეტყველებს იმაზე, რომ წამების ფაქტების გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს, მომხდარზე კი პასუხისმგებელი სწორედ სახელმწიფოა.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ანალიზში დიდი ადგილი ეთმობა სასჯელაღსრულების სისტემას. ორგანიზაციის წევრების განცხადებით, მიუხედავად დაწყებული რეფორმებისა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმართა ძირითადი ნაწილი მძიმე პირობებში იმყოფება. ძველი, დაზიანებული შენობები, უპაერობა, სანიტარულ-ჰიგიენური წესების დაუცველობა, საკნების გადატვირთულობა, საკვები რაციონის სიმწირე, სასმელი წყლის ნაკლებობა - ეს ყველაფერი პირდაპირ არღვევს მესამე მუხლით დაცულ უფლებებს.

პატიმრობაში მყოფ პირებს, რომლებიც აპირებენ ევროსასამართლოში განაცხადის გაკეთებას, მათი უფლებების შელახვის გამო, "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები ურჩევენ, თავდაპირველად საჩივრით მიმართონ ციხის ადმინისტრაციას პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით და მხოლოდ ამის შემდგომ გამოიყენონ ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული მექანიზმები.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების მიერ ევროსასამართლოში გაგზავნილ განაცხადთა დიდი ნაწილი ეხება ევროკონვენციის მე-5 მუხლის დარღვევას. აღნიშნული მუხლით დაცულია თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანის დაკავება უნდა მოხდეს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. დაკავებულს დაკავებისთანავე მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს დაკავების საფუძველი, უნდა მიეცეს უფლება, დაკავების კანონიერება გადასინჯოს ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

**"მე-5 მუხლით დაცული უფლება სწორედ იმ უფლებათაგანია, რომელიც, ასევე, ხშირად ირღვევა ხელისუფალთა მხრიდან. სისხლის სამართლის საქმეებში ვხვდებით შემთხვევებს, როდესაც ჯერ ხდება პირის დაკავება, ხოლო შემდგომ შესაბამისი მტკიცებულებების მოძიება, უარეს შემთხვევაში კი, მათი ფაბრიკაცია. თავისუფლების უფლება ირღვევა მაშინაც, როდესაც პირს აღმკვეთი ღონისძიების სახით უფარდებენ პატიმრობას მხოლოდ იმ ვარაუდის საფუძველზე, რომ იგი დაემალება გამოძიებას, გაანადგურებს მტკიცებულებებს ან მოწმეებზე მოახდენს ზეგავლენას. როგორც წესი, პროკურატურას დაპატიმრების შესახებ სასამართლოში შუამდგომლობის წარდგენისას ხელთ არ გააჩნია რაიმე მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებს ბრალდებულის მხრიდან ზემოაღნიშნული ქმედებების ჩადენის ვარაუდს; ანუ პატიმრობის შეფარდება ხდება მხოლოდ ეჭვის, ვარაუდის საფუძველზე და არა სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით, რაც პირდაპირ არღვევს ევროსასამართლოს მიერ მე-5 მუხლთან მიმართებაში დადგენილ სტანდარტებს. დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ უკიდურესი ღონისძიების სახით, აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით",** - განმარტავენ ორგანიზაციაში.

"კონსტიტუციის 42-ე მუხლი" ევროკონვენციის სხვა მუხლების დარღვევების შესახებ ცალკე ანალიზს ამზადებს.

*24 საათი*

# "შესაძლოა, "სონიმ" საქართველოში საქმიანობა შეწყვიტოს"

"სონის" საქართველოს წარმომადგენელის იოსებ ქოქოლაძის განცხადებით, შესაძლოა, "სონიმ" საქართველოში საქმიანობა შეწყვიტოს. ამის მიზეზი კი ფინანსური პოლიციის მხრიდან ცნობილი ფირმის საქმიანობით დაინტერესებაა. როგორც ცნობილია, აღნიშნული სამართალდამცველი ორგანო რუსთაველის გამზირზე მდებარე "სონის" ცენტრისა და კაფე "რუსთაველში", ასევე, ბათუმში "სონის" სათავო ოფისში სამი დღის წინ შევიდა. დალუქულია "სონის" ცენტრი, სადაც ინვენტარიზაცია და საბუღალტრო დოკუმენტაციის შემოწმება მიმდინარეობს. გამოძიების წინასწარი ვერსიით, "სონის" ცენტრში განუბაჟებელი საქონილით ვაჭრობდნენ და ე.წ. შავ ბუღალტერიას აწარმოებდნენ. ქოქოლაძე კი აცხადებს, რომ ფინანსური პოლიციის "სონის" ცენტრში შესვლა და ზოგიერთი მაღაზიის დალუქვა ხელისუფლების გეგმის ნაწილია, რის შესახებაც უკვე ინფორმირებული არიან უცხოელი პარტნიორები. ობიექტების დალუქვის მეორე დღესვე ფინანსურ პოლიციაში მოწმის სტატუსით დაკითხეს ფირმის მფლობელი ქოქოლაძე, თუმცა გუშინ იგი დასაკითხად კვლავ დაიბარეს. იოსებ ქოქოლაძის ადვოკატის სოსო ბარათაშვილის განცხდებით, ფინანსურ პოლიციაში ქოქოლაძის ყოფნას დაკითხვის სტატუსი არა აქვს და ეს, უბრალოდ, საინფორმაციო სახის შეხვედრაა. ბარათაშვილის განმარტებით, ფინანსური პოლიციის მხრიდან "სონის" მფლობელს ჯერჯერობით არანაირი საფრთხე არ ემუქრება; საუბარი არ არის არც ბრალის წაყენებაზე.

"ჯერჯერობით, საქმის მასალებიდან გამომდინარე, ასეთი პერსპექტივა არ იკვეთება", -აღნიშნა ადვოკატმა.

რამდენიმესაათიანი დაკითხვის შემდეგ ქოქოლაძემ ფინანსური პოლიცია უკომენტაროდ დატოვა. შენობიდან გამოსვლის შემდეგ შეფასებების გაკეთებისგან თავი შეიკავა ადვოკატმა სოსო ბარათაშვილმაც.

ფინანსური პოლიციის თანამშრომლები კი რუსთაველის გამზირზე მდებარე "სონის" ცენტრში მუშაობას კვლავ აგრძელებენ. რაც შეეხება კაფე "რუსთაველს", ის შეუფერხებლად მუშაობს.

*24 საათი*

# მოდით ვიცოცხლოთ ორშაბათამდე

## გამოფენა კონცეფციის გარეშე და ხინკალი Juice

*რამდენიმე დღის წინ მესიჯის სახით მივიღე მოწვევა ორი ხელოვანის ერთობლივ პერფორმანსზე. უბრალოდ, გელოდებითო. პაემანი ისევ იქ დაგვითქვეს, სადაც ამ დღეებში არტისტები იკრიბებოდნენ - ბავშვთა ეროვნულ გალერეაში, სადაც არტ-კავკასიის ბიენალეს მოსამზადებელი დეკლარაციისადმი მიძღვნილი ექსპოზიციები იხსნებოდა და ჩუმად იხურებოდა. სოფო ტაბატაძისა და ნადია წულუკიძის მოპატიჟება მივიღეთ და ის საღამოც სწორედ მათ მივუძღვენით. საუბარს ამ მოვლენით დავიწყებდით, რომ არა კიდევ ერთი პროექტი, რომელსაც იქვე გავეცანით და რომელსაც არა ქმედების, არამედ გამოფენის სახე ჰქონდა - "თბილისი 3. მოდი, ვიცოცხლოთ ორშაბათამდე". თუმცა შვეიცარიელი კურატორის დანიელ ბაუმანის ეს გამოფენა-პროექტი შესაძლოა, არაერთ ქმედით მოვლენაზე მეტი მოქმედების უნარით იყოს დაჯილდოებული.*

სოფო კილასონია

კონცეფცია არ აქვთ, არც შარშან ჰქონდათ და არც ორი წლის წინ. სწორედ ორი წლის წინ კურატორმა ბაზელიდან და ქალბატონმა ნანა ყიფიანმა ინტერდისციპლინარული და საერთაშორისო ექსპოების გამართვა დაიწყეს. საერთო თემა არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა, თუმცა მაინც არის ნიშნები ასოციაციებისა და ინსპირაციისთვის: ის, რომ საქმე თბილისთან აქვთ და ის, რომ დროის აღმნიშვნელი სახელი მუდამ ფიგურირებს. "Tuesday is Gone" - თბილისი 1. ასე დაიყო და შემდეგ, ანუ 2005 წელს ათვლა ოთხშაბათიდან დაიწყეს. "ოთხშაბათი უხმობდა მომავალს" და ამ ოთხშაბათის მომავალიც დადგა. 2006 წლის შუაგული, შემოდგომა, ორშაბათამდე სიცოცხლე...

კვირის დღეებით კონკრეტიკა სხვა არანაირ კონკრეტიკას არ ჰმატებს პროექტს. მონაწილე ხელოვანების გვარების ჩამონათვალი დიდ სიას წარმოადგენს. მოდით, მოვინდომოთ და ჩავიკითხოთ:

ჯონ არმლედერი, მარიკა ასათაინი, ჯასტინ ბილი, მიხო ბერთლანი, ლორანს ბოვინი, ლევან ჭოღოშვილი, კრეატორია, თეა ჯორჯაძე, სელინ დუვალი, გრანდ ოუფენინგზი, ვეიდ გაიტონი, რემო ჰობი, ნათან ჰილდენი, ჯორჯ კევლე, ემილ მაიკლ კლეინი, იუტა კოეტერი, ზო ლეონარდი, პაულინა ოლოვსკა, გელა პატაშური, მეითუ-ფერეთი, ელფი სემოტანი, მაია სუმბაძე, ოლეგ ტიმჩენკო, ევა ქეი ტრომბლე, პიოტრ უკლანსკი, ანდრო ვეკუა, პიტერ ციმტი, ანდრია ციტერი. ისინი და მათი ნამუშევრები მხოლოდ დღევანდელ დღეს და მომენტალურ ქმედებას აფიქსირებენ, თითქმის ყველა შემთხვევაში და ამით ეხმიანებიან მომავალს, ხან ორშაბათამდე და ხანაც კიდევ უფრო შორს. წამი, როგორც ნაწილი სრული დროისა - ეს არის მთავარი კონცეფცია, დამოკიდებულება, რომელიც თანამედროვე ხელოვნების ზოგადი ათვლის წერტილია თითქმის ყოველთვის, თუ საქმე განზრახ დესტრუქციასთან არ გვაქვს, თუმცა ამგვარ შემთხვევებშიც ყველაფერი მაინც იმიტომ იშლება, რომ ვინმემ, როგორმე ხელახლა ააგოს.

კურატორებს ვერ შევხვდით, თუმცა ხელთ ჩავიგდეთ ყველა ბეჭდური მასალა, რომელსაც პროექტი "თბილისი 3" გვთავაზობს. ერთ-ერთ გვერდზე კურატორი ნანა ყიფიანი საკუთარ კოლეგასა და თანამოაზრეს დანიელ ბაუმანს ეკითხება, თუ რატომ აირჩია მან ინიციატივის ხორცშესასხმელად მაინცდამაინც თბილისი. რესპონდენტი ფართოდ გაშლილი მოსაზრებებით პასუხობს, მაგრამ სულ პატარა ამონარიდს თუ წარმოვადგენთ, ყველაფერი მარტივად გახდება ცხადი: "მათ, ვინც შვეიცარიაში, ევროპაში ვიზრდებოდით, ხშირად გვეუბნებოდნენ, თუ რა მშვენიერს გახდიდა ჩვენს ყოფას მთავარ ქუჩაზე ცხოვრება, რომ იგი სიამაყეს, ძალაუფლებასა და სწორ მიმართულებას მოგვცემდა. მოგვიანებით ხვდები, რომ ყოველივე ეს ილუზიაა... დასავლეთში აღმოსავლური ხელოვნება და ისტორია არ ისწავლებოდა. დღეს




ყველა ესწრაფვის მოდერნიზმს, მაგრამ ვის აქვს წარმოდგენა ე.წ. 1920-30 წლების "თბილისის მოდერნიზმის" შესახებ?"

კურატორი ზემოაღნიშნულ ტექსტში კიდევ ხელოვნების ენებზე და მათ სპეციფიკაზე საუბრობს. ცხადია, რომ როგორც კურატორს დააინტერესებდა ამ ენების ურთიერთობის და გადამკვეთი წერტილების აღმოჩენა. არც ის არის გასაკვირი, რომ მათი გაგება მან არა მთავარ ქუჩაზე, არამედ თბილისში გადაწყვიტა. ალბათ როგორც ნიჭიერმა და წარმატებულმა ადამიანმა იცის, რომ ქართული მოდერნიზმის უჩეულობა უფრო საინტერესო კვალს დატოვებდა, ვიდრე ევროპული გახისტებული არტი. ასე რომ, უკვე მესამე წელია, რაც მისთვის საინტერესო არტის ენის გარდა, კიდევ სხვა ენებს ეძებს თბილისში და ამაში ბაუმანსა და ქალბატონ ნანა ყიფიანს მეტად საინტერესო პიროვნებები, არტისტები ეხმარებიან, რომლებმაც "თბილისი 3-ის" ფარგლებში ექსპოზიციის გარდა (რომელიც ამჟამადაც მიმდინარეობს) ვიდეო ნამუშევრების ჩვენებები და საუბრები გამართეს.

ასეთი დამიხვდა ბავშვთა ეროვნული გალერეას მეორე სართული. მესამეზე უნდა გადავინაცვლოთ. "ხინკალი Juice" - ორ ადამიანს, ბევრისთვის უკვე კარგად ნაცნობსა და საინტერესო პიროვნებებს წარმოადგენს. სოფო ტაბატაძეს - მხატვარს, მულტიმედიური ინტერესებით გატაცებულ არტისტს დიდი ხანია, რაც საფუძველში მოცეკვავე ნადია წულუკიძე უთანაგრძნობს, ამიტომაც რამდენიმე მათ ერთობლივ ნამუშევარს, ხან ვიდეოს და ხანაც პერფორმანსს რამდენჯერმე გავცნობივართ. ერთობლივი მუშაობის არც ისე ცოტა ხნის მიუხედავად, გუშინ საღამოს ნანახი, საუკეთესოდ უნდა ჩავთვალოთ. აღნიშნული სახელით ისინი პირველად წარუდგნენ საზოგადოებას. მათი პერფორმანსი რამდენიმე აქცენტისგან შედგებოდა, თუმცა ცხადი გახლდათ მთავარი ობიექტი და თემა, რომლის გარშემოც წინსაფრებაკრული ორი ხელოვანი ქალბატონი დაფაციფუცობდა. სადაც იყო ხინკალს "ჩაყრიდნენ", მაგრამ რა ექნათ, რომ სათქმელი ჰქონდათ ბევრი. პირდაპირი და ირიბი, აშკარა და პირობითი ჟესტებითა და ტექსტებით მათ დახვეწილი და კარგად აწყობილი აქცია-თამაში შემოგვთავაზეს.

კოხტად და მყუდროდ მოწყობილ ოთახში სუბუტექსის აბთან განშორების სცენა მოგვიწყვეს და შემდეგ, რაც თავად ვერ გვითხრეს, მათ მიერ გაკეთებული პატარ-პატარა ვიდეოფილმებიდან მოგვახალეს. ოღონდაც ისე, რომ წონასწორობა არ დარღვეულა. ტაბატაძისა და წულუკიძის არტისტულ ობიექტივში მოხვდა არაერთი გაფრენილი ფრაზა, ახალი სტილის დევიზი, რომლებსაც უახლოეს წარსულში მარჯვნიდან და მარცხნიდან გვესროდნენ და მერე ისე გაგვიჯდა გონებაში, რომ ლექსიკაც გავიმდიდრეთ. "წინ, დავით აღმაშენებლის საქართველოსკენ" "მარშუტკებით" პლეხანოვისკენ და რაც მთავარია, იმ გზებით, რომელიც ათასჯერ გადავთხარეთ და მაინც ვერ გავასწორეთ. ამგვარ აქცენტებს მხატვრებმა ბევრად უფრო ფართო, რეგიონალური კონტექსტის შენიშვნები მიაყოლეს. კავკასიელი მამაკაცის სახე ეკრანზე, ტიპური ფრაზებით სადღეგრძელოებით გვახალისებდა. სადღეგრძელო, როგორც ლექსი სამშობლოზე, სიყვარულზე და ა.შ. სმა-ჭამის თემა ეკრანზე არ დასრულებულა. "დედის მოხარშული მურაბები" - უცოლო მამაკაცებს პირდაპირ პერფორმანსის დროს მიართვეს, არც არაყი დავიწყნიათ, არც მჟავე კიტრი და მეტი სითბოსა და მეტი სიყვარულისთვის - ალტერნატიული გაზი და ალტერნატიული ენერგია ჩვენამდე სანთებელისა და ფარნების წყალობით მოტანილი.

ყველაფერი ვერ დამთავრდებოდა სათანადოდ, გემრიელად ხინკლის წვენი რომ არ შემოეტანათ და ასეც მოხდა. არავინ გაბრაზებულა. არც დედაკაცი და არც მამაკაცი. გუშინ იმ საზოგადოებამ მიიღო აქციაზე მისაწვევი მესიჯი, ვისაც ხელოვანისგან ნამდვილი და რეალური ქმედება არ სწყინთ, ოღონდაც კი თქვან სიმართლე და თან საინტერესოდ. წესითა და რიგით, ყველაფრის მერე უნდა გვეთქვა, ანდა ერთმანეთისთვის გვეკითხა, ხომ არ იყო სოფოსა და ნადიას ახალ წარმოდგენაში შიშველი აზრი, ანდა გვეთქვა სხვა რამე ამის მსგავსი, მაგრამ ამისთვის არ გვეცალა. ყველა მათ მიერ დარიგებულ ქაღალდებს ვკითხულობდით. იქ ისეთი ფაზები ამოვიკითხეთ, რომლებიც ჩვენ კავკასიელებს ერთმანეთზე გვითქვამს, ანდა როგორც ფაქტი, დაგვიფიქსირებია. წავიკითხეთ პატარა ტექსტები: არაფერი განსაკუთრებული, არაფერი ისეთი, რაც აქამდე არ გაგვიგონია და არ გაგვლიმებია, მაგრამ ხინკალი Juice-ის დაგემოვნების შემდეგ უფრო ლაღად ვიცინეთ:

"სომხებს ბევრად დიდი ცხვირები აქვთ, ვიდრე ქართველებს."

"სომხებს რა უჭირთ, მათ დიდი დიასპორა აქვთ"

"აზერბაიჯანს რა უჭირს, მას ნავთი აქვს"

"კავკასიის რეგიონში საქართველო ყველაზე ახლოსაა ევროპასთან"

"ქართული სულ მწვანეშია, სომხეთის საზღვარს იქით მხოლოდ ქვებია"

"სომხებსა და აზერბაიჯანელებს ურთიერთობა შეუძლიათ"

კიდევ ბევრი ასეთი და უფრო უკეთესი წავიკითხეთ. მაგრამ იმისთვის, რომ შთაბეჭდილება რეალურს მიუახლოვდეს, ერთი უნდა გაითვალისწინოთ: მერე რა, რომ "ქართველები ნაციონალისტები არიან და ერთმანეთს ქართულად ელაპარაკებიან", აღნიშნული ფრაზები ინგლისურად და რუსულად ეწერა. რუსულ ენაზე დაწერილი რომ წაგეკითხათ, სოფო ტაბატაძისა და ნადია წულუკიძის "მესიჯებს" ბევრად კარგად მიუხვდებოდით.

# რიტორიკული შეკითხვები და ტრივიალური პასუხები ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებით - 10 მცნება ძალაშია თუ...

*ალისა: - ხომ ვერ მეტყვით, საით წავიდე?*
*ჩეშირელი კატა: - გააჩნია, სად გინდა რომ მიხვიდე.*
**ლუის კეროლი,**
**"ალისა საოცრებათა ქვეყანაში"**

**ეს ცნობისთვის:**

ჯანმრთელ მოსახლეობას არ უყვარს ნარკომანები, ანდა რატომ უნდა უყვარდეს?

ნარკომანებსაც არ უყვართ საკუთარი თავი - ამაში მენდეთ. ისინი სიამოვნებით გახდებოდნენ ჯანმრთელები, რომ შეეძლოთ.

- კი მაგრამ, რატომ არ შეუძლიათ, - გაიკვირვებს საქმეში ჩაუხედავი ადამიანი, - რას მიკეთებენ ეს ექიმები, რისთვის არსებობს ნარკომანებისთვის განკუთვნილი კლინიკები. მაშ შველა არ უნდა არსებობდეს?!

არ არსებობს, რასაც თქვენ განკურნებას ეძახით, არ არსებობს! ნარკომანიას და გრიპს საერთო არაფერი აქვს. როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ამ ფაქტთან შეგუება, ეს ესეა - ნარკომანია ქრონიკული, რემიტირებადი დაავადებაა. განა არსებობს უკვდავების წყალი ჰიპერტონიით ან დიაბეტით დაავადებულთათვის, შიზოფრენიისთვის? ქრონიკული დაავადებების დროს ექიმის მიზანია გადაიყვანოს პაციენტი რემისიის (დროებით, მეტ-ნაკლებად ნორმალურ) მდგომარეობაში.

იგივეა ნარკოტიკებზე დამოკიდებულების შემთხვევაში - **საუბარია მხოლოდ რემისიაზე!** კარგი რემისია გრძელდება დიდხანს, შეიძლება მრავალი წლის განმავლობაში, რის მერეც, ადამიანს შეიძლება დაავიწყდეს კიდეც, რომ ის როდესღაც დამოკიდებული იყო ნარკოტიკულ ნივთიერებაზე, ცუდი რემისია 6 თვემდე და ნაკლებ ხანს გრძელდება. თუმცა, ოჯახისთვის ესეც შეღავათია.

ამ ორიოდ წლის წინ ჩვენ კანონით ვაღიარეთ, რომ ნარკომანია არის დაავადება. გამოკითხვების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ 99% ჩვენი მოსახლეობისა აღიარებს, რომ ეს დაავადებაა. კი ვაღიარეთ, რომ დაავადებაა, მაგრამ ვერ ვაღიარეთ, რომ ქრონიკულია, და ვერ ვაღიარეთ, რომ ფსიქოფიზიოლოგიურია.

სწორედ იმის გამოა ქრონიკული, რომ ფიზიოლოგიას იოლად ვშველით, ხოლო ფსიქიკურ ცვლილებებს, რომელიც მოყვება ნარკოტიკების მოხმარებას, ბევრად მეტი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ადამიანი უნდა შეიცვალოს. შეიცვალოს ფსიქიკურად. საზოგადოებას კი იმდენად ეჩქარება მისი განკურნება, რომ უკვდავების წყლის იმედი აქვს, ტაბლეტების, გადასხმების, დეტოქსის, ლობოტომიის, მერცხლის ბუდის, ღორის რძის, შელოცვების. შედეგი მცირეა, მაგრამ თუ ადამიანმა 6 თვე მაინც გაძლო ნარკოტიკების გარეშე, ყველას ჰგონია, რომ უკვე განიკურნა.

- აი, როგორი ნებისყოფა აქვს!

- ადექი დილით, გადაისხი ცივი წყალი, დაიზილე ტანი, ივარჯიშე, ირბინე ძუნძულით, მოკიდე საქმეს ხელი... მე 30 წელი ვეწეოდი და ერთ დღეს რომ გადავწყვიტე და დავანებე სიგარეტს თავი, მას მერე, რაც ექიმებმა მითხრეს, რომ მოწევას თუ გააგრძელებ, ინფარქტი არ აგცდებაო - არ მომიწევია. - ეს მოახლოებული კომუნიზმის ეპოქის სენტენციები, რომ ყველა პრობლემა მარტივად გადაწყდება, თუ დილით ცივი წყალი გადაისხი თავზე, დღესაც ცოცხლობენ. თუმცა კომუნიზმი არ დადგა, მაინც გვჯერა, რომ ბედნიერი, ყველასთვის სამართლიანი, ყველასთვის ერთნაირი, ხოლო პირადად ჩვენთვის კიდევ უკეთესი ბედი, ჯერაც მოსალოდნელია.

არაო!

რწმენა კომუნიზმისა და იმ აჩრდილისა, რომელიც ევროპაში დადის, ასევე ფსიქიკური აკვიატების ნიშანია, რომელიც ჩვენს არაცნობიერში ზის მყარად და არ გვაძლევს საშუალებას პრობლემებს რეალურად შევხედოთ, მე კი ისევ ნარკომანებზე, შიზოფრენიაზე და დიაბეტზე გავაგრძელებ.

**რისთვის წამოვიწყე ეს საუბარი:**

გაგიგიათ დიაბეტით დაავადებული ციხეში ან დაჯარიმებული იმისთვის, რომ იგი დიაბეტითაა დაავადებული? იმისთვის, რომ ტორტებით და შოკოლადით იკვებება და დიეტის მაგივრად ინსულინს იკეთებს? არა? გასაკვირია. მონაცემებით, დაავადებულთა 70% კარგად იგრძნობს თავს ინსულინის გარეშეც, თუ საკუთარ კვებას კონტროლს გაუწევს. მაგრამ არ შეუძლიათ!

შიზოფრენიით დაავადებული ალბათ გაგიგიათ, ციხეში რომ წაიყვანონ, მაგრამ ჭკვიანი ადვოკატი სასწრაფოდ სასამართლო ექსპერტიზას მოითხოვს და მას სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანენ, უმკურნალებენ და გამოუშვებენ რემისიის ფაზაში. ვინ მოსთხოვს ექიმს გარანტიას, რომ შეტევა არ განმეორდება - ყველამ იცის, რომ შიზოფრენია ქრონიკული დაავადებაა. ფსიქიკურად დაავადებულთათვის კი არსებობს კანონი, რომლის მიხედვითაც მას ეკუთვნის მკურნალობა, მეურვეობა და მატერიალური ქონების დაცვა.

ნარკომანი ციხეში ალბათ იმდენი გაგიგიათ, რომ ჩამოთვლაც კი გაგიჭირდებათ! მე განა არ მესმის, რატომ ვთვლით დამსჯელობით ზომებს ნარკოტიკების მოხმარებაზე სამართლიანად - ნარკოტიკების მომხმარებელი შერაცხადია, მანამ წამალი მოქმედებს და **ს რ უ ლ ი ა დ** (დაყოფა ჩემია მ.ჭ.) შეურაცხადია ფიზიკური ტკივილების (ლომკის) ან მათი მოლოდინის დროს. მათი დიდი ნაწილი ყველაფერზე წამსვლელია.

ეს ფაქტი ალკოჰოლით თრობისაგან პრინციპულად განასხვავებს ნარკოტიკულ თრობას - ალკოჰოლური თრობისას ადამიანი რას მოიმოქმედებს - არავინ იცის, ფხიზელ მდგომარეობაში - იმას, რასაც საერთოდ აკეთებს - ფიქრობს იმაზე, რომ ამას იქით ამდენი სმა აღარ შეიძლება.

ხომ გჯერათ, რომ შემდეგ ჯერზე სახლში ფხიზელი დაბრუნდება ყვავილების თაიგულით ხელში? როგორც ამას კომუნიზმში მცხოვრები ქმრები გააკეთებდნენ, კომუნიზმი რომ დამდგარიყო?

თუმცა, ალკოჰოლიზმით დაავადებულები აშკარად იმდენი არ გვყავს, რამდენიც ნარკომანი, მაინც რაოდენობას არ ვუჩივით და მათი მკურნალობა და რემისიაში გადაყვანა კიდევ უფრო რთულია, ვიდრე ნარკომანებისა.

მსმელი ბიჭები ხომ გვყავს? გვყავს. მშრალი კანონის დროს ვინმემ შეწყვიტა სმა? არა.

მკეთებელი ბიჭებიც გვყავს.

***რიტორიკული შეკითხვა:*** ნარკოტიკებზე დამოკიდებულს რომ ციხეში ვსვამდით, რამდენ ხანს გრძელდებოდა რემისია?

***ტრივიალური პასუხი***: მანამ წამალს არ იშოვნიდა. ციხეში თუ მის გარეთ - მნიშვნელობა არ აქვს.

***რიტორიკული შეკითხვა:*** თუ დავაჯარიმებთ ან დავემუქრებით 500 ლარიანი დაჯარიმებით რას იზამს?

***ტრივიალური პასუხები***: 1) შეეცდება თავი დაანებოს - ნებისყოფის ხარჯზე (გარანტირებულია ცუდი რემისია, ხუთწლედის ვადამდე დასრულებასავით), ან 2) შეეცდება არ დაენახოს დამჯარიმებელს ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში.

- მაშ, საით წავიდეთ?

- გააჩნია სად გვინდა მისვლა!

**ახლა მთლად ჩვენი საუბრის მიზანს მივუახლოვდით:**

თუ ადამიანი ნარკომანიით არის დაავადებული, თუ ეს ქრონიკული დაავადებაა, თუ ამ დაავადებას მოჰყვება სოციალური ქცევის შეცვლა - სახლიდან ნივთების გატანა-გაყიდვა, ოჯახის წევრების დატერორება და ტრამვირება, მეზობლების შეწუხება, წვრილმანი ქურდობა (ერთჯერადი დოზის საშუალო ფასი 30 ლარია), კრიმინალურ წრეებში ჩართვა, ნარკომაფიისათვის საჭირო სხვადასხვა, არცთუ საამაყო, დავალების შესრულება და ა. შ., (შეგნებულად არ მინდა ჩამოვთვალო დღიური 30-ლარიანი შემოსავლების ყველა წყარო), რას გააკეთებს ის, თუ 500 ლარი ექნება ერთჯერადად გადასახდელი? მოუწევს თუ არა წვრილმანი ქურდობიდან მსხვილ ყაჩაღობაზე გადასვლა? ვის დააყაჩაღებს?

***ტრივიალური პასუხი***: მე და თქვენ.

თუ საშემოსავლოს პირნათლად იხდით, ეს დამატებითი და უსამართლო გადასახადია ჩემი და თქვენი ჯიბიდან სახელმწიფოსთვის, რომელიც მე და თქვენ უნდა გვიცავდეს, მიუხედავად იმისა, კომუნიზმს აშენებს თუ დემოკრატიას.

დაიჭიროს, ბატონო, გადამყიდველები, არც ერთი არ მეცოდება, ეგეთი კაცთმოყვრეც არ ვარ, მაგრამ რატომ მახდევინებს იმაზე მეტს, რაც კანონით მეკუთვნის?

ნარკომანებისათვის შექმნას ეფექტური მკურნალობის შესაძლებლობა, ან იზრუნოს იმაზე, რომ ნარკომანი აბსტინენციაში არ ჰყავდეს, როგორც ამას ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, კომუნიზმის აპოლოგეტი, სტალინიც კი, აკეთებდა - ამაზე ცალკეა სასაუბრო.

თუ ავადმყოფია, შეუქმნას სამკურნალო ეფექტური სერვისები, როგორც დიაბეტის შემთხვევაში აკეთებს (არსებობს!) და მე, როგორც მოქალაქე, ავიტან საშემოსავლოს ზრდასაც.

არაა საჭირო, რომ ამისათვის ვინმე ქუჩაში დამხვდეს, ან ბინა გამიტეხოს!

**ეს საკითხის ერთი მხარეა.** არსებობს მეორეც, და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი: ესაა მატერიალური და მორალური ზარალი, რომელსაც ნარკოტიკების მომხმარებელი თავის ოჯახს - მშობლებს, მეუღლეებს და შვილებს - აყენებს. თითქმის ყველას საქართველოში გვყავს ასეთი გაუბედურებული, ნაცნობი ოჯახი.

თუ არ იყაჩაღა, ეს ჯარიმა ოჯახმა უნდა გადაუხადოს, ხომ? მშობლები და მეუღლეები კიდევ უფრო დააწიოკოს, შვილებს ლუკმა პირიდან გამოგლიჯოს? ამას ციხეში ჯდომა, შიდსისა და C ჰეპატიტის, ტუბერკულოზის, დიაბეტის და კიბოს ერთად აკიდება ურჩევნია ბევრს და ამის ალტერნატივა მხოლოდ ყაჩაღობაა.

სად გვინდა რომ მივიდეთ?

ამას წინათ შემზარავი, თუმცა დოკუმენტურად დადასტურებული, ისტორია გავიგე - ვინმე ე.მ., ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელიც საავადმყოფოში დეტოქსის გაკეთებაზე არც კი ოცნებობს, იმდენად ძვირია მისთვის ეს ფუფუნება, სასამართლო გადაწყვეტილებით 800 ლარით დააჯარიმეს (არ მოვყვები ამ ისტორიის იურიდიულ ნაწილს). მას სახლში შიზოფრენიით დაავადებული დედის მეტი არავინ არ ჰყავს (დედის დაავადების საბუთიც არსებობს). ვინაიდან ეს ფული არ ჰქონდა, ბინა აუქციონზე, საბაზრო ფასთან შედარებით მინიმუმ ხუთჯერ უფრო იაფად გაუყიდეს, ავადმყოფი დედა ქუჩაში გამოუგდეს.

**თანდართული საეჭვო სიტუაცია** - ამ ამბებამდე ცოტა ხნით ადრე ბინის გაყიდვა შესთავაზეს და მან უარი თქვა.

მასზე აღარ ვსაუბრობ!

იურიდიულ დარღვევებზე საერთოდ არ ვსაუბრობ!

ადამიანის უფლებების დარღვევაზე ხომ საერთოდ არაა სასაუბრო.

მე ვსაუბრობ მართლმადიდებლობაზე, რომლითაც, ალბათ, თავი მოაქვთ ამ საქმეში გარეულ პირებს!

"...და რომელმან ასუას ერთსა მცირეთაგანსა სამუმელი ერთი წყალი გრილი სახელად მოწაფისა, ამინ გეტყვი თქუენ, არა წარუწყმდეს სასყიდელი მისი." (მათე, 10, 42)

ნუთუ განვითარებული სოციალიზმიდან დემოკრატიაში გარდამავალ ეტაპზე 10 მცნება უკვე ანაქრონიზმია და იმდენად მოძველდა, რომ კანონის აღსრულებას მოჰყვება ფსიქიკურად დაავადებული ქალის სახლიდან გამოგდება, ისედაც გაუბედურებულ ოჯახთა დაზარალება, კრიმინალის იძულებითი აღზევება, დახმარების სანაცვლოდ, ქრონიკულად დაავადებულ პირთა დევნა და დამატებითი ირიბი მოსაკრებელის იძულებითი ამოღება მოსახლეობიდან?

ეგებ საჭიროა გაცხადდეს ასეთი კანონების შესაბამისობა ევროსაბჭოს კონვენციებთან, ავტორების, იდეისმომწოდებლებისა და მხარდამჭერთა სახელები და მათი სტრატეგიული დაგეგმარების ფილოსოფიური და მორალური საფუძვლები.

გვეცოდინება მაინც, ვის როგორ ესმის შემწყნარებლობის, სიყვარულის და სამართლიანობის "უპარტიო" იდეები და საით მივდივართ.

**მარინა ჭავჭანიძე, ფსიქოლოგი**
**კავშირი ალტერნატივა ჯორჯია**



დავით კოპზირიძის სვეტი

# პერესტროიკა, ახლა უკვე წებოს არომატით

უნდა მომიტევოთ, მაგრამ ამ სვეტში სპორტის ხსენებაც არ იქნება. მიზეზი ერთია - რუსები მაგრად გვიტევენ და ჩვენ გამოსავალს ვეძებთ, შეურაცხყოფები გადავიტანეთ, მათი ნამდვილი, ნაცისტური სახეც კარგად დავინახეთ და ზამთარში ენერგო-დარტყმებსაც ველოდებით. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ არსებობს ორი რუსეთი, ცივილიზებული და ველური, ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი გაცილებით დიდი და უმართავია. ველური, ანუ ნამდვილი რუსეთი საქართველოს ვერ იტანს, თან თავსაც არ ანებებს. რა ვქნათ? "24 საათის" ერთ-ერთ წინა ნომერში დავწერე, რომ რუსეთიდან ყველა ქართველი უნდა წამოვიდეს. ეს პროცესი თითქოს დაიწყო და ეს ძალიან კარგია, მაგრამ არასაკმარისი სიტუაციის საბოლოოდ მოსაგვარებლად. საჭიროა დამატებითი ნაბიჯების გადადგმა და ერთი მათგანი, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს, დღევანდელი რუსული აგიტაციის მანქანამ მოგვასწავლა.

"ერტეერ პლანეტაზე" ღამ-ღამობით საინტერესო დოკუმენტურ ფილმებს აჩვენებენ. იმ დღესაც იყო ერთი, ოღონდ ის ვერ გავიგე, როგორ გავიდა რუსებისთვის თავისმომჭრელი ფილმი ერთ-ერთ ცენტრალურ არხზე.

ფილმი ეხება გორბაჩოვის პერიოდს, რომელიც საბჭოთა ჯღანის ნგრევასა და ახალ რელსებზე გადასვლას დაემთხვა. უმეტესობას ალბათ გახსოვთ ის დრო თავისი პერესტროიკებით და სხვა აგიტატორული შედევრებით, რასაც დღეს პიარკამპანია ეწოდება.

თუ პერესტროიკა გახსოვთ, მაშინ ისიც გეხსომებათ, რომ ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში საბჭოთა ხელისუფლებამ მშრალი კანონი შემოიღო და ეს იმით ახსნა, რომ ალკოჰოლის სიყვარულმა დიდი ერი კატასტროფის წინაშე დააყენა - ქმრები ცემდნენ ცოლებს, ცოლები - ქმრებს, სექსი აორთქლდა, შობადობა საზარლად შემცირდა, იმატა სიკვდილიანობამ, მუშაობა ყველას ფეხებზე ეკიდა და ასე შემდეგ. მიხაილ სერგეიჩმაც, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა: საბჭოთა ხალხმა სმა საერთოდ უნდა შეწყვიტოს, თან დაუყოვნებლივ!

მშრალი კანონის შემოღებიდან ორ დღეში საბჭოთა კავშირში, უფრო სწორად, მის რუსულ ტერიტორიებზე ნამდვილი კოშმარი დაიწყო და მესამე დღეს ისტერიკაში გადაიზარდა. დაიხურა სასმელით მოვაჭრე მაღაზიებისა და ალკოჰოლური პროდუქციის მწარმოებელი ქარხნების 90 პროცენტი, აიკრძალა იმპორტი და სამაგონი, ალკოჰოლით მოვაჭრე დარჩენილ მაღაზიებთან გაჩნდა 3-4 კილომეტრიანი რიგები, რომლებშიც იყო გაუთავებელი ჩხუბი, თმებით თრევა, ქილებისა და ბოთლების ერთმანეთზე დაფშხვნა.

დიადი რუსეთი ერთ წერტილში გაიყინა. მისი მოსახლეობის უზარმაზარი ნაწილი მხოლოდ ერთზე ფიქრობდა - როგორ დაელია. გარდა სულიერისა, ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისში ჩაეფლო: ბიუჯეტმა სამი წლის განმავლობაში დაახლოებით ასი მილიარდი მანეთი დაკარგა! სახელმწიფოს მეთაურის ვანდალური ბრძანებით, სსრკ-ს ტერიტორიაზე ვენახების 70 პროცენტი ტრაქტორებით განადგურდა. "ერტეერმა" ვაზის მოსპობის ეს საზარელი კადრებიც აჩვენა და ის მომენტიც, თუ როგორ გადაუდგა ტანკს წინ სერგო ზაქარიაძე "ჯარისკაცის მამაში." ცოტა არ იყოს, გამიკვირდა.

აყვავდა ჩრდილოვანი ეკონომიკა და სასმელით არალეგალურად მოვაჭრე ტიპებმა, რომლებსაც სწორედ ცეკას ბოსები მართავდნენ, აურაცხელი ფული იშოვეს. ეს ფული ძალიან მალე, პრივატიზაციის ერაში გამოჩნდა და რამდენიმე კაცმა მშრალი კანონისას ნაშოვნი ფულით მთელი ქვეყნის უძრავ-მოძრავი ქონება გადაინაწილა.

გაქანებული მშრალი კანონისას საბჭოთა ხელმძღვანელობის ერთი ფრთა, გორბაჩოვისა და რიჟკოვის თამადობით, მიხვდა, რომ ძალიან მიქარა და პროცესის შეჩერების საკითხიც დადგა, თუმცა ლიგაჩოვმა და მისმა ბანდამ ისეთი პანიკა ატეხა (ისინი ამტკიცებდნენ, რომ ერი გაჯანსაღების გზაზე დგას), სხდომათა დარბაზში კინაღამ ჩხუბი მოხდა.

მშრალი კანონი გაგრძელდა...

რუსებმა, რომლებიც თავქუდმოგლეჯილები მორბოდნენ საქართველოში (ვისაც გადაადგილების ძალა შერჩა) ლომკის შესაჩერებლად, დაიწყეს ყველაფრის სმა, რასაც კი სპირტის სუნი დაკრავდა. ფილმში აჩვენეს, როგორ სვამენ დიადი რუსეთის ღირსეული შვილები პარკეტის მოსაპრიალებელ ლაკს და როგორ აყოლებნენ პურზე წასმულ ფეხსაცმლის საპრიალებელ მაზს, რადგან ქვეყანა ისე განადგურდა, რომ მაღაზიებში საჭმელი საერთოდ აღარ იყიდებოდა.

აფთიაქებში შეიზღუდა სპირტის გაცემა, დახლებიდან გაქრა ოდეკოლონები და სუნამოები, რომლებიც ბომჟებში გასაოცარი პოპულარობით სარგებლობდნენ. კრიზისმა აპოგეას ქარხანა-ფაბრიკებში მიაღწია, სადაც ერთმა მუშამ ასეთი კოქტეილი გამოიგონა - აიღო დიდი ქილა წებო "პე-ვე-ა", ერთი ერთზე გააზავა წყალთან და შემდეგ რომელიღაც ბურღივით დაზგას შეუდგა. 15 წუთში ბურღმა მთელი წებოვანი მასა მიიკრა და ქილაში დარჩა სპირტი წებოს გემოთი. უნდა გენახათ, როგორ უჟუჟუნებდათ დანარჩენებს თვალები, რა ხარბად ცლიდნენ ჭიქებს და როგორ სუნავდნენ ხახვიან პურს...

დასკვნა: ჩვენ რუსეთში ღვინისა და ბორჯომის დასაბრუნებელი გზები კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ მთელ მსოფლიოს ვაჩვენოთ მათივე გადაღებული ეს შესანიშნავი ფილმი და იქნებ ყველამ ერთად შევაჩეროთ სასმელის შეტანა. მერე საზღვრები გადავუკეტოთ და სასაზღვრო ზოლში წებოს ქარხნები ჩავდგათ. ბიუჯეტიც გამდიდრდება, ისინიც დალევენ თავის კოქტეილებს და კეთილმეზობლური ურთიერთობაც აღდგება.

*მომავალ სამშაბათამდე*

რაგბი

# დავით ჩავლეიშვილი: "პორტუგალია არ შეცვლილა"

კახა ფაჩუაშვილი

პორტუგალიამ რუსეთი დაამარცხა რის ვაივაგლახით და საქართველოსთან შეხვედრის უფლება მოიპოვა. ამ დაპირისპირების ტრიუმფატორი საფრანგეთის საგზურს მიიღებს. ქართველებმა დღეს დაიწყეს შეკრება და დღეში ორჯერად ვარჯიშებზე გადავიდნენ. ესპანეთთან შედარებით გუნდში გარკვეული ცვლილებებია. მზადების პროცესის გარშემო გვესაუბრება საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი დავით ჩავლეიშვილი.

**- პორტუგალია - რუსეთის თამაში ნახეთ?**

- ვნახე.

**- როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- პორტუგალია არ შეცვლილა. ისეთივე ანტირაგბს თამაშობს, როგორც ადრე. უბრალოდ ცდილობს მეტოქეს ხელი შეუშალოს და არეულ თამაშში ჯარიმებით ისარგებლოს, რომელსაც მსაჯები მათ დიდსულოვნად უბოძებენ ხოლმე.

**- რუსები უკეთ გამოიყურებოდნენ სისწრაფითაც და შერკინების ხაზშიც...**

- რა თქმა უნდა, რუსებმა აჯობეს თამაშის ხარისხით და ჩემი აზრით, უყურადღებობით წააგეს. ისიც უნდა ითქვას, რომ მათი კარის მიმართულებით ორჯერ დაინიშნა გაუგებარი ჯარიმა, რომელთაგან პორტუგალიელებმა ერთი გამოიყენეს და სამი ქულით მოიგეს. სწორედ ეს არის ის დეტალები, რაც ჩვეულებრივ მოკვდავს თვალში ნაკლებად ხვდება, მაგრამ, რაც განაპირობებს კიდეც წარმატებას.

**- რაზე მიანიშნებთ, მსაჯების არაობიექტურობაზე?**

- თბილისურ მატჩს განსჯის არბიტრი დამასკო. ის ორჯერ სჯიდა მატჩებს ჩვენი მონაწილეობით და ორივე თამაში წავაგეთ. ეს ცუდი მაჩვენებელია, მაგრამ შევეცდებით პორტუგალია ისეთი ანგარიშით დავამარცხოთ, როგორიც ჩვენთვის იქნება ხელსაყრელი.

თანაც მსაჯი უცერემონიოდ ვერ მოიქცევა. უბრალოდ საჩოთირო მომენტებში შეიძლება ჩვენი მეტოქის მხარე დაიჭიროს. ჩვენ ამისთვის მზად ვართ და გულშემატკივრების მხარდაჭერის დიდი იმედი გვაქვს. ეს მხარდაჭერა უპრეცედენტო უნდა იყოს, რადგან თამაში გადამწყვეტია.

**- პორტუგალიის სუსტ და ძლიერ მხარეებზე რას იტყვით?**

- პორტუგალია ძლიერია ორთაბრძოლების დროს. მათ სწრაფი სამ-მეოთხედელები ჰყავთ და ეჭვი არ მეპარება, რომ ხაზიდან ითამაშებენ. შეეცდებიან ხაზით შემოგვიტიონ. ისინი არ გაურბიან ორთაბრძოლებს და რომ იტყვიან თავით გადაეშვებიან ხოლმე თამაშში, მაგრამ მათ არ აქვთ შემოქმედებითი რაგბის თამაშის რესურსები ისეთი, როგორიც "ბორჯღალოსნებს". ჩვენი გუნდი პორტუგალიას ტექნიკური არსენალითაც აღემატება და შერკინებითაც. ამიტომ წესით გამარჯვების პერსპექტივა ჩვენ უკეთესი გვაქვს.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**- ანუ ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც არასდროს. გვაქვს ამის რესურსები?**

- გუნდი ახლა უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ესპანეთთან. დაგვემატნენ ტრავმირებული პალიკო ჯიმშელაძე და გია ლაბაძე. რაც შეეხება ირაკლი მაჩხანელს მას ფეხის კუნთი აქვს გაწყვეტილი და მკურნალობს. სავარაუდოდ ირაკლი პორტუგალიაში განმეორებითი შეხვედრისთვის დაგვეხმარება. ერთადერთი პრობლემა ზირაქიშვილის ტრავმაა. სავარაუდოდ, შაბათს ის ვერ ითამაშებს.

**- ყველა მორაგბე თბილისშია?**

- კი გუნდი გუშინ საღამოს შეიკრიბა და სასტუმრო "ვარაზში" დავბინავდით. ჩვენი სპონსორების - 7-სქაის, საქაერონავიგაციისა და "სილქროუდ ბანკის" შეწევნით მოხერხდა ამ შეკრების მოწყობა და გუნდს საშუალება მიეცა გადამწყვეტ მატჩებს სრულ მზადყოფნაში შეეგებოს. ვარჯიშები ორჯერადი გვექნება. დილით 11 საათზე და საღამოს 5 საათზე. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ გუნდი სამი დღით იქნება ჩვენს განკარგულებაში. შემდეგ კი თავთავიანთ კლუბებში დაბრუნდებიან და ნოემბრის დაახლოებით 20 რიცხვისთვის კიდევ შევიკრიბებით.

**- ეს შეკრება სად მოხდება?**

- საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ გუნდი საფრანგეთში "მონფერანის" ბაზაზე შეიკრიბება და პორტუგალიასთან საპასუხო მატჩისთვის სწორედ იქ მოემზადება. ასე მოვიქეცით რუმინეთთან მატჩის წინ, ასე მოვიქცევით ახლაც და იანვრის ბოლოსაც, როცა ისევ რუმინეთში მოგვიწევს გასვლა ერთა თასის გათამაშების ფარგლებში.

**- ბუნებრივია მონფერანში შეკრება აჯობებს თბილისურს...**

- რასაკვირველია. ჯერ ერთი მონფერანი საფრანგეთის სამხრეთი ნაწილია და შესაბამისად პორტუგალიასთან ახლოს არის. ეს კი ადაპტაციისთვის მისწრებაა. ამას გარდა "მონფერანის" ღირსებას იცავს გოდერძი შველიძე და ამდენად არ გაგვიჭირდება იქაურობასთან შეგუება. თანაც გუნდის ახალზელანდიელი მწვრთნელი ყაბულსაა საქართველოს ნაკრებს გარკვეული კონსულტაციები გაუწიოს. უნდა ვეცადოთ განმეორებით მატჩს მაქსიმალურად მობილიზებულნი შევეგებოთ.

**- თბილისში რა ანგარიში დაგაკმაყოფილებთ?**

- მხოლოდ გამარჯვება. სასურველია 15-20 ქულით.

ფეხბურთი

# ღრუბლები ბუნდესლიგის თავზე

გიორგი ნაფარეული

*დრო იყო, ბუნდესლიგის კლუბები ინგლისელებთან ერთად შიშის ზარს სცემდნენ მთელ საფეხბურთო ევროპას. მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა და დღეს გერმანული გუნდები შორს არიან მოწინავე პოზიციებისგან.*

ფეხბურთი კამათისა და თეორიზირების თვალსაჩინო სფეროა, მაგრამ ძნელია ვინმე არ დაეთანხმოს მოსაზრებას, რომ 1970-იანი წლების მეორე ნახევარსა და 80-იანების დასაწყისში ბუნდესლიგა ფაქტიურად დომინირებდა კონტინენტის საკლუბო ტურნირებს. 1974-83 წლებში "ბაიერნი", "ჰამბურგი", "მიონხენგლადბახი", "ფრანკფურტი" და "დიუსელდორფი" რეგულარულად გადიოდნენ ევროთასების ფინალში და ხშირად იგებდნენ კიდეც მათ. მართალია, ამავე პერიოდში ჩემპიონთა თასი ინგლისელებს მეტჯერ აქვთ მოგებული, ვიდრე გერმანელებს, მაგრამ სამივე ტურნირის ნახევარ და მეოთხედფინალისტთა რაოდენობას თუ მივიღებთ მხედველობაში, გერმანელთა მაჩვენებლები აღემატება ინგლისელებისას. ამ მხრივ ქრესტომათიულია 1979-80 წლების ევროთასების გათამაშება: "ჰამბურგმა" მიაღწია ჩემპიონთა თასის ფინალს (სადაც, რა თქმა უნდა, დამარცხდა ინგლისურ "ნოტინგემთან"), ხოლო უეფას თასის ოთხივე ნახევარფინალისტი გერმანელი იყო (მეხუთე მონაწილე "კაიზერსლაუტერნი" "ბაიერნმა" გამოაგდო მეოთხედფინალში).



*საფეხბურთო გერმანია "ბაიერნის" იმედადაა.*

80-იანი წლების მეორე ნახევარმა მოიტანა ბუნდესლიგის წარმომადგენლების დაკნინება საკონტინენტო სარბიელზე და ეს პროცესი სულ უფრო ღრმავდება. ჯერ იყო და იტალიური სერია A-ს კლუბებს მოუხსნეს ლიმიტი უცხოელ მოთამაშეებზე და მეტად გართულდა კონკურენციის გაწევა მდიდარი მეპატრონეებისა და მსხვილი კორპორაციების მიერ მართული იტალიური და ესპანური კლუბებისადმი, ხოლო შემდგომ ე. წ. "ბოსმანის წესმა", რომელმაც საერთოდ მოხსნა ლიმიტი ევროკავშირის ქვეშევრდომ მოთამაშეებზე, კიდევ უფრო გაზარდა ჰანდიკაპი მდიდარ იტალიურ, ესპანურ და ინგლისურ კლუბებსა და ყველა დანარჩენს შორის. შესაბამისად, 90-იანი წლების შუაში ბუნდესლიგა, პირველად თავის ისტორიაში, აღმოჩნდა უეფას სარეიტინგო სამეულს მიღმა და თუ 1996-97 წლებში "დორტმუნდის", "ბაიერნისა" და "შალკეს" საგმირო საქმეებმა შედარებით გამოასწორეს სიტუაცია (გერმანია, რეიტინგით მეორე - 1998 წელს და მესამე - 2000 წელს), 2005 წლის მონაცემებით ბუნდესლიგა მეტად უხერხულ მეხუთე ადგილზე აღმოჩნდა (ტრადიციულ მეტოქეთა გარდა, თავისზე წინ გაატარა ასევე საფრანგეთი). რით შეიძლება აიხსნას მსგავსი სიტუაცია? პირველ რიგში იმით, რომ მიუნხენის "ბაიერნის" გარდა, ბუნდესლიგის კლუბებს არა აქვთ იტალიელთა, ესპანელთა და ინგლისელთა მსგავსი ფინანსური მდგომარეობა. დიდ ფულს კი, ცხადია, დიდი მოთამაშეები მოჰყვებიან. მეორე მიზეზი ალბათ, თავად გერმანელთა მენტალიტეტში უნდა ვეძებოთ: რამდენიმე წლის წინ ბაიერნის ვიცე-პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ ვრცელი ინტერვიუ მისცა "ფრანს-ფუტბოლს", რომელშიც გამოთქვა მოსაზრება, რომ "ბაიერნს" ყველა საშუალება აქვს შეიძინოს რონალდო (რომელიც იმ დროს ყველაზე ძვირად ღირებული ფეხბურთელი იყო მსოფლიოში), მაგრამ საშუალო გერმანელი ვერ გაგვიგებს, თუ ჩვენ რომელიმე, თუნდაც გენიალურ ფეხბურთელს, ამოდენა ხელფასს გადავუხდითო. ამიტომ არც არის გასაკვირი, რომ "ბაიერნი", რომელიც საინვესტიციო თუ სარეკლამო შემოსავლების მხრივ შესაძლოა ევროპის ხუთეულშიც იყოს, ესოდენ ინერტულია ვარსკვლავების ყიდვისას. შესაბამისად, მიუნხენური გიგანტისგან განსხვავებით, ბუნდესლიგის სხვა კლუბების მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალოა, მაგრამ ყველაფერი ფინანსური სიდუხჭირითაც არ უნდა აიხსნებოდეს: ასე მაგალითად, თუ უეფას თასის შარშანდელ გათამაშებაში "მაინცი" და "შალკე" გამოაგდეს "სევილიამ" და "მიდლსბრომ" ("ბორომ" ნიგერიელ თავდამსხმელის აიეგბენი იაკუბუს სანაცვლოდ 7.5 მილიონი გირვანქა გადაიხადა, რაც, მაგალითად, "შტუტგარტის" სარეკორდო თანხას 3 მილიონი გირვანქით აღემატება), სრულიად გაუგებარია "ლევერკუზენის" გამოძევება სოფიას "ცსკა"-ს მიერ. აღარაფერს ვამბობთ "ჰერტასა" და "ჰამბურგის" ფიასკოზე იმავე გათამაშებისას ბუქარესტის "სტიაუას" წინაშე. სავალალო ტენდენციები წელსაც გრძელდება: უეფას თასზე ბერლინის ჰერტა დაამარცხა დანიურმა "ოდენსემ", ხოლო ბუნდესლიგის გრანდი - "შალკე" შერცხვა მეორეხარისხოვან "ნანსისთან". ჩემპიონთა ლიგაში კი, ალბათ ჯობდა, "ჰამბურგს" საერთოდ არ მიეღო მონაწილეობა. ამით გადარჩებოდა სირცხვილსა და დამცირებას. ყოველივეს გათვალისწინებით და ჩემპიონთა ლიგაში "ბაიერნისა" და "ვერდერის" შედარებით ღირსეული ასპარეზობის მიუხედავად, გერმანიამ შესაძლოა სეზონის ბოლოს დაკარგოს სრულიად არასახარბიელო მე-5 პოზიცია და უეფას სარეიტინგო სიაში მას გაასწრონ ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან პორტუგალია, ჰოლანდია და რუმინეთი (!).

ამრიგად, საფეხბურთო გერმანია ისევ და ისევ საამაყო "ბაიერნის" იმედად რჩება. როგორც "ნანსისთან" წაგებით განრისხებულმა "შალკეს" გულშემატკივარმა უთხრა ჟურნალ "კიკერის" კორესპონდენტს: "ხომ იცით, როგორ გვეზიზღება "ბაიერნი", მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ "ბაიერნს" მსგავსი რამ არასოდეს დაემართება".

კალათბურთი

# ფაჩულიას შურისძიება

**ტორონტო - სან ანტონიო 94:103**

**ფილადელფია - მაიამი 107:98**

**ატლანტა - ორლანდო 95:82**

**ნიუ ორლეანი - ჰიუსტონი 96:90**

**სიეტლი - ლეიკერსი 117:101**

NBA-ს რეგულარული სეონის მორიგ სათამაშო დღეს "ატლანტამ" ორლანდოელ "ჯადოქრებს" უმასპინძლა. ფაჩულიასთვის "ორლანდოსთან" თამაში ყოველთვის განსაკუთრებულია, შეგახსენებთ, რომ ქართველი კალათბურთელის ამერიკული კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო. თავის დროზე "ჯადოქრებმა" ფაქტობრივად უარი თქვეს ქართველ ცენტრზე და მას შემდეგ ზაზა "ორლანდოსთან" დაპირისპირებაში ყოველთვის ამტკიცებს, რომ ამ გუნდის ხელმძღვანელობამ მისი გაშვებით შეცდომა დაუშვა.

გამონაკლისი არც ტგუშინდელი თამაში ყოფილა. ზაზამ კიდევ ერთხელ დაანახა "ჯადოქრების" მესვეურებს, რომ მისი გაშვება არასწორი იყო, ქართველმა კალათბურთელმა საკმაოდ შედეგიანად ითამაშა შეძლო 17 ქულის დაგროვება 4-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი და ერთხელაც მეტოქის შეტევაა ჩაჭრა. "ქორების" რიგებში საუკეთესო კევლავაც ჯო ჯონსონი იყო, რომელმაც შეხვედრა 31 ქულით დაასრულა, შზაზა კი შედეგიანობის მიხედვით თავის გუნდში მეორე იყო. სტუმართა რიგებში თავი გამოიჩინა აროიომ, რომლის ანგარიშზეც 22 ქულაა.

"ატლანტამ" თამაშის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყვიტა, რომელიც ანგარიშით 22:11 მოიგო. ამის შემდეგ მოედანზე თანაბარი თამაში მიდიოდა და მასპინძლებმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვეს.



*ფაჩულია დაცვაში თამაშობს.*

რაც შეეხება სხვა შეხვედრებს, ლიგის მომქმედი ჩემპიონი "მაიამი" ფილავდელფიაში დამარცხდა, საერთოდ უნდა ითქვას, რომ "ჰიტმა" სეზონი სუსტად დაიწყო და თუ შაკის გუნდმა ასევე გააგრძელა თამაში ჩემპიონობის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელი იქნება.

"სან ანტონიომ" მანუ ჯინობილის ბრწყინვაელე თამაშის წყალობით ტორონტოში მოიგო გასვლით მატჩი, არგენტინელთან ერთად, რომელმაც გუნდს 12 ქულა შესძინა კარგად ითამაშა ტონი პარკერმა. უნდა აღინიშნოს, რომ გუშინდელ მატჩებში ძირითადად მასპინძლები იმარჯვებდნენ, ერთადერთი "სან ანტონიოა" რომელმაც გასვლაზე მოიგო შეხვედრა.

ძიუდო

# გოგოებმა ანტალია გაძარცვეს

*ორი დღის განმავლობაში თურქეთის საკურორტო ქალაქი ანტალია ახალგაზრდა ძიუდოისტთა შორის საერთაშორისო ტურნირს მასპინძლობდა. თურქულ ტატამზე ერთმანეთის პირისპირ ათი ქვეყნის წარმომადგენლები წარსდგნენ, მათ შორის საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრებიც იყო. ანტალიაში გაცილებით მეტ ქვეყანას ელოდნენ, მაგრამ როგორც შევიტყვეთ, ბოლოდროინდელი წყალდიდობების გამო თურქეთში გამგზავრებისგან თავი შეუკავებიათ. საქართველოს ნაკრები შინ 3 ოქროს, 2 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედლით ბრუნდება.*

საქართველოს ქალ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის გოდერძი ველიჯანაშვილის სამწყსოსთვის ანტალიური ტურნირი ერთ-ერთი ეტაპი გახლდათ ბელგრადის IX ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისთვის გუნდის ჩამოსაყალიბებლად.

ნაკრებმა რომ წარმატებით იასპარეზა, მოპოვებული მედლების რაოდენობითაც ჩანს. ქართველთათვის განსაკუთრებით წარმატებული გამოდგა მძიმეწონა. ფინალში პირველობის გასარკვევად ქართველები დაეჭიდნენ ერთმანეთს. ნანა კაკაბაძემ თანაგუნდელ თამარ ლომიძეს არ დაანება გამარჯვება. მეტიც, ფაქტობრივად, მძიმეწონოსანთა კვარცხლბეკი საქართველოს ნაკრებმა დაისაკუთრა. კაკაბაძე ლომიძესთან


ანა ავაქიანმა და ნელი ხოშტარიამ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს.

ერთად მასზე შედგომის პატივი სალომე წოწკოლაურმაც დაიმსახურა - მესამე ადგილი.

არანაკლებ წარმატებული გამოდგა 52 კილოგრამ წონითი კატეგორიაც, სადაც ჩვენებმა ოქრო და ორივე ბრინჯაო დაისაკუთრეს. ამ შემთხვევაში ჩემპიონი გახდა ნაკრების პირველი ნომერი მაია ტარუაშვილი, მესამე ადგილები კი ნელი ხოშტარიამ და ანა ავაქიანმა დაიკავეს.

57 კილოგრამ წონით კატეგორიაშიც გვყავს ჩემპიონი - მარი ოქრიაშვილი. თეონა სუხიტაშვილმა ამავე წონაში მესამე ადგილით დაასრულა ტურნირი, ხოლო

ნინო ნემსიწვერიძე (44 კგ.) ვერცხლს დასჯერდა, სოფო როსტომაშვილმა (48 კგ.) კი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

ფეხბურთი

# 20 წელი საფეხბურთო ოლიმპზე

დღეს ზუსტად 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც სერ ალექს ფერგიუსონმა პირველად ჩაიბარა "მანჩესტერ იუნაიტედი". 20 წელი ერთი გუნდის სათავეში, 20 წელი მუდმივი წარმატებები. ასეთ შედეგს ბევრი ვერ დაიკვეხნის. თანაც, ნუ დავივიწყებთ, რომ "მანჩესტერამდე" სერ ალექსი არანაკლებ წარმატებული მწვრთნელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ შოტლანდიელი სპეციალისტი აგერ უკვე სამი დევადაა, რაც საფეხბურთო ოლიმპზე იმყოფება. ამ ხნის განმავლობაში მან მოიგო ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლება. უეფას ჩემპიონთა თასი 1999 წელს "მანჩესტერ იუნაიტედთან" ერთად, თასების მფლობელთა თასი ორჯერ - 1983 წელს "აბერდინთან", 1991 წელს კი - "მანჩესტერთან" ერთად, სამჯერ გახდა შოტლანდიის ჩემპიონი, რვაჯერ - ინგლისის, 1999 წელს დაასახელეს ევროპის საუკეთესო მწვრთნელად, 1986 წელს კი წვრთნიდა შოტლანდიის ნაკრებს, რომელიც მექსიკის მუნდიალზე ათამაშა.

უეფას ტექნიკური დირექტორი ენდი როქსბურგი სერ ალექსს შეხვდა. უეფას მაღალჩინოსანმა გარკვეული ხნით პროფესია შეიცვალა და ჟურნალისტობა იკისრა. ინტერვიუს, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ, სწორედ ენდი როქსბურგი უძღვებოდა.

**- რა აუცილებელი თვისებაა საჭირო იმისთვის, რომ ასეთი წარმატებული მწვრთნელი იყო ამ ხნის განმავლობაში?**

- ამაზე დიდხანს ვფიქრობდი. ერთი რომელიმე თვისების გამოყოფა შეუძლებელია. ეს არის რიგი თვისებებისა, რომლის გარეშეც ძლიერი მწვრთნელობა შეუძლებელია. დიდი ხანია მწვრთნელად ვმუშაობ და წარმატებაც ბევრი მქონია. ამ ხნის განმავლობაში ჩემთვის ერთი რამ დავადგინე: მწვრთნელს აუცილებლად სჭირდება დაკვირვების ნიჭი. თუ სამწვრთნელო პროცესში ძალიან აქტიურად ხარ ჩართული, შესაძლოა ბევრი რამ გამოგეპაროს. ამიტომაა, რომ მე ჩემი უფლებების დელეგირებას ვახდენ თანაშემწეებზე, საწვრთნელ პროცესს ფაქტობრივად ისინი უძღვებიან, მე კი ვაკვირდები ყველაფერს, ვსწავლობ თითოეულ ფეხბურთელს და გამომაქვს საჭირო დასკვნები. აგრეთვე აუცილებელია ხასიათის სიმტკიცე. თუ ორშაბათს წაგებული თამაშის შემდეგ ვარჯიშზე ნირწამხდარი მიდიხარ, ჩათვალე, რომ ყველაფერი დამთავრებულია. მთავარ მწვრთნელს წარმოსახვის ნიჭიც უნდა ჰქონდეს. თავიდანვე უნდა წარმოიდგინო, რისკენ მიდიხარ და ეს ფეხბურთელებსაც აუხსნა. მაშინ თითოეული მათგანი შეპყრობილია წარმატების ჟინით და შენს მითითებებს ზედმიწევნით ასრულებენ. რა თქმა უნდა, მწვრთნელობა შეუძლებელია, თუ არ ხარ კომუნიკაბელური. ფეხბურთელებთან უბრალოდ უნდა დაიჭირო თავი, მაგრამ ისე უნდა მოიქცე, რომ ისინი ყოველთვის ხვდებოდნენ, ვინ არის გუნდში მთავარი. მწვრთნელმა უნდა იპოვოს ოქროს შუალედი. ფეხბურთელებთან არც დიდი სიმკაცრე შეიძლება და არც მთლად შენობით ურთიერთობა. თუ ამ შუალედს ვერ იპოვი, არაფერი გამოვა.

**- როგორ ვითარდებით როგორც მწვრთნელი?**

- მწვრთნელობა საკმაოდ ადრე დავიწყე. 22 წლის ასაკში ფეხბურთელი ვიყავი, 23 წლისამ კი შოტლანდიაში სამწვრთნელო სკოლაში შევიტანე საბუთები. ამბიციები საკმაოდ დიდი მქონდა. თავიდან B კლსის ლიცენზია მომ-


"მანჩესტერში" გატარებული 20 წელი.

ცეს, შემდეგ კი წინ წავიწიე. საკმაოდ ბევრს ვსწავლობდი და, მერწმუნეთ, ახლაც ვსწავლობ.

**- რას ურჩევდით ახალგაზრდა მწვრთნელებს?**

- თანამედროვე ახალგაზრდა მწვრთნელების უმეტესობა წარსულში ფეხბურთელები იყვნენ. ფეხბურთელეობა და მწვრთნელობა კი რადიკალურად განსხვავებული რამაა. რა თქმა უნდა, თავისთავად მწვრთნელისთვის საფეხბურთო წარსული საკმაოდ მომგებიანია, მაგრამ გახდები თუ არა მწვრთნელი, უნდა დაივიწყო, რომ თავის დროზე შენც მეორე მხარეს იყავი და ფეხბურთს თამაშობდი. საოცრად ბევრი უნდა იმუშაო, დაივიწყო, რომ გყავს ოჯახი, მეგობრები. მწვრთნელობას მთელი შენი დრო მიაქვს. სხვაგვარად წარმატება წარმოუდგენელია. ფეხბურთელი ითამაშებს და ამის შემდეგ თავისუფალია, მწვრთნელის სამუშაო კი არასდროს არ მთავრდება.

**- ყველაზე დიდი პრობლემა, რომელსაც თანამედროვე მწვრთნელი აწყდება?**

- ფეხბურთელი, რომელთანაც გაქვს საქმე. მწვრთნელს არასდროს უნდა შეეშინდეს ფეხბურთელის ავტორიტეტის. თანამედროვე ფეხბურთელები სუპერვარსკვლავები არიან, მაგრამ რაოდენ დიდი ფეხბურთელიც არ უნდა გყავდეს გუნდში, მთავარი მაინც მწვრთნელია. საკმარისია, ერთ ფეხბურთელს რაიმე შეღავათი მისცე და კონტროლს დაკარგავ, გუნდში აღარ იარსებეს დისციპლინა და ამით ყველაფერი დასრულდება. კიდევ ერთი პრობლემა ის წნეხია, რომელის ქვეშაც არა მარტო მწვრთნელი, არამედ მთელი გუნდი იმყოფება. დღევანდელი ფეხბურთი უბრალოდ თამაში აღარაა, აუცილებელია შედეგი. თუ სამი ათეული წლის წინ გულშემატკივარი ლამაზი ფეხბურთით კმაყოფილდებოდა, დღეს ფეხბურთის სილამაზე აღარავის აღელვებს. მთავარია იყოს შედეგი და რა ფეხბურთს თამაშობ, ამას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. აგრეთვე აუცილებელია გუნდის ნორმალური ხელმძღვანელობა, რომელიც შენი საქმის გასაკეთებლად საჭირო დროს მოგცემს.

# "ლიონის" რეალისტი კაპიტანი

ჩემპიონთა ლიგაზეც და საფრანგეთის ჩემპიონატშიც ჟერარ ულიეს "ლიონი" წარმატებულ სვლას უწინდებურად განაგრძობს. მიუხედავად ამისა, ფრანგული კლუბის კაპიტანი ჟუნინიო შორსაა ეიფორიისგან და ერთი წუთითაც არ აწუხებს ილუზია თავისი გუნდის გადაჭარბებული გამარჯვებების გამო.

ბრაზილიელი ფეხბურთელი მიიჩნევს, რომ ჩემპიონთა ლიგაზე "ლიონი" ბოლო რამდენიმე წელია დამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა თასს მაინც ვერ იგებს. ამიტომაც ის რეალისტად რჩება და ფიქრობს, გამარჯვებას ბრძოლა სჭირდება და არა წინასწარ საუბარი.

**- ჟერარ ულიემ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჩემპიონთა ლიგის მოგებას საფრანგეთის ჩემპიონატის მეექვსეჯერ მოგება ურჩევნია. ეთანხმებით?**

- ლიგაზე ტრიუმფი ნებისმიერი ფეხბურთელის ოცნებაა. გამომდინარე ამ ტურნირის მნიშვნელობიდან, მისი მოგება კი არა, იქ თამაშიც უკვე დიდი მიღწევაა ნებისმიერი კლუბისთვის. ლიგაზე ევროპის საუკეთესო გუნდებთან გიწევს თამაში, რაც კიდევ უფრო აღრმავებს საფეხბურთო ცოდნას. და მაინც, მიუხედავად ამისა, საფრანგეთის ჩემპიონატი ჩვენთვის უფრო პრიორიტეტულად რჩება. აქ, ლიგისგან განსხვავებით, მართლაც ფავორიტები ვართ.

**- ლიგის მოგების ფავორიტად ვის მიიჩნევთ?**

- პირველ რიგში, "ბარსელონას", რომელიც წლეულს საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელებით - ძამბროტათი, ტიურამითა და გუდიონსენით გაძლიერდა. დიდი შანსი აქვს ლონდონის "ჩელსისაც". არ უნდა დაგვავიწყდეს "რეალი" და "არსენალი". თუმცა, ამ სეზონში ჩვენმა გუნდმა საკმაო პროგრესი განიცადა, რის გამოც, საკუთარ თავსაც ფავორიტებად მივიჩნევთ...

**- ბევრი მიიჩნევს, რომ საფრანგეთის მეექვსე ჩემპიონობა თითქმის განაღდებული გაქვთ...**

- გამოგიტყდებით და საფრანგეთის ჩემპიონობა არც ისე იოლია. მანამდე, ორმოცდაათწლიანი არსებობის განმავლობაში "ლიონს" ერთხელაც არ მოუგია ეროვნული "ოქრო". ბოლო ხუთი წელია, ჩვენ ეს დანაკლისი ერთგვარად ამოვქაჩეთ. თუმცა, რაც დრო გადის, მით უფრო რთული ხდება გაჩემპიონება. ამიტომ სპეციალისტთა ნათქვამი ცოტა გადაჭარბებული მეჩვენება.

**- რომელი კლუბი გაგიწევთ ყველაზე მეტ წინააღმდეგობას?**

- პირველ რიგში, "ლილი", "ბორდო" და "მარსელი". პირველი მათგანი უკვე მერამდენე წელია მაღალი დონის ფეხბურთს თამაშობს. ჩემი აზრით, ეს ძირითადად მათი ბრწყინვალე თავკაცის კლოდ პუელის დამსახურებაა. არც "მარსელი" და "ბორდოა" ხელწამოსაკრავი გუნდები, მათი დამარცხება საკმაოდ რთულია. ისე კი, ყოველ სეზონში აუცილებლად გამოჩნდება ხოლმე ერთი რომელიმე გუნდი-სიურპრიზი. ჯერჯერობით, ვერ ვიტყვი, წლეულს ვინ აიღებს ამ როლს საკუთარ თავზე. შესაძლოა, ეს "სენტ-ეტიენი" ანაც პსჟ იყოს.

**- საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ვის მიიჩნევთ?**

- "ლიონის" თითქმის ყველა შემსრულებელს, ასევე "მარსელში" მოთამაშე ფრანკ რიბერის. ძალიან მესიმპათიურება რიბერის ახალგაზრდა თანაკლუბელი სამირა ნასრიც...

**- თქვენი ტიტულების კოლექციას საფრანგეთის თასი აკლია. რამდენად მნიშვნელოვანია ამ ჯილდოს მოგება?**

- რა თქმა უნდა, ეროვნული თასის მოგება დიდი მიღწევაა. თუმცა, ჩვენ ნებისმიერი ტურნირის მოგებას ვესწრაფით, მაგრამ საფრანგეთის თასზე მაინც რატომღაც არ


ჟუნინიო ეიფორიისგან შორსაა.

გვიმართლებს.

**- მაინც რა აკლია "ლიონს" ყველაზე ტიტულოვანი გუნდი რომ გახდეს?**

- ვფიქრობ, გუნდის შემადგენლობისა და მწვრთნელთა კომპლექტაციის მხრივ ყველაფერი ნორმალურადაა. სერიოზული მოდერნიზაცია კლუბის ინფრასტრუქტურას სჭირდება: ახალ სტადიონსა და საწვრთნელ ბაზას ვგულისხმობ.

**- თუმცა, ბევრი მიიჩნევს, რომ ევროარენაზე წარმატებისთვის უმაღლესი დონის ვარსკვლავები გაკლიათ...**

- თუ გუნდი სტაბილური თამაშისკენ ისწრაფის, უმჯობესია აქცენტი ისეთ "ვარსკვლავებზე" არ გააკეთოს, ვისგანაც სეზონში 20-25 გოლს ელიან. უფრო საიმედო, ჩემი აზრით, დალაგებულ გუნდურ თამაშზე ორიენტირებაა. გუნდის გაძლიერების მიზნით კი უმჯობესია, ყველა ამპლუის გამოკვეთილი ლიდერი გყავდეს. მაგალითად, დაცვაში - კანავარო, შუახაზში - მაკელელე, თავდასხმაში - ანრი. ამ ეტაპზე კი ჩემი აზრით, "ლიონში" ოპტიმალურმა შემადგენლობამ მოიყარა თავი, რომელთან ერთადაც გამარჯვება ადვილი მიღწევადია.

**- ბოლო ხუთი წლის განმავლობაში "ლიონმა" სამი მწვრთნელი გამოიცვალა. ამ სამიდან ყველაზე მეტად ვისთან მუშაობა იყო საინტერესო?**

- სამივე მათგანთან თავს კარგად ვგრძნობდი. ჟაკ სანტინი, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი კლუბში მისვლის ინიციატორი არ ყოფილა, ყოველთვის მენდობოდა. შეიძლება ითქვას, რომ ევროპაში საგზური სწორედ მან მომცა. პოლ ლე გუენს ჯერ კიდევ ფეხბურთელობისას ვიცნობდი და ფრიად გაოცებული დავრჩი, რა ბრწყინვალედ მოახერხა ფეხბურთელობიდან უმაღლესი დონის მწვრთნელად ჩამოყალიბება. ჟერარ ულიე კი აბსოლუტურ ნდობას მიცხადებს. მისი წყალობით მე ბოლომდე შევძელი საკუთარი პოტენციალის რეალიზება.

**- კარიერის დასრულებას "ლიონში" გეგმავთ?**

- მართალი გითხრათ, გასულ სეზონში სხვა ევროპულ გრანდში გადასვლას ვფიქრობდი. ერთ-ერთ მათგანთან დავიწყე კიდეც მოლაპარაკება, თუმცა "ლიონმა" მაშინვე შემომთავაზა კონტრაქტის 2008 წლამდე გახანგრძლივება და საკმაოდ კარგი პირობები. ორი წლის მერეც სიამოვნებით დავრჩებოდი აქ. თუ არადა, ისევ სამშობლოში, ბრაზილიაში დავბრუნდები და "ვასკუ და გამაში" გავაგრძელებ კარიერას.

მოკლედ

### "ლიონი" აბიდალის შემცვლელს ეძებს

ფრანგული "ლიონის" ერთ-ერთი ლიდერის ერიკ აბიდალის განცხადებით, სეზონის ბოლოს ის კლუბს დატოვებს. "სამფეროვანთა" მცველით უკვე დაინტერესდა ევროპის რამდენიმე წამყვანი კლუბი, მათ შორის, ლონდონის "არსენალი" და მადრიდის "რეალი".

ამის გამო საფრანგეთის ხუთგზის ჩემპიონის ხელმძღვანელობა ახლავე ეძებს ფეხბურთელის შემცვლელს. ბრაზილიური პრესის ცნობით, ფრანგული კლუბი "ფლუმინენსეს" ახალგაზრდა მცველით მარსელოთი დაინტერესდა. სხვათა შორის, 18 წლის ბრაზილიელს პენტაკამპეონეთა თავკაცი დუნგა ნაკრებში რობერტო კარლოსის შემცვლელად მოიაზრებს.

### "ჩელსი" მეკარით ძლიერდება

ბრიტანული პრესის ცნობით, იანვრის სატრანსფერო სეზონში ლონდონის "ჩელსი" ფრანგული "მონაკოს" მეკარე ფლავიო რომათი გაძლიერებას აპირებს. შეგახსენებთ, რომ მოურინიოს გუნდს ძირითადი მეკარის პეტერ ჩეხის სერიოზული ტრავმის შემდეგ მეკარის პრობლემა აქვს.

"ჩელსის" წარმომადგენლები მართლაც შემეხმიანენ. ცხადია, ასეთ წინადადებაზე უარს არ ვიტყვი. ლონდონური კლუბის კარის დაცვა მართლაც დიდი პატივი იქნება ჩემთვის", - განაცხადა რომამ.

### ერიქსონი მზადაა ფეხბურთში დასაბრუნებლად

ინგლისის ნაკრების ექს-დამრიგებლის სვენ-გორან ერიქსონის განცხადებით, ის მზად არის ფეხბურთში დასაბრუნებლად და აქტიურ მოლაპარაკებას აწარმოებს რამდენიმე არაინგლისურ კლუბთან.

ბრიტანული პრესის ცნობით, შვედ სპეციალიტს "ნიუკასლ იუნაიტედი" და "ვესტ ჰემი" იწვევდნენ, თუმცა, თავად ერიქსონის მტკიცებით, არც ერთი კლუბიდან არ შეხმიანებიან. მისივე განცხადებით, სავარაუდოდ, ის მილანის "ინტერს" ან აფრიკის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში.

### კასანოს "ნიუკასლში" ასხვისებენ

მადრიდის "რეალის" ხელმძღვანელთა მტკიცების მიუხედავად, რომ იტალიელი თავდამსხმელის ანტონიო კასანოს გაშვებას არ აპირებენ, გუნდის მთავარ მწვრთნელთან ფაბიო კაპელოსთან მომხდარი კონფლიქსტის გამო კასანო "რეალში" პერსონა ნონ-გრატად გამოცხადდა.

ესპანური "ასის" მტკიცებით, კასანო ინგლისში გააგრძელებს კარიერას. მისი გადაბირების სურვილს კი ყველაზე მეტად "ნიუკასლ იუნაიტედი" გამოთქვამს. სავარაუდოდ, იტალიელ თავდამსხმელს "სამეფო გუნდი" 2007 წლის იანვარში იჯარით გაასხვისებს.

### მანჩინი პრემიერლიგას არ გამორიცხავს

მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი რობერტო მანჩინი არ მალავს, რომ სიამოვნებით მოსინჯავს ძალებს ინგლისის პრემიერლიგაში. ახალგაზრდა იტალიელი სპეციალისტი ინგლისური ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემელია და საფეხბურთო კარიერის დასრულებისას პრემიერლიგის "ლესტერისგანაც" ჰქონდა წინადადება, თუმცა მაშინ ნისლიან ალბიონზე მუშაობაზე უარი თქვა.

"არ გამოვრიცხავ, რომ "ინტერი" ჩემი ბოლო გაჩერება გამოდგეს იტალიაში. უკვე სამი წელია მუდმივად მესმის, რომ ჩემს პოსტს სხვა სპეციალისტები უმიზნებენ. მართალია, ჭორებს ყურადღებას არ ვაქცევ, მაგრამ ერთხელაც შეიძლება მოთმინების ფიალა ამევსოს. ასეთ შემთხვევაში კი მხოლოდ ინგლისში გავაგრძელებ კარიერას", - განაცხადა მანჩინიმ.

### "ვალენსია" "შახტარს" ქურდობაში ადანაშაულებს

უკრაინული "შახტარის" ხელმძღვანელობის განცხადებით, მათ არ ეშინიათ, რომ კლუბი პრესაში გავრცელებული ინფორმაციის გამო დაისჯება. სპორტულის მედიის ცნობით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე "ვალენსია" - "შახტარის" მატჩისას ესპანელთა გასახდელიდან ფეხბურთელთა მობილური ტელეფონები და სოლიდური თანხა დაიკარგა.

"ვალენსიას" ხელმძღვანელობამ რამდენჯერმე დაგვირეკა და გვითხრა, რომ გასახდელიდან ორი მობილური ტელეფონი და 100 ევრო მოიპარეს. თუმცა, თავიდან ისინი ეჭვს გამოთქვამდნენ, რომ ქურდობა სასტუმროში მოხდა. მოგვიანებით რატომღაც ჩვენ დაგვადანაშაულეს. არადა, ფეხბურთელთა გასახდელში სტადიონის დირექტორიც კი ვერ მოხვდება", - განაცხადა "შახტარის" სპორტულმა დირექტორმა.

### ტერი კარიერის დასრულებას "ჩელსიში" გეგმავს

ლონდონის "ჩელსის" კაპიტნის ჯონ ტერის განცხადებით, კარიერის დასრულება მას მხოლოდ და მხოლოდ "არისტოკრატთა" შემადგენლობაში სურს.

"მრავალი წლის განმავლობაში "ჩელსის" ერთგული ვიყავი, მათ შორის, კლუბისთვის მძიმე პერიოდშიც. ეს ჩემი მშობლიური გუნდია და კარიერის ბოლომდე აქ დარჩენა მინდა", - განაცხადა 25 წლის მცველმა, რომელიც სწორედ ლონდონური კლუბის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია.

### სერხიმ თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე

"ბარსელონას" ექსფეხბურთელმა სერხი ლოპეს სეგუმ, იგივე სერხიმ, სიცოცხლე თვითმკვლელობათ დაასრულა. 39 წლის ფეხბურთელი მატარებელს ჩაუვარდა. გარდაცვლილის ძმის ხერარდ სეგუს განცხადებით, რომელიც თავის დროზე ასევე "ბარსელონას" ღირსებას იცავდა, ახლა კი "მონაკოს" ფეხბურთელია, სერხიმ პირად ცხოვრებაში არსებული პრობლემების გამო მოიკლა თავი. "ბარსელონას" გარდა, სერხი "მალიორკასა" და "სარაგოსას" ღირსებას იცავდა.

### ანჩელოტიმ რონალდო უარყო

"მილანის" მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ უარყო პრესაში გავრცელებული ხმები რონალდოს შეძენის თაობაზე. "რონალდო ბრწყინვალე ფეხბურთელია, როცა კარგ ფორმაშია. თუ იანვრის სატრანსფერო სეზონში თავდამსხმელის შეძენას გადავწყვეტ, რასაც არ ვაპირებ, ეს ნამდვილად არ იქნება რონალდო. ეს იქნება ფორვარდი, რომელიც სტაბილურად ითამაშებს უმაღლეს დონეზე", - განაცხადა იტალიელმა სპეციალისტმა.

### "ჩელსი" ლენონს უმიზნებს

ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, ზამთრის სატრანსფერო სეზონში ლონდონის "ჩელსი" "ტოტენჰემ ჰოთსფურზის" ნახევარმცველით აარონ ლენონით გაძლიერდებოდა. კომპენსაციის სახით აბრამოვიჩის კლუბი მზად არის "ტოტენჰემს" ლენონის სანაცვლოდ ფულადი თანხა და ასევე მარჯვენა ფლანგზე მოთამაშე შონ-რაიტ ფილიპსი შესთავაზოს. აარონ ლენონს "ტოტენჰემ ჰოთსფურზთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს.

### სანიოლს "ბაიერნის" კაპიტნობა სურს

მიუნხენის "ბაიერნის" ფრანგი მცველის ვილი სანიოლის თქმით, ის სიამოვნებით მოირგებს კაპიტნის სამკლაურს მას შემდეგ, რაც ოლივერ კანი კარიერას დაასრულებს.

"ისეთი ტიტულოვანი კლუბის კაპიტნობა, როგორიც მიუნხენის "ბაიერნია", დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის. ასეთი დონის გუნდებში ასეთი ტრადიცია არსებობს: კაპიტნის სამკლაურს იმას გადასცემენ ხოლმე, ვისაც პირველ რიგში პრესა, შემდეგ კი კლუბის პრეზიდენტი და ფანობა აფასებს. არა მგონია, მათ ჩემი საწინააღმდეგო ჰქონდეთ რამე", - განაცხადა ფრანგმა მცველმა.

### ვიერი "ინტერს" უჩივის

"ატალანტას" თავდამსხმელი კრისტიან ვიერი "ინტერის" მფლობელს მასიმო მორატის სასამართლოში უჩივის. "გაძეტა დელო სპორტის" განცხადებით, "ინტერის" ექსთავდამსხმელი მილანის კლუბის ხელმძღვანელობას მისი სატელეფონო საუბრების მოსმენაში ადანაშაულებს. ვიერის ადვოკატის დანილო ბუონჯორინოს განცხადებით, თუ იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ზომებს არ მიიღებს, მისი კლიენტი მილანის სამოქალაქო სასამართლოში შეიტანს საჩივარს.

"ინტერის" ხელმძღვანელობა უკანონოდ ისმენდა ფეხბურთელების, მსაჯებისა და კლუბის სხვა ხელმძღვანელთა სატელეფონო საუბრებს. იტალიურ ფეხბურთში არსებული კორუფციის დამამტკიცებელი საბუთები გამოძიებას სწორედ ამის შედეგად გაუჩნდა.




**7 ნოემბერი**

**თეატრი**

**თეატრალური სარდაფი (ვაკეში)**
"თეთრი ბაირაღები"
რეჟისორი გოგი ქავთარაძე. დასაწყისი: 20.00

**სამეფო უბნის თეატრი**
იუკიო მისიმა. "ჩემი მეგობარი ჰიტლერი"
რეჟისორი დავით მღებრიშვილი. დასაწყუსი: 19.00

**პანტომიმის თეატრი**
"ფიროსმანი მეფე"
რეჟისორი ამირან შალიკაშვილი. დასაწყისი: 19.00

**მუსიკა**

**კონსერვატორიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი
ენტონი პიბელსი (დიდი ბრიტანეთი). დასაწყისი: 19.00

**კინო**

**"ამირანი"**
"დაკარგული ქალაქი". დასაწყისი: 16:00; 18:00; 20:00; 22:00

**"რუსთაველი"**
"ნადირობის სეზონი". დასაწყისი: 12:00; 14:00; 16:00; 18:00
ჩაჭრილები". დასაწყისი: 20.00; 22.00

**გალერეა**

**"ჰობი"**
"შემოდგომის მოზაიკა". ფერწერა და გრაფიკა

**"ქარვასლა"**
"ევროკავშირის ფოტოგამოფენა"
სხვადასხვა ქვეყნის თვითნასწავლი ფოტოხელოვნები
"ევროკომიის საბჭო საქართველოში"

## TV5 MONDE

**7 ნოემბერი**

**07.00, 09.00,** 10.00(კანადა) **13.00,** 16.00(ბელგია) **17.00, 18.15, 21.00, 01.00,** 01.45(შვეიცარია), 04.00(აფრიკა), **05.10** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **12.00, 15.00, 20.00, 23.30** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **09.30** ტელედილა. **11.30** ბიჭი და გოგო. სერიალი. **12.30** ტელეტურიზმი. **13.15** მე, ბელგია. დოკ. ფილმი. **15.30** ბიჭი და გოგო. სერიალი. **17.25** ცისფერი. მხ. ფილმი. რეჟისორი სტეფან ბრიზე. 1999. **19.35** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **21.30** ერთად გატარებული რამოდენიმე დღე. მხ.ფილმი. რეჟისორი ვირჟინი სოვერი. 2003. **02.20** ჩვენი პლანეტა თვალის ერთი გადავლებით. **05.40** გადაცემა: თვალსაზრისი.


## ბრიტანული ენის დარბაზი
## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

■ ინგლისური ენის კურსს სკოლის ასაკის ბავშვებისა და უფროსებისათვის.

■ მოსამზადებელ კურსს კემბრიჯის საერთაშორისო სერტიპიკატებისათვის (PET, FCE, CAE, IELTS)

■ სპეცკურსს აბიტურიენტებისათვის სწავლებისას გამოიყენება ბრიტანეთის წამყვანი გამომცემლობების მაკმილანის, ჰარპერ-კოლინზის, პიარსონის, ოქსფორდისა და კემბრიჯის უახლესი სასწავლო ლიტერეტურა

ბრიტანეთსა და ამერიკაში კურსდამთავრებული პედაგოგები უზრუნველყოფენ თქვენს წარმატებებსა და მაქსიმალურ პროგრესს..

**Good luck with your English.**

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N7
(ცეკავშირის შენობა) IV სართ. ოთახი 405
ტ. 55-21-29
ელ.ფოსტა: **british-Languaje hall@yahoo.com**


## გარდაიცვალა სასაზღვრო ძალების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარე გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი

## გურამ გრიგოლის ძე ძოძუაშვილი



გ. ძოძუაშვილი დაიბადა 1929 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშკვითში. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი. 1957 წლიდან 1974 წლამდე იყო ბათუმის 37 სასაზღვრო საგუშაგოს უფროსი, კომენდანტის თანაშემწე; 1974 წლიდან 1981 წლამდე - ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის თბილისის აეროპორტის სასაზღვრო-საკონტროლო გამშვები პუნქტის უფროსი.

1982-1992 წლებში მსახურობდა ქ. თბილისის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად, 1992-1994 წლებში - საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების საორგანიზაციო-სამობილიზაციო განყოფილების უფროსის მოადგილედ.

1997-2002 წლებში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას ოფიცერთა გადამზადების კურსებსა და სასაზღვრო კოლეჯში. 2003 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე სათავეში ედგა სასაზღვრო ძალების ვეტერანთა საბჭოს.

კეთილსინდისიერი სამსახურისათვის დაჯილდოებული იყო "სამახსოვრო მედლით" და საიუბილეო მედლით "საქართველოს სასაზღვრო ძალები 10 წლისაა", გამოცხადებული აქვს სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის არაერთი მადლობა.

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა ღრმა მწუხარებას გამოთქვამს პროფესიონალი მესაზღვრის გარდაცვალების გამო. სასაზღვრო უწყებამ მისი სახით დაკარგა შესანიშნავი პიროვნება, პროფესიონალი მესაზღვრე, ახალგაზრდა მესაზღვრეთა ღირსეული აღმზრდელი და დამრიგებელი, ოჯახმა - ბრწყინვალე მეუღლე, მამა, ბაბუა...

ბატონი გურამის გზაგაკვალული აღზრდილები კვლავაც გააგრძელებენ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის მნიშვნელოვან საქმეს.

**სასაზღვრო პოლიციის პირადი შემადგენლობა**

# რეალური იუმორი გრიბოედოვის თეატრში

### პუტინი - ეს მთელი რუსეთი არ არის...

მზევინარ ხუციშვილი

იუმორი - ეს ის თემაა, რომელზე ხუმრობაც ალბათ ყველაზე ნაკლებად შეიძლება, რადგან ცხოვრება სწორედ მისით იწყება და მთავრდება. თუმცა იუმორი ცხოვრების სწორედ ის ნაწილია, რომელშიც საკუთარი თავი ყველაზე მეტად შეიძლება იპოვო და ამოიცნო. ზუსტად ვერ გეტყვით, 5 ნოემბერს თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრის დარბაზში იმ მრავალრიცხოვან საზოგადოებას შორის, რომელსაც როგორც მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, ქართული ესტრადის ვარსკვლავები, მსახიობები და პოლიტიკოსებიც კი წარმოადგენდნენ, რამდენმა ადამიანმა შეძლო საკუთარი ცხოვრების განსაზღვრა, მაგრამ ერთი კი ნათელი იყო, რომ ჩვენთვის ადამიანებისთვის ჭეშმარიტი რეალობა ყველაზე მეტად სწორედ იუმორში აისახება. იუმორი, რომელიც ისევ და ისევ რუსეთ-საქართველოს კულტურულ ურთიერთობას უკავშირდებოდა.

ამჯერად კულტურულ-შემოქმედებითი კავშირის "რუსული კლუბის" წარმომადგენლებმა და გრიბოედოვის თეატრის ხელმძღვანელობამ სატირიკოსის და პუბლიცისტის - ვიქტორ შენდეროვიჩის შემოქმედებითი საღამო შემოგვთავაზა, რომელიც საქართველოში სომხეთის გავლით ჩამოვიდა და ამავე გზით დაბრუნდება უკან. ებრაელი მწერლის სახელი, რომელიც რუსეთში დაიბადა და შემოქმედებით მოღვაწეობასაც იქ აგრძელებს დღეს, უცხო აღარავისთვისაა. იგი არაერთი ტელეკომპანიის თანამშრომელი და გადაცემის წამყვანი იყო, ამავე დროს რამდენიმე წიგნის ავტორია. მიუხედავად იმისა, რომ მის აქტიურ მოღვაწეობას არასასიამოვნო სიურპრიზებიც ახლდა თან, თამამად აცხადებს, რომ მას რუსეთის ფედერაციაში ცხოვრება სურს, თუმცა, ისევე როგორც ბევრი რუსი ეროვნების ადამიანისთვის, საქართველო მისთვისაც მეორე სამშობლოა და რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართველების დისკრიმინაციას არ ეთანხმება.

გრიბოედოვის თეატრში მოსვლამდე მწერალმა პრესკონფერენცია "ვილა ბერიკაში" გამართა, სადაც საუბრის მთავარი თემა რუსეთ-საქართველოს შორის გართულებული ურთიერთობები იყო. მისი



*ვიქტორ შენდეროვიჩი პრესკონფერენციაზე.*

თქმით, **"რუსეთისა და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს დაავიწყდათ, რას ნიშნავს ქვეყნის ინტერესები. მათ სანაგვეზე მოისროლეს ის ურთიერთობები, რომელიც სააკაშვილისა და პუტინის ხელისუფლებაში მოსვლამდე ორ ქვეყანას შორის არსებობდა. ჩემი აზრით, ეს კონფლიქტი საქართველოს ხელისუფლების მიერ, გარე ძალების დახმარებით იყო ინსპირირებული, რუსეთი კი პროფესიონალურ პროვოკაციაზე წამოეგო. მიმაჩნია, რომ იმაში, რაც ხდება რუსეთის პასუხისმგებლობა უფრო დიდია, რადგან უფრო დიდი ქვეყანაა. მე პირადად რუსეთის მხრიდან განხორციელებული ქმედებებების მრცხვენია. თუმცა აქვე მინდა ბოდიში მოგიხადოთ მთელი რუსი ეროვნების ხალხის სახელით და გითხრათ, რომ პუტინი, ეს მთელი რუსეთი არ არის."** თეატრის სცენაზე კი მან საკუთარი შემოქმედება შემოგვთავაზა, რომლის ერთ-ერთი მთავარი თემა რუსეთის პრეზიდენტი გახლდათ.

**- ბატონო ვიქტორ, როგორ ფიქრობთ, ჩვენი ასეთი ლოიალური დამოკიდებულება შეცვლის რამეს?**

- ვფიქრობ - კი. რადგან ვთვლი, რომ ეს პოლიტიკის ჩვეულებრივი ინტრიგაა. მჯერა და მწამს, რომ ჩვენ ისევ ერთად ვიქნებით. ჩემი საღამო უკვე დაგეგმილი იყო, როცა ეს ამბები დაიწყო და საინტერესო სწორედ ის ფაქტია, რომ საქართველოდან ჩემი მეგობრები მირეკავდნენ და მამშვიდებდნენ. მე დიდი მადლობელი ვარ იმ ყურადღებისთვის, რომელსაც ქართველი ერი ჩემ მიმართ იჩენს...

**- თქვენს შემოქმედებაში მთავარი თემა რუსეთის პრეზიდენტი იყო...**

- იცით, მე ვთვლი, რომ ამ ქვეყანაზე არაფრის გამოგონება არ შეიძლება, ყველაფერი ჩვენი რეალური ცხოვრებიდან მოდის...

# ერთად და მარტო

### სიშიშვლე და სექსი შუა კომუნიზმში

სოფო კილასონია

მაშინ, როცა მოსკოვი ყველაფერს ქართულს ებრძვის და რუსული ნაციზმის გამოვლენას ჩვენთან მიმართებაში რადიკალური ფორმებით ახდენს, პარალელურ რეჟიმში ერთ უჩვეულო გამოფენას ამზადებს. კულტურათა დიალოგის ფორუმზე, რომელსაც მოსკოვი 27 ნოემბერს გახსნის, იქნებიან რადიკალური პოზიციების მქონე მხატვრები ყირგიზეთიდან, ვიდეო არტისტები ტაჯიკეთიდან, იქნება ირანული კინო სექსზე და კიდევ რაღაცეები უზბეკურ სტილში. ჩინეთის პოზიციას ძმები ჩენ და კიანი გაოები წარმოადგენენ.



მათი კარიერა მაშინ დაიწყო, როცა თანამედროვე ხელოვნებაზე მათსავე მაშინდელ კომუნისტურ ჩინეთში საუბარიც კი არ ყოფილა. ამიტომაც გაოების პერფორმანსები და კონცეპტუალური ფოტოები უხერხულ და მიუღებელ პორნოგრაფიად აღიქმებოდა. მაგალითისთვის ეს თამამი ახალგაზრდები ერთმანეთისთვის სრულიად უცხო ადამიანებს აიძულებდნენ გაეხადათ და ერთმანეთს ჩახუტებოდნენ. იხდიდნენ და ეალერსებოდნენ თითქმის ყველგან: უდაბნო ადგილებში, მიგდებულ შენობებში, ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც მათ ვერ დაინახავდნენ. ვერ დაინახავდნენ ცოცხლად, მაგრამ მათ ხედავდნენ ძმების მიერ შექმნილ ფოტოკადრებზე.

არადა შიშველი სხეული ჩინეთში ერთი დიდი ტაბუ გახლდათ. სხეული იქ არ არსებობდა, სწორედ ისე, როგორც სექსი - CCCP-ში. გულშიკვრისა და ჩახუტების ამ აქციამ ძმებს სახელი გაუთქვა, არა მხოლოდ დიდ ჩინეთში, არამედ დიდ დასავლეთშიც. გაოების ჩანაფიქრმა ისე იმოქმედა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ევროპელმა არტისტებმა "ჩახუტების" დღე დააწესეს და ერთმანეთის ალერსით იზეიმეს. როგორც მოსალოდნელი იყო ამგვარი გამოხმაურება გაოების სამშობლოში არც ისეთი აღფრთოვანებით მიიღეს. ამას მოჰყვა ის, რომ 2001 წლის ვენეციის ბიენალეზე, სადაც ძმებს აქცია უნდა მოეწყოთ, ისინი სამშობლოდან არ გაუშვეს.

ყველაზე საოცარი ისაა, რომ რაიმე პროვოკაციულის დანახვა და აღმოჩენა ჩენისა და კიანის ნამუშევრებში ძალზე რთულია. ჩინელი პუბლიკის სიჯიუტესა და პროტესტს რეალურსა და რაციონალურ მიზეზს ვერ ვუძებნით. ალბათ მათში პრობლემას მხოლოდ ჩინური იდეოლოგიური კულტურის ჭრილში შევნიშნავთ, თუმცა ამგვარ მცდელობასაც არ მოაქვს დიდი შედეგი. მაგრამ აი, ერთი მოსაზრებაც: მაგალითისთვის თუ სპენსერ ტუნიკი ადამიანებს მასად, "გროვად", ინსტინქტების მქონე, სრულიად არაინდივიდუალურ არსებებად აღიქვამს და ასეც აფიქსირებს მათ, ჩენი და კიანო ადამიანების არსის, მათი სიკეთის განზოგადებას ახდენენ. ნებისმიერი ფოტო ერთი ინდივიდის განცდისა და არჩევანის დაფიქსირებასა და მისი ნების პრეზენტაციას წარმოადგენს. თუნდაც ეს არჩევანი და ეს ნება მუდამ ერთი და იგივე - სიყვარული იყოს. აქ უკვე გასაგებია, რა არ მოეწონებათ ჩინეთის ყველა სხვა დანარჩენ უმარავლესობა ხელოვანთ, რომელთათვისაც ინსპირაციის ერთადერთი წყარო ისევ და ისევ კოლექტივია.

ჩანისა და კიანოს ხელოვნება მხოლოდ ფოტოებით არ შემოიფარგლება. საინტერესოდ ეჩვენებათ მათი აქციებიც. მაგალითისთვის ერთ-ერთ მათგანს მთავარ თემად მარტოობა და ერთად ყოფნა მისდევს. ჩინეთში ბევრი ხალხია, ამიტომაც სულ რამდენიმე წამიც კი მარტოობისა ბევრისთვის თურმე უტოპიად აღიქმება. ასეც დაარქვეს ძმებმა ამ აქციას: "ოცწუთიანი ჩახუტების უტოპია". ოცი წუთი გრძელდება ადამიანთა ჯგუფის დუმილი და ერთად ყოფნა და შემდეგ იშლებიან. ცხადია ჩინელი ხელოვანების ირონიული მზერა საკუთარ ყოფაზე. ისე კი, ამ უკვე ძალზე პოპულარული ძმების ფოტოებზე ყველაფერი ძალიან ცხადია...

სულ სხვა აქციას, რომელსაც ჩანი და კიანო ალბათ მოსკოვშიც განახორციელებენ და რომლის ფოტოსერია ბევრისთვის უკვე ცნობილია, "სამუდამო ნაგებობის" სათაურითაა ჩვენამდე მოსული. უზარმაზარი, ბეტონის ნაგებობის ინტერიერში, სხვადასხვა მოცულობებსა და სართულებზე ადამიანები არიან განთავსებულნი. აქ ძალზე პირდაპირნი აღმოჩნდნენ ჩინელი "რევოლუციონერები" - შენობა მათი ქვეყანაა, ძლიერი და ურყევი სტრუქტურა, რომლის ბეტონის კედლებიც ადამიანებს გამთლაინების საშუალებას არ აძლევენ. სხვადასხვა სართულებსა და კუთხეებში კი ჩვეულებრივი ჩინური ყოფა ვითარდება. ნამდვილი სოციალისტური ყოფა, პოლიციელებითა და სხვა დანარჩენით. და კიდევ ერთი რამ, ყველა მათგანი, იქ სადაც დგას, ანდა ზის, საკმაოდ ვიწროდ და შეზღუდულად გრძნობს თავს.

ერთადერთი გამოსავალი მათთვის განმარტოებაა. წასვლა, გაფრენა, თუნდაც კოსმოსში. გაოებმა ოცნება გაფრენის თაობაზე ხილვად წარმოსახვად აქციეს. სერიაში "უმაღლესი წერტილი". აქ ფოტოებში რაღაც სვეტები ცისფერ ჰაერში მიფრინავენ. ყოველ სვეტზე არის ადგილი, ადგილი მხოლოდ ერთი ადამიანისთვის. გასაგებია, გაოები მიხვდნენ, რომ ადრე თუ გვიან ჩინელებს მოუწევთ გადაწყვიტონ რა ქნან, სად წავიდნენ. სად მოძებნონ ადგილი, რომ სულ ცოტათი მაინც შეძლონ ფრენა.





ცნობილი სახალხო მკურნალი **ანდრო სამხთუაშვილი** იღებს პაციენტებს "დავით ტატიშვილის აღდგენითი მედიცინის ცენტრში".

## ს ი ა ხ ლ ე !

## ყველას, ვისაც გაწუხებთ ხერხემლის დაავადებები!

სამკურნალო მასაჟისა და მანუალური თერაპიის გამოცდილი სპეციალისტი, ირაკლი ძიძიგური გთავაზობთ ხერხემლის დაავადებების მკურნალობისა და რეაბილიტაციის უახლეს, მაღალეფექტურ კინეზო-ფიზიოთერაპიულ კომპლექსს.

**მის. ი. ჭავჭავაძის 78**

**დავით ტატიშვილის აღდგენითი**

**მედიცინის ცენტრი**
**ტელ: 293 -292**
**(899) 222 - 912**
**(893) 65 38 39**



## ჩვენ მივდივართ დროს!

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი**

## გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

**ულტრათანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების სრულ კომპლექსს ნებისმიერი ასაკის პაციენტებისთვის**

■ სპირალური კომპიუტერული ტომოგრაფია.

■ ექოსკოპია სამგანზომილებიანი რეკონსტრუქციით.

■ უახლესი ამერიკული ფერადდოპლერიანი ექოსკოპიური აპარატურით მომსახურებას გამოძახებით.

■ რენტგენოლოგიურ კვლევებს და მამოგრაფიას სტერეოტაქსიური ბიოფსიით.

■ მაღალტექნოლოგიურ კომპიუტერულ ელექტროენცეფალოგრაფიას.

■ ფუნქციური დიაგნოსტიკის მეთოდების სრულ პაკეტს.

■ აბსოლიტურად უსაფრთხო, მაღალტექნოლოგიურ, უზუსტეს ლაბორატორიულ გამოკვლევებს.

■ ციტოლოგიურ, ჰისტოლოგიურ და მოლეკულურ - მორფოლოგიურ ლაბორატორიულ კვლევებს.

■ კომპიუტერულ კოლპოსკოპიას.

■ ორთოპედულ - ტრავმატოლოგიური, გინეკოლოგიური და სანაღვლე გზების დაავადებების ქირურგიულ ოპერაციებს მსოფლიოში უახლესი ლაპარასკოპიული ტექნოლოგიების აპარატურით.

■ აღდგენითი თერაპიის ულტრათანამედროვე ტექნოლოგიებს.

■ წონაში კლებისა და გაჯანსაღების თანამედროვე მეთოდიკებს და ახალ პროგრამებს.

■ სუ ჯოკ თერაპიას და აღმოსავლური მედიცინის მკურნალობის მეთოდების ფართო სპექტრს.

■ ყველა სახის მომსახურებას თერაპიულ, ქირურგიულ და ორთოპედიულ სტომატოლოგიაში

■ ბავშვთა და მოზრდილთა ასაკის პაციენტთა სრულ პოლიკლინიკურ მომსახურებას.

■ ბინაზე მომსახურების სრულ პაკეტს.

■ შაბათ-კვირას მომსახურეობა ტარდება ფასდაკლებით

**თბილისი, ვაკე, თენგიზ აბულაძის ქ. N8**
**ტელეფონი: 91 31 19, 91 32 42**

24 საათი B

# ბიზნესი

© გაზეთი 24 საათი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:



### კომპანია Bristol-ი Bugatti Veyron-ის კონკურენტზე მუშაობს

ბრიტანული საავტომობილო მარკა Bristol-ი ახალი მოდიფიკაციის კუპე- Bristol Fighter-ზე მუშაობს, რომელიც, კომპანიის წარმომადგენლების თქმით, ყველაზე ძლიერი სერიული ავტომობილი იქნება. ამ მხრივ კი იგი ძირითად კონკურენციას Bugatti Veyron-ს გაუწევს. ახალ ავტომობილს, სახელწოდებით Fighter T, რვალიტრიანი V10 ძრავა ექნება, რომლის სიმძლავრეც 1012 ცხენისძალის ტოლფასია. ამ ძრავის წყალობით Bristol Fighter T მსოფლიოში ყველაზე სწრაფ ავტომობილებსაც კი გაუწევს კონკურენციას. კომპანიაში აცხადებენ, რომ ახალი ავტომობილის მაქსიმალური სიჩქარე საათში 435 კილომეტრია. ამ ავტომობილში უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად დაცული იქნება, კონკრეტულად კი ავტომობილს სიჩქარის კონტროლის ავტომატური მექანიზმი ექნება. ნულიდან საათში ას კილომეტრს ავტომობილი 3,5 წამში კრეფს. ახალი Bristol Fighter T-ს ფასი ჯერ ცნობილი არ არის.

### ამერიკაში ავტომობილების რეალიზაცია გაიზარდა

ამერიკის შეერთებული შტატების საავტომობილო ბაზარზე ვაჭრობა საგრძნობლად გაიზარდა. საავტომობილო კომპანია General Motors-ის ავტომობილების გაყიდვების მაჩვენებელმა ოქტომბრის თვეში 17,3 პროცენტით მოიმატა. გასული 2005 წლის მონაცემებთან შედარებით, წლევანდელი მაჩვენებელი ძალიან ოპტიმისტურია.

ამ პროცესზე გავლენა ნავთობის გაიაფებამ იქონია. მაისის შემდეგ საწვავის ფასი ოთხჯერ დაეცა და შედეგმაც არ დააყოვნა.

კომპანია Toyota-ს გაყიდვა 9,2%-ით, Ford-ის კი 8%-ით გაიზარდა. DaimlerChraysler-ის მოგება კი, პირიქით, 1,6 პროცენტით შემცირდა.

მსოფლიოში ერთ-ერთმა უმსხვილესმა საავტომობილო კომპანია General Motors-მა ოქტომბრის თვეში 301 ათასი ავტომობილი, Ford-მა - 214 ათასი, ხოლო Toyota-მ 189 ათასი ავტომობილი გაყიდა.

### საარსებო მინიმუმი 92,8 ლარია

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სექტემბერში ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმმა 92,8 ლარი შეადგინა. 2004 წელს ანალოგიური მაჩვენებელი 74,7 ლარით განისაზღვრებოდა. შესაბამისად, გაიზარდა საარსებო მინიმუმის მაჩვენებელი ოთხსულიანი ოჯახისთვის და 149,4 ლარის ნაცვლად 185,6 ლარი შეადგინა.

თუმცა, ექსპერტები მიიჩნევენ, რომ რეალური ციფრები გაცილებით მაღალია, ვიდრე ოფიციალური სტატისტიკა, განსაკუთრებით, ინფლაციის დონის გათვალისწინებით. ექსპერტ ემზარ ჯგერენაიას გათვლებით, რეალური საარსებო მინიმუმი ორი წევრისგან შემდგარი ოჯახისთვის 460 ლარია, ხოლო ოთხსულიანისთვის კი - 720 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3436 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9877 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4725 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7355 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8103 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1334 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3033 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2155 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4167 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3338 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1818 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1482 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,3103 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1885 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2576 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,4045 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5320 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1497 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4064 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3178 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2690 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5733 |
| 1 | რუმინული ლეი | RON | 0,6296 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0650 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1124 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4552 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5115 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4081 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4383 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8512 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0031 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1357 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4450 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2414 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,3933 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0788 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2205 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2232 |




# რამდენით გაიზრდება ჯანდაცვის ობიექტის ლიცენზიის მოსაკრებელი

## 700 ობიექტის წაგებიანი რეალობა და პერსპექტივა



თინა შავაძე

*საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის საქმიანობამ კომერციული დატვირთვა დღემდე ვერ შეიძინა. ქვეყანაში მიმდინარე დიდი პრივატიზაციის მიუხედავად, დღემდე სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი სამკურნალო დაწესებულებების უმეტესობა წაგებიანი ობიექტებია. ცნობილია, რომ კერძო პირი უფრო კარგად მართავს ქონებას, ვიდრე სახელმწიფო. და სწორედ სახელმწიფო მენეჯმენტის შედეგია, რომ ქვეყანაში მარტივი ოპერაციის გაკეთებას მინიმუმ 1000 ლარი სჭირდება, მკურნალობა ძვირადღირებული მომსახურებაა, მაგრამ სამკურნალო დაწესებულებების უმეტესობა საერთაშორისო სტანდარტებს მაინც ვერ აკმაყოფილებს.*

შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პირველი პირები ღიად საუბრობენ სამკურნალო ობიექტების გაყიდვის თაობაზე. ეს ობიექტები შეინარჩუნებენ თუ არა სამედიცინო პროფილს, რა თქმა უნდა, ბაზარმა უნდა განსაზღვროს, რადგან შეუძლებელია, თუნდაც დედაქალაქში ერთი სახეობის საქმიანობას 100-მდე სამკურნალო დაწესებულება ემსახურებოდეს. ჯანდაცვის სფეროს რეფორმა და რეგულირება მთავრობამ მოქმედი კანონმდებლობის მოწესრიგებით დაიწყო.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტის მიხედვით, 700 ობიექტის (500 ობიექტი თბილისის გარეთ მდებარეობს) ახალ ლიცენზირების სისტემაზე გადასვლა იგეგმება. პროექტის განხილვა პარლამენტში გასულ კვირას დაიწყო. როგორც ირკვევა, ბაზარზე 2 500 სხვადასხვა სახის სამედიცინო საქმიანობაზე გაიცემა ლიცენზირები და ნებართვის მოთხოვნა. პროექტით, ლიცენზიის მოსაკრებელი თითოეულ სახეობაზე 20-50 პროცენტით გაიზრდება და, ამასთან, ლიცენზიის შეჩერების მექანიზმი შეიცვლება - პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში იურიდიული პირი განსაზღვრული, მაღალი საჯარიმო სანქციებით დაისჯება.

გაგრძელება B2 გვერდზე

B2

# "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი და პროფესიული კავშირი უმუშევრებზე ზრუნავენ

ლიკა ჯობაძე

*საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირი და "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი საქართველოში უმთავრესი პრობლემის - უმუშევრობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობას იწყებენ. ასე რომ, პროფესიული კავშირების ყველა წევრს, სამსახურის ძალდატანებით დაკარგვის შემთხვევაში, კომპენსაციის სახით, ყოველთვიურად "ჯი-პი-აი" ჰოლდინგისგან 1,500 ლარი დაენიშნება.*



B4

# კაპიტალდაბანდების ჟამი სლოვაკეთში

გორჩა ქიმუცაძე

*სლოვაკეთი ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი და მყუდრო ქვეყანაა. იგი განთქმულია არა მარტო თავისი უმშვენიერესი ისტორიულ-კულტურული ძეგლებითა და ბუნებით, არამედ სტაბილური ეკონომიკითაც. ასე რომ, თუ ამ ქვეყანაში კაპიტალდაბანდების განხორციელებას გადაწყვეტთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, მცდარ ნაბიჯს არ გადადგამთ.*





B3

## ოზურგეთის ჩაის გადამამუშავებელ საწარმოში, შესაძლოა, ლიტვური ინვესტიცია ჩაიდოს

უახლოეს ხანებში ოზურგეთში მდებარე, ჩაის გადამამუშავებელ საწარმო "ტონუსში", შესაძლოა, ლიტვური ინვესტიციები ჩაიდოს, - განაცხადა ოზურგეთის გამგეობის წარმომადგენელმა ალეკო ყველაშვილმა.

მისი განმარტებით, ლიტვის ქალაქ პანავეჟეს დელეგაცია გურიაში უკვე იმყოფებოდა. სტუმრებმა ჩაის გადამამუშავებელი საწარმო "ტონუსი" დაათვალიერეს და განაცხადეს, რომ "ტონუსთან" გარკვეული ბიზნეს-გარიგებების დასადებად 5 თვის შემდეგ ისევ ჩამოვლენ.

ლიტველები ჩოხატაურის რაიონში მდებარე კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურითაც დაინტერესდნენ.

ყელაშვილის ინფორმაციით, ლიტველებმა, შესაძლოა, ბახმაროში სასტუმროს მშენებლობაც დაიწყონ.

"პოტენციურ ინვესტორებს გარკვეული ბიზნეს-წინადადებები შევთავაზეთ. ისინიც დაგვპირდნენ, რომ კარგად გააანალიზებენ და საბოლოო პასუხს 5 თვეში გვაცნობებენ," - განაცხადა ალეკო ყველაშვილმა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ტრანსფერები სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად რჩება

საქართველოს შრომის ბაზრის მიმოხილვისას აღმოჩნდა, რომ ტრანსფერები კვლავ რჩება არა მარტო საგადამხდელო ბალანსის, არამედ ქვეყნის სამომხმარებლო ბაზრის კონიუნქტურის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან ფაქტორად.

განსაკუთრებით დიდია ბაზარზე მისი ზემოქმედება, რადგან ქვეყანაში შემოსული მიმდინარე ტრანსფერების უდიდეს ნაწილს კვლავ ფულადი ტრანსფერები წარმოადგენს.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამ უკანასკნელზე მოდის მიღებული მიმდინარე ტრანსფერების 87 პროცენტი, რაც დაახლოებით 240 მილიონ დოლარს შეადგენს და მთლიანად შიდა პროდუქციის 7-8 პროცენტის ფარგლებშია.

შედარებისთვის, 2005 წელს შრომის ანაზღაურება ქვეყანაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქციის 20 პროცენტს შეადგენდა. ამავე დროს კვლავ მაღალია ფულადი ტრანსფერების თანაფარდობა შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მოცულობასთან. სხვაობა თითქმის 0,75 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ანგარიშის დადებითი სალდო 300 მილიონი დოლარია

კაპიტალისა და ფინანსური რესურსების ანგარიშის დადებითმა სალდომ მიმდინარე წლის პირველ ნახევარში 300 მილიონ დოლარს მიაღწია. ეს მაჩვენებელი 125,9 მილიონი დოლარით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემზე. როგორც სპეციალისტები განმარტავენ, აღნიშნული კაპიტალის ანგარიშის დადებითი სალდო 23,3 მილიონი დოლარითა და ფინანსური ანგარიშის 120,6 მილიონი დოლარით ზრდით არის გამოწვეული. ფინანსური ანგარიშის ასეთი შთამბეჭდავი ზრდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების ზრდას იწვევს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## საქართველოში შემოსულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციამ 321,2 მილიონი დოლარი შეადგინა

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, 2006 წლის პირველ ნახევარში, სერიოზული ინვესტიციები განხორციელდა ქვეყნის საბანკო სექტორში. ასევე, კავშირგაბმულობის სფეროში, ენერგეტიკასა და მანქანათმშენებლობაში.

წინასწარი შეფასებით, საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციის უდიდესი ნაწილი BP-ზე მოდის.

თუმცა, ასევე მნიშვნელოვანი იყო ყაზახეთის, თურქეთის, აშშ-ს და აზერბაიჯანის ინვესტიციები. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის დირექტორი აზერბაიჯანს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება

13 ნოემბერს ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის KfW რეგიონული დირექტორი რაინხოლდ შტრაუსი აზერბაიჯანს ერთდღიანი ოფიციალური ვიზიტით ესტუმრება. შტრაუსი აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების მინისტრს შეხვდება. ისინი 2007 წლის ერთობლივ პროექტებზე ისაუბრებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მშპ-ში მშენებლობის წილი გაოთხმაგდა

მთლიან შიდა პროდუქტში მშენებლობის სექტორის მოცულობა, 5 წლის განმავლობაში, თითქმის გაოთხმაგდა.

სტატისტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, აღნიშნულ სფეროზე მშპ-ში 2001 წელს 259, 6 მილიონი ლარი მოდიოდა და ამ მაჩვენებელმა 2005 წელს 1 მილიარდ 315, 7 მილიონ ლარს მიაღწია. 2006 წლის მხოლოდ მეორე კვარტალში კი 228,9 მილიონი ლარით განისაზღვრა.

გაიზარდა მშპ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაც. როგორც 2001 წელს, ასევე შარშან ეს სფერო უალტერნატივო იყო და მისი მოცულობა 1 მილიარდ 399 ლარსა და 1 მილიარდ 717, 4 მილიონი ლარს შეადგენდა. ანალოგიური მაჩვენებელი მიმდინარე წლის მეორე კვარტალში 411, 7 მილიონი ლარით განისაზღვრა.

მნიშვნელოვანი ინტერესი აღინიშნება ვაჭრობა-რემონტის სექტორშიც, რომლის მოცულობამ 2001-2005 წლებში 871 მილიონი ლარიდან 1 მილიარდ 315,7 მილიონ ლარამდე მოიმატა. 2006 წლის აპრილ-ივნისში კი 547, 3 მილიონი ლარი შეადგინა.

ტრადიციულად, კვლავ ღარიბულად გამოიყურება სამთომოპოვებითი სექტორი, რომლის მოცულობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 37,9 მილიონი ლარიდან 85,3 მილიონ ლარამდე გაიზარდა, ხოლო 2006 წლის მეორე კვარტალში კი მხოლოდ 34 მილიონი ლარით განისაზღვრა. **ინტერპრესნიუსი**

## ნიდერლანდების ბანკის პრეზიდენტის ვიზიტი საქართველოში გადაიდო

ნიდერლანდების ბანკის პრეზიდენტის ნოუთ ველინკის ვიზიტი საქართველოში გადაიდო.

შესაბამისად, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძისა და ნიდერლანდების ბანკის პრეზიდენტის ნოუთ ველინკის ერთობლივი ბრიფინგი აღარ გაიმართება. **ჯი-ეიჩ-ენი**

# რამდენით გაიზრდება ჯანდაცვის ობიექტის ლიცენზიის მოსაკრებელი

პირველი გვერდიდან

კანონპროექტი "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" ადგენს საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სამედიცინო საქმიანობის სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების განაკვეთებს. აღნიშნული მოსაკრებლის გადახდა წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პირობას, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ფიზიკური ან იურიდიული პირი კონკრეტულ საქმიანობაზე ლიცენზიისა და ნებართვის მისაღებად. წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული მოსაკრებლის განაკვეთები განსაზღვრულია "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს სამედიცინო და ფარმაცევტულ სფეროში ლიცენზირებასა და ნებართვებს დაქვემდებარებულ საქმიანობის სახეებს.

კანონპროექტით, მოსაკრებლის ოდენობა გაიზარდა ყველა სამედიცინო საქმიანობაზე, რაც ერთის მხრივ, განპირობებულია რამდენიმე საქმიანობის გაერთიანებით, და მეორეს მხრივ იმით, რომ ახალი კანონმდებლობა აღარ ითვალისწინებს ოთხი პოზიციის არსებობის შესაძლებლობას (ამბულატორიული, სტაციონარული, ბავშვთა და მოზარდთა სამედიცინო დახმარება). ამჟამად მოქმედებს მხოლოდ ორი - გენერალური და სპეციალური ლიცენზია, რომლებიც მოიცავენ ადრე მოქმედ საქმიანობის სახეებს. აქედან გამომდინარე, საჭირო გახდა მოსაკრებლების ოდენობის გაზრდაც.

ლიცენზირებას დაქვემდებარებული ობიექტების კონტროლი, არსებული მწირი საბიუჯეტო სახსრების გამო, შეუძლებელია. რადგან მოქმედი მოსაკრებლების სისტემა არ მოიცავს სამივლინებო და სხვა ტექნიკურ ხარჯებს, რომლის დეტალური ასახვაც მოხდა კანონპროექტის განმარტებითი ბარათის ფინანსური დასაბუთების ნაწილში. კანონის პროექტის მიღება გავლენას მოახდენს საშემოსავლო ნაწილზე და, მთავრობის პროგნოზით, იგი 20 000 ლარით გაიზრდება. არსებული გაანგარიშება სტატისტიკურ მონაცემებს ეყრდნობა. კერძოდ, იგი არის სხვაობა მიმდინარე წლის იანვრიდან დღემდე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიებისა და ნებართვების შედეგად ბიუჯეტში შესული თანხის ოდენობასა და მოსაკრებლის თანხის იმ ოდენობას შორის, დროის იგივე მონაკვეთში, თუ ის იქნებოდა გადახდილი აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მოსაკრებლის სისტემამ განიცადა ტრანსფორმაცია. მაგალითად, ონკოლოგიური სამედიცინო საქმიანობის მოსაკრებელი იყო 20 ლარი, ახალი კანონპროექტით იგი 112 ლარით განისაზღვრა.



კანონპროექტის მიღებით შეიცვლება ლიცენზირებისა და ნებართვების მაძიებლის ფინანსური შედეგები. თუმცა, მატერიალური თვალსაზრისით, ლიცენზიის მაძიებლებზე იგი უარყოფით ზეგავლენას არ მოახდენს. ამის მიზეზები შემდეგია: პირველი - პროექტით, ლიცენზირებასა და ნებართვას ექვემდებარება მხოლოდ 50-მდე საექიმო საქმიანობა, განსხვავებით ადრე მოქმედი 200-ზე მეტი საქმიანობისა. ახალი პროექტით, უმეტეს შემთხვევაში, ზოგიერთი საქმიანობისთვის საერთოდ გაუქმდა ლიცენზიისა და ნებართვის საჭიროება და მსურველს შეუძლია, იგი ყოველგვარი მოსაკრებლის გარეშე აწარმოოს; მეორე - პროექტით გათვალისწინებული გენერალური ლიცენზია მოიცავს რამდენიმე სალიცენზიო საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. თუ ადრე ლიცენზიის მაძიებელი ყოველი საქმიანობისთვის ცალკე მოსაკრებელს იხდიდა, ახლა იგი ერთი, გენერალური ლიცენზიის მოსაკრებელს გადაიხდის, რომელიც ადრე გადასახდელი რამდენიმე მოსაკრებლის თანხობრივი ჯამია. ამ გზით კერძო პირი რამდენიმე სამედიცინო საქმიანობის განხორციელების უფლებას მოიპოვებს.

პარლამენტში კამათის საგანი გახდა დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი. საქართველოში წლის განმავლობაში ლიცენზია არსებული 700 ობიექტის (500 ობიექტი თბილისის გარეთ მდებარეობს) 2 500 ერთეულ სამედიცინო საქმიანობაზე გაიცემა. ლიცენზირების პროცესში საშუალოდ მონაწილეობს ათი სახელმწიფო მოხელე და მათი წლიური ხარჯი (მივლინების გარდა) 113 000 ლარია. 500 ობიექტზე მივლინების წლიური ხარჯი კი (გაანგარიშებულია მივლინებული სამი სახელმწიფო მოხელის ორი დღე-ღამის ხარჯის მიხედვით) 165 000 ლარით განისაზღვრა. მოკლედ, ამ და სხვა ხარჯებზე დაყრდნობით მოხდა ერთეული სამედიცინო საქმიანობის ლიცენზირების ხარჯის გაანგარიშება.

რა გზით მოხდება ჯანდაცვის სფეროში მოქმედი კერძო კომპანიების საქმიანობის გაკონტროლება და მომხმარებელთა უფლებების დაცვა? აღნიშნული კანონპროექტის პარალელურად მთავრობამ მოამზადა კანონპროექტი "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე". პროექტით, გამკაცრდება იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთა საქმიანობაც ლიცენზირებასა და ნებართვას ექვემდებარება. ახალი წესით, ჯანდაცვის სფეროში მოქმედ კომპანიებს, ლიცენზიისა და ნებართვის შეჩერების ნაცვლად, დიდი ოდენობის ჯარიმა დაეკისრებათ. როგორც ირკვევა, სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მფლობელის მიერ კანონით დადგენილი სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა 1000-1500 ლარის ოდენობით დაჯარიმებას გამოიწვევს. სალიცენზიო პირობების განმეორებითი შეუსრულებლობა 3000-4500 ლარით დაჯარიმდება, ხოლო მესამედ შეუსრულებლობა 9000-13500 ლარით დაჯარიმებას ითვალისწინებს. სამართალდარღვევათა შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამედიცინო ან ფარმაცევტული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლისა და ზედამხედველობის განმახორციელებელი დაწესებულებები.

## "ყაზტრანსგაზ-თბილისი" აბონენტებს პროფილაქტიკურ მომსახურებას სთავაზობს

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" მოსახლეობას უბედური შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკურ მომსახურებას სთავაზობს. როგორც კომპანიაში აცხადებენ, გაზის ხელსაწყოებით სარგებლობა საჭირო პროფილაქტიკური სამუშაოების გარეშე საშიშია. ხელსაწყოს უმოქმედობის პერიოდში შესაძლებელია ონკანის საცხების გახმობა, რაც გაჟონვას იწვევს და საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს.

"აქედან გამომდინარე, აბონენტებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაზის ხელსაწყოები, რომლებიც გამორთული და უმოქმედო იყო, აუცილებელ პროფილაქტიკურ მომსახურებას მოითხოვს. პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებისათვის მოქალაქეებმა შესაბამის რაიონულ ბიზნეს-ცენტრებს უნდა მიმართონ. გაზის ხელსაწყოს პროფილაქტიკურ მომსახურებას კომპანიის მორიგე ზეინკალი უზრუნველყოფს," - აღნიშნავენ კომპანიაში. **ინტერპრესნიუს**

## ბაგა-ბაღებს, სკოლებს, პოლიკლინიკებსა და საავადმყოფოებს გაზმომარაგებისთვის გარკვეული პირობების დაკმაყოფილება მოუწევთ

კომპანია "ყაზტრანსგაზ-თბილისი" საბავშვო ბაგა-ბაღებს, სკოლებს, პოლიკლინიკებს, საავადმყოფოებს და სხვადასხვა კვების ბლოკის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს 4 სახის დოკუმენტაციის წარმოდგენას სთხოვს, მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში კი ბუნებრივი აირის მიწოდების განახლებას გამორიცხავს.

როგორც კომპანიიდან გვაცნობეს, აღნიშნულმა ორგანიზაციებმა სამზარეულო სათავსებში განლაგებული გაზის მოწყობილობების ქსელში ოპერატიულად ჩართვის მიზნით დოკუმენტაცია შესაბამის რაიონულ სადისტრიბუციო ცენტრში დროულად უნდა წარმოადგინონ.

კომპანიაში წარსადგენია: 1. კვამლსადენებისა და სავენტილაციო არხების ვარგისიანობის აქტები (გაზის წყალგამაცხელებლის არსებობის შემთხვევაში) ; 2. გაზზე პასუხისმგებელი პირის და მომსახურე პერსონალის დანიშვნის ბრძანების ასლები; 3. მომსახურე პერსონალისა და გაზზე პასუხისმგებელი პირის სამუშაოზე დაშვების ნებართვა (გადამზადების ოქმის ან აქტის ასლი); 4. ხელშეკრულება მომსახურებაზე შპს "ყაზტრანსგაზ-თბილისთან". **ინტერპრესნიუსი**

---

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 1,312,399 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 53,246,325 |

| 3-ნოემბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.736 | ▲ | 0.17% | 3.15% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 622.1 | ▲ | 2.04% | 76.23% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 546.8 | ▲ | 1.86% | 70.68% |

GTBC ინდექსი (GEL) და სსბ სავაჭრო მოცულობა (GEL mln)




გაცვლითი კურსი GEL/US



სადეპოზიტო სერტიფიკატების საშ.შეწონილი % და ემისიის მოცულობა (GEL'000)




სადეპოზიტო სერტიფიკატების დაფარვის კალენდარი

| ემისიის დღე | დაფარვის დღე | ვადიანობა | საშ.% | მოცულობა (GEL'000) |
|---|---|---|---|---|
| 19-სექ-06 | 19-დეკ-06 | 91 დღე | 11.74% | 412 |
| 21-სექ-06 | 21-დეკ-06 | 91 დღე | 11.99% | 400 |
| 26-სექ-06 | 26-დეკ-06 | 91 დღე | 12.00% | 525 |
| 28-სექ-06 | 28-დეკ-06 | 91 დღე | 11.73% | 1,000 |
| 9-ოქტ-06 | 6-ნოე-06 | 28 დღე | 12.00% | 1,000 |
| 20-ოქტ-06 | 17-ნოე-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| 23-ოქტ-06 | 20-ნოე-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| 27-ოქტ-06 | 24-ნოე-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| 30-ოქტ-06 | 27-ნოე-06 | 28 დღე | 11.99% | 1,000 |
| სულ | | | | 7,337 |

| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 8,170 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 411,545 |

### საფონდო და ობლიგაციების ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 1.86%-ით გაიზარდა 546.8-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 1.3 მლნ ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები საქართველოს ბანკის ობლიგაციასა და თერთმეტ აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ოთხი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 2.77%-ით), გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასმა დაიკლო 4.54%-ით), გაერთიანებული ქართული ბანკი (UGB, გაყიდვა, ფასი გაიზარდა 7.30%-ით) და უნივერმაღი თბილისი (UTB, გაყიდვა, ფასი არ შეცვლილა). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპის აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 97.68% მოდიოდა. ბოლო ვაჭრობაზე საქართველოს ბანკის აქციაზე მორიგი ისტორიულად მაქსიმალური ფასი - 20.25 ლარი დაფიქსირდა.

**2006 წლის 6 ნოემბერს პროკრედიტბანკი ფარავს თავის ერთ წლიან დისკონტურ ობლიგაციას,** რომელიც მან შარშან სექტემბერში, საქართველოს ბანკის მიერ ორი მილიონი ლარის ღირებულების მქონე ორ წლიანი ობლიგაციების განთავსების შემდგომ გამოუშვა. საერთო ჯამში პროკრედიტს გამოშვებული აქვს 5.9 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები.

### ეკონომიკა

**როიტერსის ცნობით "Standard & Poor's"-ის (S&P) სარეიტინგო სააგენტომ განაცხადა, რომ რუსეთის გაზპრომის მიერ 2007 წელს საქართველოსთვის გაზის ტარიფის 110 აშშ დოლარიდან 230 აშშ დოლარამდე ერთ კუბურ მეტრში გაძვირების პირდაპირი გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე შედარებით მცირე იქნება და რომ ეს მთლიან შიდა პროდუქტს (მშპ) მხოლოდ 1.1%-ით შეამცირებს.** ეკონომიკური ზრდის ტემპების შენარჩუნების საფუძველს იძლევა ის ფაქტიც, რომ საქართველო 2007 წელს 200 მლნ კუბური მეტრი გაზის უფასო იმპორტს განახორციელებს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის მეშვეობით, ხოლო დამატებით 50 მილიონ კუბურ მეტრს შეისყიდის დაბალ ფასში - ერთ კუბურ მეტრს 55 აშშ დოლარად. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოში ბუნებრივი აირის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მომხმარებელი შპს "საქცემენტი" გაზის ტარიფის გაძვირების შემთხვევაში აპირებს გადაერთოს ქვანახშირის მოხმარებაზე, რას გამოიწვევს ქვეყანაში გაზის იმპორტის შემცირებას 300 მლნ კუბური მეტრით. ეს კი ბუნებრივ აირზე ახალი ფასებით მშპ-ის 1%-ის ტოლია.

S&P აცხადებს, რომ დაძაბულობას საქართველოსა (ქვეყნის რეიტინგი: B+/პოზიტიური/B) და რუსეთს (ქვეყნის რეიტინგი: უცხოური ვალუტაში: BBB+/სტაბილური/A-2, ადგილობრივ ვალუტაში: A-/სტაბილური/A-2) შორის, რუსეთის მხრიდან არსებული ეკონომიკური ბლოკადის პირობებში, სავარაუდოდ ექნება უფრო დიდი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, რაც ზრდის პოლიტიკურ რისკებს და შესაძლოა უარყოფითად აისახოს ქვეყნის გადამხდელუნარიანობაზე.

### ფულადი ბაზარი

**გასულ კვირას საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) ერთი მილიონი ნომინალური ღირებულების 28-დღიანი სადეპოზიტო სერთიფიკატები გაყიდა.** ფასიანი ქაღალდები ერთმა კომერციულმა ბანკმა შეიძინა. აუქციონზე საშუალო საპროცენტო განაკვეთი 11.99% დაფიქსირდა.

### სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი 0.17%-ით გამყარდა აშშ დოლარის მიმართ.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 8.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 3.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლებია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ჯამში 2.4 მლნ აშშ დოლარი შეისყიდა.

---

გალტ & თაგგარტ სიქიურითის
GALT & TAGGART SECURITIES

6 ნოემბერი 2006

საფონდო და ობლიგაციების ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 84, 2 ნოემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEBON | 1 | 101.84 | 101.84 | 101.84 | 1.3 | 66 | 6,721 | | - |
| GEB | 27 | 20.00 | 20.26 | 20.25 | 142.7 | 9,340 | 189,167 | 341,800,241 | - |
| UTC | 6 | 0.69 | 0.69 | 0.69 | 92.8 | 100 | 69 | 71,646,259 | ფლობა |
| UGB | 3 | 2.35 | 2.90 | 2.42 | 108.3 | 2,448 | 5,915 | 99,056,000 | გაყიდვა |
| UTB | 9 | 27.00 | 27.00 | 27.00 | 50.0 | 385 | 10,395 | 26,172,909 | გაყიდვა |
| IND | 1 | 0.10 | 0.10 | 0.10 | na | 32,433 | 3,247 | 25,010 | რეკ. გარეშე |
| KSK | 1 | 0.10 | 0.10 | 0.10 | na | 8,556 | 856 | 32,908 | რეკ. გარეშე |
| MACN | 1 | 6.00 | 6.00 | 6.00 | 20.0 | 56 | 336 | 853,572 | რეკ. გარეშე |
| STSP | 5 | 5.00 | 5.00 | 5.00 | -37.5 | 324 | 1,620 | 1,960,695 | რეკ. გარეშე |
| AVSH | 1 | 1.74 | 1.74 | 1.74 | na | 201 | 350 | 748,799 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 218,676 | | |

სესია No. 83, 31 ოქტომბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 15 | 19.95 | 19.95 | 19.95 | 139.1 | 12,380 | 246,981 | 336,686,654 | - |
| UTC | 20 | 0.65 | 0.82 | 0.82 | 126.7 | 1,016,600 | 829,471 | 84,241,134 | ფლობა |
| AGVQ | 1 | 1.50 | 1.50 | 1.50 | na | 2,069 | 3,104 | 90,296 | რეკ. გარეშე |
| REAQ | 5 | 3.64 | 3.64 | 3.64 | 0.0 | 3,892 | 14,167 | 469,167 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 1,093,723 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

30 ოქტომბერი, 2006 – 3 ნოემბერი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.22 | 1.20 | 1.29 | 1.22 | 0.0 | 2,393,000 | 273.4 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.60 | 2.56 | 2.85 | 2.70 | 3.8 | 5,035,573 | 410.3 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.60 | 1.53 | 1.58 | 1.53 | -4.4 | 232,800 | 143.9 | ყიდვა |
| Frontera | GBP | 54.00 | 48.00 | 54.00 | 48.00 | -11.1 | 338,808 | 3,611.5 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფ-იც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 20.25 | 2.77 | 142.70 | 2-ნოე-06 | 436,148 | 341,800,241 | 17.4 | 68.3 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.69 | -4.54 | 92.78 | 2-ნოე-06 | 829,540 | 71,646,259 | 9.4 | 7.7 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.15 | 7.30 | 85.00 | 2-ნოე-06 | 5,915 | 45,066,000 | 10.0 | 5.2 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 2-ნოე-06 | 10,395 | 26,172,909 | 35.5 | 10.7 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 5.00 | 0.00 | 100.00 | 21-სექ-06 | 0 | 14,000,000 | 42.7 | 6.9 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.0 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 1,281,998 | 647,312,326 | | 100.0 |

ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შედეგები

30 ოქტომბერი, 2006 – 3 ნოემბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 102 | 102 | 102 | - | 11.00 | -7 | 618 | 0.71 | B-/ B3/ B+ |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა    ყიდვა: 10%-20% ზრდა    ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა,    გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0179, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

## რუსეთის მოსახლეობა მცირდება

რუსეთის სახელმწიფო სტატისტიკის ფედერალურმა სამსახურმა გამოაქვეყნა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მონაცემები, რომელშიც დაფიქსირებულია, რომ 2006 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში, რუსეთის მოსახლეობა დაახლოებით 408 ათასი ადამიანით შემცირდა. იმავდროულად, მნიშვნელოვნად შემცირდა უმუშევრობა და 10,1%-ით გაიზარდა ქვეყნის მოქალაქეთა რეალური შემოსავალი. 2006 წლის იანვარ-აგვისტოს განმავლობაში რუსეთის მოსახლეობის კლებამ 408,2 ათასი შეადგინა, რაც ქვეყნის მთელი მოსახლეობის დაახლოებით 0,29%-ია. ამგვარად, 1 სექტემბრისთვის რუსეთში 142,3 მილიონი ადამიანი ცხოვრობდა. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მოსახლეობის ბუნებრივ კლებას ნაწილობრივ აბალანსებს მიგრაციული მატება, რაც 17,3%-ითაა გაზრდილი.

იანვარ-აგვისტოს განმავლობაში რუსეთში 980 ათასი ბავშვი დაიბადა, ზუსტად იმდენი, რამდენიც წინა წლის იმავე პერიოდში. იმავდროულად, 1,475 მილიონი ადამიანი გარდაიცვალა (რამდენიმე ათეული ათასი - ალკოჰოლური მოწამვლით). საერთო ჯამში, გარდაცვლილთა რაოდენობამ ახალშობილებისას 1,5-ჯერ გადააჭარბა. უფრო მეტიც, რუსეთის ფედერაციის 19 ტერიტორიულ სუბიექტში ფარდობა 2-2,7-ს აღწევს. იმავდროულად, ბუნებრივი მატება დაფიქსირდა ქვეყნის 18 ტერიტორიულ სუბიექტში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის ბუნებრივი მატება ფიქსირდება იმ ოკრუგებში, სადაც მოსახლეობაში მუსულმანები სჭარბობენ. ბუნებრივი კლება კი ურბანულ რეგიონებში შეინიშნება. ოღონდ, დიდ ქალაქებში კლების კომპენსირება იმიგრანტთა ხარჯზე ხდება. საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ რუსეთის აღმოსავლეთ რეგიონებში (დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში) ინტენსიურად სახლდებიან ჩინელები, რომლებიც დიდი ვადით, იჯარით იღებენ მიწას და მას სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის იყენებენ. როგორც ამბობენ, ურალს იქით რამდენიმე მილიონი ჩინელი უკვე მუდმივად სახლობს, დროებითი სამუშაოსთვის კი იქ სამხრეთიდან გაცილებით მეტი ადამიანი შედის. თუმცა, ოფიციალური მოსკოვი ამას უარყოფს.

რუსეთში მოსახლეობის კლების პარალელურად, უმუშევრობაც მცირდება. კერძოდ, 1 სექტემბრისთვის რუსეთში უმუშევართა რაოდენობამ 5,29 მილიონი ადამიანი შეადგინა, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის დაახლოებით 7,1%-ია. წინა წელთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა 2,8 პროცენტითაა შემცირებული.

## ევროკავშირი ეკონომიკის ზრდის დაჩქარებას და ინფლაციის შემცირებას ელოდება

ევროკომისიის ინფორმაციით, ამ და შემდეგ წლებში ევროზონის ეკონომიკა მაღალი შინაგანი მოთხოვნილების წყალობით, ნავარაუდევზე სწრაფი ტემპით გაიზრდება, ინფლაცია კი თანდათონობით შემცირდება. Reuters-ის ინფორმაციით, კომისიის პროგნოზით, ევროზონის 12 ქვეყნისათვის ეკონომიკის ზრდის ტემპი 2,6 პროცენტი იქნება, რაც ბოლო ექვსი წლის განმავლობაში დაფიქსირებული მაქსიმალური მაჩვენებელია. ევროპის ცენტრალური ბანკი კი ევროზონის შიდა პროდუქტის მოცულობის 2,5 პროცენტით ზრდას ვარაუდობს. რაც შეეხება ინფლაციას, 2007 წელს იგი 0,1 პროცენტით, 2,1 პროცენტამდე, ხოლო 2008 წლისათვის სულაც 1,9 პროცენტამდე შემცირდება.

## ჩინეთის სავაჭრო ბალანსის პროფიციტი 140 მილიარდს გადააჭარბებს

ჩინეთის ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს ქვეყნის სავაჭრო ბალანსის პროფიციტი 140 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. ამასთან, აღინიშნა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სავაჭრო ბალანსის პროფიციტს ამ დონეზე კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებს, რადგან დასავლეთის ქვეყნების ბევრმა კომპანიამ ჩინეთში, სადაც ისინი იაფმა მუშახელმა მიიზიდა, თავიანთი წარმოება ააწყვეს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის პირველი 9 თვის განმავლობაში ჩინეთის სავაჭრო ბალანსის პროფიციტმა 110,9 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც ქვეყნის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. სავაჭრო ბალანსის პროფიციტის მატება ხელს უწყობს ქვეყნის სავალუტო რეზერვის ზრდას, რომელიც უკვე 1 ტრილიონი დოლარის ნიშნულს მიუახლოვდა.

# სლოვაკეთში კაპიტალდაბანდების ჟამი დგას

პირველი გვერდიდან

### განვითარებული მაღლობი

სლოვაკეთი აღმოსავლეთ ევროპის ცენტრში, კარპატების მთების ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს და ავსტრიას, ჩეხეთს, უნგრეთს, პოლონეთს და უკრაინას ესაზღვრება. ამ მთიანი ქვეყნის თითქმის 80 პროცენტი ზღვის დონიდან 750 მეტრზე მაღლაა, რაც მას, ტრანზიტულის გარდა, ტურისტულ-საკურორტო მნიშვნელობასაც ანიჭებს. საერთოდ, სლოვაკეთში მაღალმთიანთან ერთად, ერთობ ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტებია და ტურისტული ბიზნესი მაღალ დონეზეა განვითარებული.

დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის დამაკავშირებელი ამ პატარა, დაახლოებით 5,5-მილიონიანი ქვეყნის ინფრასტრუქტურა უმაღლეს დონეზეა განვითარებული. მის ტერიტორიას კვეთს საერთაშორისო ავტომაგისტრალები და ნავთობისა და გაზსადენები. ამას დაუმატეთ დამნაშავეობის ერთობ დაბალი და ცხოვრების, პირიქით, მაღალი დონე და იაფი მუშახელი, რაც ეკონომიკის სტაბილურ განვითარებას და უძრავი ქონების ფასის ზრდას იწვევს.

საერთოდ, სლოვაკური უძრავი ქონების ღირებულება ბოლო 15 წლის განმავლობაში რეგულარულად მატულობს. ზრდის ტემპმა განსაკუთრებით 2004 წლის 1 მაისს ქვეყნის ევროკავშირში შესვლის შემდეგ იმატა. ექსპერტთა ვარაუდით, სლოვაკური კაპიტალი კიდევ უფრო 2009 წლის 1 იანვარს ქვეყნის ევროს ზონაში შესვლის შემდეგ გაძვირდება.

ასე რომ, თამამად შეიძლება ითქვას, დღეს სლოვაკურ უძრავ ქონებაში განხორციელებული კაპიტალდაბანდება მეტად სწორი ბიზნეს-სვლა იქნება. გარდა იმისა, რომ გვარიანი მოგება გელით, შანსი გეძლევათ, ამ ლამაზ ქვეყანაში მდებარე საკუთარ მამულში მშვენივრად დაისვენოთ.



### ხელმისაწვდომი და პერსპექტიული

სლოვაკეთის მოქალაქეობის, ან რეზიდენციის არმქონე უცხოელს ამ ქვეყანაში უძრავი ქონების შეძენა კერძო პირის სტატუსით არ შეუძლია. ანუ, ჯერ საკუთარი ფირმა უნდა დააარსოთ. ამისათვის საჭიროა სლოვაკეთს ბიზნეს-ვიზით ეწვიოთ და 30 ათასი ევროს ოდენობის საწესდებო კაპიტალის მქონე ფირმა დაარეგისტრიროთ, რომლის დირექტორიც თავად გახდებით. ცხადია, აღნიშნულ თანხას შემდეგ მშვიდად მოიხმართ, ხოლო თავად რეგისტრაცია სრული იურიდიული მომსახურებით 2-2,5 ათასი ევრო დაგიჯდებათ.

ამის შემდეგ თავისუფლად შეგეძლებათ, სასურველი უძრავი ქონება იყიდოთ და ფირმის ბალანსზე განათავსოთ. შენაძენის განხორციელებისას მისი ღირებულების 5 პროცენტის სახელმწიფო ხაზინაში, ხოლო 1,5-3 პროცენტის საშუამავლო და იურიდიული ფირმის მომსახურების სანაცვლოდ გადახდა მოგიწევთ.

რაც შეეხება თავად სლოვაკური უძრავი ქონების ღირებულებას, ევროპულ ფასებთან შედარებით იგი საკმაოდ იაფია. კერძოდ, 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი 600-დან 1200 ევრომდე ღირს, კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთის შეძენა კი 1000-დან 2500 ევროს ფარგლებში შეიძლება. სლოვაკეთში უძრავი ქონება განსაკუთრებით ძვირი ულამაზეს, დუნაის მარგალიტად წოდებულ დედაქალაქ ბრატისლავას პრესტიჟულ, ტურისტებისათვის მიმზიდველ უბნებში და საკურორტო რეგიონებში ღირს, როგორებიცაა იასნა, სკიპარკი, სმოკოვცი და პიეშტიანი.

თუ კეთილმოწყობილი ვილას შეძენა გსურთ, არცთუ პრესტიჟულ რეგიონში საკმაოდ მაღალი დონის ნაგებობას ეზოთი 30-40 ათასი ევროს ფარგლებში იყიდით. ხოლო თუ საკმარისი სახსრები გაგაჩნიათ და ძალზე ძვირფასი ქონების მეპატრონეობის ამბიცია გაქვთ, მაშინ ადგილობრივი სააგენტოები 200-300 ათას ევროდ და მეტად ღირებულ ვილებსაც შემოგთავაზებთ.

სლოვაკეთში სამშენებლო ბიზნესის წარმოება ერთობ მომგებიანი საქმეა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქვეყანაში საკმაოდ იაფი მუშახელი და მზარდი ფასებია. ასევე, არცთუ ისე ძვირი ღირს სამშენებლო მასალები და ბიზნესისათვის ხელსაყრელი პირობებიც არსებობს.

შეძენილი ქონების ჩუქება ან მემკვიდრეობით გადაცემა ღირებულების 7 პროცენტით იბეგრება, ხოლო სარფიანად გაყიდვის შემთხვევაში მიღებული მოგების 12 პროცენტის გადახდა მოგიწევთ. როგორც ხედავთ, სლოვაკეთში საკმაოდ დაბალი ფასები და ლიბერალური საგადასახადო კანონმდებლობაა, რაც, ყველაფერ ზემოთთქმულთან ერთად, ამ ქვეყანაში კაპიტალდაბანდებისათვის დამატებითი სტიმულია.

# გიგანტური ლერწამი: შაქარიც, საწვავიც და სასუქიც

მერაბ ლორთქიფანიძე



იაპონიის უკიდურეს სამხრეთში მდებარე მცირე კუნძულ იეზე, რომელიც ოკინავას პრეფექტურას ეკუთვნის, საცდელ ნაკვეთზე მოშენებულია შაქრის ლერწმის გიგანტური სახეობა, რომელსაც იქაურები მონსტერ ქეინს, ანუ გიგანტურ ლერწამს უწოდებენ.

გიგანტური ლერწამი ძალიან მაღალი (სამ მეტრამდე) იზრდება და გარემო პირობებსაც ადვილად ეგუება. თანაც, არც ქარებისა და წყალდიდობის ეშინია - კუნძულ იეს რომ მძლავრმა ტაიფუნმა გადაუარა, მან უამრავი ხე და სახლი წააქცია, გიგანტური ლერწმის პლანტაცია კი სტიქიას უვნებელი გადაურჩა. იაპონელი ბოტანიკოსების თქმით, გიგანტური ლერწამი ღარიბ მიწაზეც კი ადვილად ხარობს. უფრო მეტიც, ერთი ძირიდან, შაქრის ლერწამთან შედარებით, ორჯერ მეტი ღერო იზრდება და მისი მოვლა ნაკლებად შრომატევადია.

გიგანტურ ლერწამს ამჟამად ლუდის მწარმოებელ უდიდეს იაპონურ კომპანია "ასაჰი ბრევერიზის" სპეციალისტები აკვირდებიან. კომპანია იმედოვნებს, რომ ეს მცენარე საუკეთესო საშუალებაა ეთანოლის საწარმოებლად, ეთანოლი კი ცნობილია, როგორც ბენზინის საუკეთესო ალტერნატივა. როგორც საწვავს, მას უკვე რამდენიმე ათწლეულია, ფართოდ იყენებენ ბრაზილიაში.

გარდა იმისა, რომ საწვავის მისაღებად გამოიყენებენ, გიგანტური ლერწამი საუკეთესო საშუალება იქნება სანაპირო ზოლში არსებული სავარგულების დასაცავად, მისგან შესაძლებელია შაქრის წარმოება, ნარჩენებს კი საქონლის გამოსაკვებად და მიწის გასანაყოფიერებლად გამოიყენებენ.

გიგანტურ ლერწამს მეორენაირად დიდი ბიომასის მქონე შაქრის ლერწამსაც უწოდებენ. როგორც იაპონელები იმედოვნებენ, მისი მეშვეობით ეთანოლის წარმოების ისე აწყობას შეძლებენ, რომ ამით არ დაზარალდეს შაქრის მრეწველობა. სხვათა შორის, გიგანტური ლერწამი "ასაჰისა" და აგროკულტურის კვლევის ეროვნული ცენტრის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობის შედეგია.

"ასაჰი ბრევერიზმა" უკვე ააშენა საცდელი საწარმო, რომელიც კუნძულ იეზე მოყვანილ გიგანტურ ლერწამს ეთანოლად გადაამუშავებს. ლერწმის ზრდასრულობამდე მისაყვანად სულ რამდენიმე თვეა საჭირო, მისგან მიღებული ეთანოლის (ეთილის სპირტი, ანუ ეგრეთ წოდებული სამედიცინო სპირტი) ღირებულება კი, სულ რაღაც, 30 იენი (25 ცენტი) იქნება. ეს იმას ნიშნავს, რომ გიგანტური ლერწმისგან მიღებული ეთანოლი, როგორც საწვავი, კონკურენტუნარიანი იქნება და არაა გამორიცხული, წარმოების შესაბამისი მოცულობის შემთხვევაში, ბაზრიდან ბენზინიც კი გამოდევნოს. თუმცა ეს შორეული მომავლის საქმეა.

"ასაჰის" მარკეტოლოგები იმედოვნებენ, რომ საცდელი სამუშაოების დასრულების შემდეგ, სპირტის მასობრივი წარმოების დაწყებას 2010 წელს შეძლებენ. ისინი აცხადებენ, რომ ეთანოლის მასობრივ წარმოებაზე გადასვლა შაქრის წარმოებასაც გამოაცოცხლებს, რადგან შაქრის ლერწმის გიგანტური ლერწმით შეცვლა ნედლეულის დეფიციტის პრობლემას მოხსნის. ეს მაშინ, როცა მსოფლიოს ბაზარზე, მიწოდების შემცირების გამო, შაქრის ფასი სულ უფრო იზრდება.

"ასაჰის" მონაცემებით, ერთ ჰექტარზე შესაძლებელია 37,4 ტონა გიგანტური ლერწმის მოყვანა, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება 7,1 ტონა შაქარი, 4,3 ათასი ლიტრი ეთანოლი და 24 ტონა ნარჩენი, რომელსაც სასუქად ან საქონლის საკვებად, ან კიდევ საქვაბეში, ენერგიის მისაღებად გამოიყენებენ. შედარებისთვის, იმავე ფართობზე 17,4 ტონა შაქრის ლერწამი მოდის, რომლისგანაც ღებულობენ 6,9 ტონა შაქარს, 1,4 ათას ლიტრ ეთანოლს და 7,8 ტონა ნარჩენს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამომუშავებული პროდუქცია უფრო ძვირი იქნება, ვიდრე გიგანტური ლერწმის გადამუშავების შემთხვევაში.

სხვათა შორის, ნარჩენების შემდგომი გადამუშავებით შესაძლებელია ბიონავთობის მიღება, რომელიც ქიმიური და ფარმაცევტული ინდუსტრიისთვის საჭირო ნედლეულს შეიცავს. გარდა ამისა, ბიონავთობი შესანიშნავი საწვავია და მისგან რიგი ნავთობპროდუქტების მიღებაც შეიძლება. გიგანტური ლერწმის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ "ასაჰის" საწარმოს ენერგეტიკული მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მეორადი ნარჩენი კი, საქონლის ფეკალიებთან შერევის შემდეგ, შესანიშნავი სასუქია, რომელსაც ისევ პლანტაციის გასანოყიერებლად გამოიყენებენ.

იაპონიის კანონებით, ნებადართულია ეთანოლისა და ბენზინის E3 ნარევის გამოყენება. ამ ნარევში ეთანოლზე სულ 3 პროცენტი მოდის, დანარჩენი 97 პროცენტი კი ბენზინია. არადა, ეთანოლის გაცილებით მეტი (15 პროცენტამდე) შემცველობის დროსაც საჭირო არაა ძრავის გადაკეთება.

გიგანტურ ლერწამს იაპონიაში შაქრის წარმოების აღორძინებაც მოჰყვება. ამჟამად იაპონელი ფერმერები შაქრის ლერწმის მოყვანით არიან დაკავებულნი, რის გამოც, მათი ნედლეულიდან მიღებული შაქარი ფასით იმპორტულს კონკურენციას ვერ უწევს. ყოველივეს გამო, იაპონელი ფერმერები სულ უფრო ხშირად ამბობენ უარს ლერწმის მოყვანაზე და სხვა კულტურებზე აკეთებენ არჩევანს. ამას კი შედეგად შაქრის წარმოების შემცირება მოსდევს.

მაგრამ გიგანტური ლერწმის მასობრივად მოშენების შემთხვევაში, მისგან წარმოებული შაქარიც კონკურენტუნარიანი გახდება, რაც შესაბამის ინდუსტრიას გამოაცოცხლებს. პარალელურად, კუნძული იეც აღიდგენს თავის დანიშნულებას. ამ კუნძულზე ფერმერების ტრადიციული საქმიანობა ხომ შაქრის ლერწმის მოყვანაა. მისმა წარმოებამ პიკს 1979 წელს მიაღწია, როცა ფერმერებმა 52 000 ტონა შაქრის ლერწამი მოიწიეს. ამასთან შედარებით, შარშან მოწეული 1 500 ტონა ზღვაში წვეთია. ლერწმის წარმოების მასშტაბური შემცირების შედეგად, ორი წლის წინ, კუნძულზე არსებული, ლერწმის გადასამუშავებელი ერთადერთი წისქვილი დაიხურა.

ეთანოლის საწარმოს აშენება კი არამხოლოდ შეამცირებს იაპონიის დამოკიდებულებას იმპორტირებულ საწვავზე, არამედ შაქრის და შაქრის ლერწმის წარმოებას გამოაცოცხლებს.

## კლება აშშ-ს ბირჟაზე










გუშინ, აშშ-ს საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა მცირე კლება დაფიქსირდა. ინვესტორთა განწყობაზე უარყოფითი გავლენა ნავთობის გაძვირებამ და ქვეყნის ეკონომიკის ზრდის არცთუ დამაკმაყოფილებელმა ტემპმა მოახდინა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,27 პროცენტით, 11.986,04 პუნქტამდე შემცირდა. 0,14 პროცენტით შემცირებულმა Nasdaq Index-მა 2.330,79 პუნქტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,22 პროცენტით, 1.364,3 პუნქტამდე მოიკლო.

## ნავთობის ფასმა კვლავ მოიმატა

გუშინ, ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე "შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 59,37 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 59,54 დოლარი/ბარელამდე გაძვირდა.

ბუნებრივი აირის ფასმაც მოიმატა და მილიონი ბრიტანული თერმული ერთეულის - BTU-ს (ენერგიის ერთეული, რომელიც აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში გამოიყენება. მილიონი თერმული ერთეული 27 კუბური მეტრი ბუნებრივი აირის წვისას გამოყოფილ ენერგიას შეესაბამება) ირებულებამ 7,897 დოლარი შეადგინა. ამის მიზეზი კვლავ აშშ-ში აცივება და ატომურ ელექტროსადგურებზე რემონტის გამო ამ ტიპის საწვავის მოხმარების ზრდა გახლდათ.

"შავი ოქროს" ფასის ზრდა კი ნიგერიაში ნავთობის საბადოებზე მეამბოხე ოპოზიციის თავდასხმამ განაპირობა. კერძოდ, გავრცელებული ინფორმაციით, შეიარაღებულმა პირებმა დაიკავეს ქალაქ ტაბიდაბას მახლობლად მდებარე იტალიური ნავთობკომპანია ENI-ის შვილობივი კომპანიის Agip-ის კომპლექსი, მისი მუშაობა შეაჩერეს და იმ ზარალის ანაზღაურება მოითხოვეს, რომელსაც ნავთობგადამამუშავებელი წარმოება ქვეყანას აყენებს. აღსანიშნავია, რომ ტაბიდაბას საბადოები პირდაპირაა დაკავშირებული ბრასის ტერმინალთან, საიდანაც დღე-ღამეში 200 ათას ბარელამდე ნავთობის ექსპორტი ხორციელდება.

## ძვირფასი ლითონები ისევ გაძვირდა

გუშინ, ნიუ იორკისა და ლონდონის სასაქონლე ბირჟებზე, ოქროს და სხვა ძვირფასი ლითონების ფიუჩერსებზე კვლავ ფასების ზრდა დაფიქსირდა. კერძოდ, 1 უნცია ოქროს ფასმა 0,2 პროცენტით მოიმატა და მისმა ღირებულებამ 629,9 დოლარი შეადგინა. ვერცხლი 0,3 პროცენტით, 12,685 დოლარი/უნციამდე, პლატინა 0,4 პროცენტით, 1212,7 დოლარი/უნციამდე, პალადიუმი კი 0,2 პროცენტით, 336,7 დოლარი/უნციამდე გაძვირდა. ანალიტიკოსთა აზრით, ოქროსა და ძვირფასი ლითონების გაძვირების მიზეზი კვლავ ნავთობის ფასის ზრდა და ირანისა და ჩრდილოეთ კორეის ირგვლით ვითარების შესაძლო დაბაძვაა.

## Permira Holdings-ს და Texas Pacific-ს Aston Martin-ის ყიდვა სურთ

კერძო საინვესტიციო ფონდებს: Permira Holdings LTD-ს და Texas Pacific Group-ს Aston Martin-ის ბრენდის შეძენა უნდათ და უახლოეს მომავალში მის ამჟამინდელ მფლობელს, კომპანია Ford Motor Co-ს 950 მილიონ დოლარს შესთავაზებენ. როგორც ცნობილია, Ford Motor-მა Aston Martin-ის გაყიდვის სურვილი ჯერ კიდევ აგვისტოში გამოთქვა. უფრო ადრე განთქმული ბრენდის შეძენა Ford-ის ყოფილ თავკაცს ჟაკ ნასიერს სურდა, მაგრამ მაშინ მხარეები ვერ შეთანხმდნენ.

შეგახსენებთ, რომ ქრონიკული წაგებების ფონზე Ford Motor მასშტაბურ რეორგანიზაციას და წარმოების შემცირებას განაგრძობს, რომელიც 2012 წლამდე 14 ქარხნის დახურვას ითვალისწინებს, რის შემდეგაც უმუშევარი 30 ათასამდე ადამიანი დარჩება. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში Ford-ის წაგებამ 5,8 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაშინ, როცა გასული წლის ანალოგიური მაჩვენებელი მხოლოდ 284 მილიონი დოლარი იყო.

## Kohlberg Kravis Roberts & Co მზად არის Vivendi 50 მილიარდად იყიდოს

გაზეთ The New York Times-ის ინფორმაციით, კერძო საინვესტიციო კომპანიამ Kohlberg Kravis Roberts & Co-მ გასულ თვეში ევროპულ მედია-კომპანია Vivendi-ის 50 მილიარდ დოლარად შეძენის თაობაზე წინადადებით საიდუმლოდ მიმართა. გაზეთის ცნობით, Kohlberg Kravis Roberts & Co გარიგების დაფინანსების თაობაზე პარალელურ მოლაპარაკებებს განთქმულ ბანკებთან: JPMorgan Chase & Co-სთან და Citigroup-თან აწარმოებს. ჯერჯერობით Vivendi-ის პოზიცია უცნობია.

## Arcelor Mittal-ის თავკაცად ლაკშმი მიტალი დანიშნეს

მეტალურგიული კომპანიების Mittal Steel-ის და Arcelor-ის შერწყმის გამოცხადებიდან 4 თვის შემდეგ, ჯერ კიდევ პროცესის დამთავრებამდე, გაერთიანებული კონცერნის Arcelor Mittal-ის თავკაცად განთქმული მეტალურგიული მაგნატი, პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანი, ინდოელი ლაკშმი მიტალი დაინიშნა. მსოფლიოს უმსხვილესი მეტალურგიული კონცერნის, Arcelor Mittal-ის განცხადებაში აღნიშნულია, რომ კომპანიის დირექტორთა საბჭომ ლაკშმი მიტალის კანდიდატურა როლანდ იუნკის ნაცვლად ერთხმად დაამტკიცა. ეს უკანასკნელი კი დირექტორთა საბჭოს წევრად დარჩება. Arcelor Mittal ამასთან იუწყება, რომ მიმდინარე წლის მესამე კვარტალში კონცერნის მოგება პროგნოზებს აღემატება და გადასახადების გამოკლების გარეშე 4,35 მილიარდ დოლარს შეადგენს.





# "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი და პროფესიული კავშირი უმუშევრებზე ზრუნავენ

პირველი გვერდიდან

ახალი პროექტის შესახებ პროფესიული კავშირების წარმომადგენლებს გუშინ ხელოვნების მუშაკთა პროფესიულმა კავშირმა და "ჯი-პი-აი" ჰოლდინგის წარმომადგენლებმა გააცნეს. საქართველოს გაერთიანებულ პროფესიულ კავშირში 200 ათასი ადამიანია გაწევრიანებული. იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები სამსახურს ნებაყოფლობის გარეშე დატოვებენ, მათ "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი 10 თვის განმავლობაში, ახალი სამსახურის შოვნამდე, კომპენსაციის სახით 1,50ო ლარს დაუნიშნავს. შეგახსენებთ, რომ საწევრო გადასახადი თვეში 1,5 ლარია.

იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული კავშირების წარმომადგენელს ე.წ "პოლისი ხელფასი" არ დასჭირდება, მაშინ მათ მიერ საწევროს სახით გადახდილი თანხის 20 პროცენტი ავტომატურად ჩაირიცხება "ჯი-პი-აი" ჰოლდინგის საპენსიო ანგარიშზე, რომელსაც კომპანია ყველა დაზღვეული პირისთვის პერსონალურად გახსნის.

"ჯი-პი-აი" ჰოლდინგის საპენსიო და სადაზღვევო ფონდი 2002 წელს დაარსდა და დღეისთვის აღნიშნული ფონდი 6 ათას ადამიანს აერთიანებს. ახლა კი ჰოლდინგი, პროფესიულ კავშირთან ერთად, უმუშევრად დარჩენილი ადამიანების დაზღვევაზეც იზრუნებს.

"უმუშევრობის დაზღვევა ერთ-ერთი ფუნდამენტური ელემენტია, რომელიც საქართველოში სოციალური ფონის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. ჩვენი ჰოლდინგი ამჟამად დასაქმებულ მოსახლეობას სამსახურის იძულებით დაკარგვის შემთხვევაში შემდგომი ანაზღაურების საუკეთესო პირობებს სთავაზობს. უმუშევრობის დაზღვევის ასაკობრივი დიაპაზონი 18-დან 65 წლამდე მერყეობს. აუცილებელი პირობა პროფესიული კავშირების წევრობა და სამწლიანი უწყვეტი სტაჟი გახლავთ," - აცხადებს "ჯი-პი-აი" ჰოლდინგის გენერალური დირექტორი გიორგი კვინიკაძე.

საქართველოს გაერთიანებული პროფესიული კავშირების პრეზიდენტის ირაკლი პეტრიაშვილის თქმით, სოციალური მდგომარეობის სტაბილურობის შესანარჩუნებლად უმუშევრობის დაზღვევა ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია. "უმუშევრობის დაზღვევის პროექტი ჩვენი ინიციატივა გახლავთ, რომლის განხორციელებასაც "ჯი-პი-აი" ჰოლდინგი უზრუნველყოფს. შრომის ახალი კოდექსი, რომელიც დასახვეწი და არცთუ ისე სახარბიელოა, ჩვენი გაკიცხვის და კრიტიკის საგანი არაერთხელ გამხდარა. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვცდილობთ, დასაქმებულ თუ უმუშევრად დარჩენილ მოქალაქეებს დახმარების ხელი გავუწოდოთ. ეს პროექტი კი ამ დახმარების ერთ-ერთი საშუალება გახლავთ. ჩვენ, საქართველოს პროფესიული კავშირის ლიდერები ამას წინათ ვენაში თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის პირველ შეხვედრაზე ვიყავით, რომელსაც ცოტა ხნის წინ შრომის მსოფლიო კონფედერაცია შეუერთდა. აღნიშნული ორგანიზაცია 160 ქვეყნის 180 მილიონ ადამიანს აერთიანებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის გახლავთ, რომ ჩვენ ორგანიზაციის ყველა მონაწილეს საქართველოში არსებული სოციალური მდგომარეობა გავაცანით და, რაც ყველაზე მთავარია, კოლეგების განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის მიერ განხორციელებული დეპორტაციების მისამართით გავამახვილეთ," - აცხადებს პროფესიული კავშირების თავმჯდომარე ირაკლი პეტრიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ 24 ნოემბერს საქართველოს გაერთიანებულ პროფესიულ კავშირებს 100 წლის იუბილე აქვს, რომლის აღსანიშნავ ღონისძიებაზეც ორგანიზაცია მრავალ უცხოელ კოლეგას უმასპინძლებს.

## "ჭიათურმანგანუმის" აქციებით ვაჭრობა აღდგება

საქართველოს საფონდო ბირჟაზე 7 ნოემბრიდან 18 სააქციო საზოგადოების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა განახლდება. როგორც ბირჟაზე განაცხადეს, ისეთი სერიოზული კომპანიების გვერდით, როგორებიცაა "ჭიათურმანგანუმი", "ქუთაისის ავტოქარხანა", "მარნეულნავთობპროდუქტი" და "საქართველოს შაქრის კომბინატი", ბირჟის სავაჭრო სისტემაში ჩაეშვება სააქციო საზოგადოებების: "ელვას", "ჰიდრომშენებლის", "საქაგროსერვისის", ბიზნესცენტრ "საშენი მასალების", "ქუთბარიტის", "მაღალი ეწერის ჩაის ფაბრიკის", " მედეასა" და " ფოთითევზის" აქციები. აღნიშნული სააქციო საზოგადოებების ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე სხვადასხვა დროს განსხვავებული მიზეზების გამო შეჩერდა. **ინტერპრესნიუსი**

## ვაჭრობის მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზარდა

საქართველოს ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2006 წლის იანვარ-სექტემბერში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე გამართული ვაჭრობის მოცულობამ 384,243.500 დოლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 193,968,500 დოლარით აღემატება. იანვარ-სექტემბერში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიებზე 86 მილიონ 81 ათასი დოლარი გაყიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდს 47 მილიონ 888 ათასი დოლარით აღემატება. იანვარ-სექტემბერშივე ეროვნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 196,583,500 დოლარი შეისყიდა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 133,453,500 დოლარით მეტია. გარდა ამისა, 2006 წლის იანვარ-სექტემბერში თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაიდო 15,255,300 ევროს, 24 ათასი ბრიტანული გირვანქა სტერლინგისა და 20 ათასი შვეიცარული ფრანკის მოცულობის გარიგებები. **მედიანიუსი**

## ოქტომბერში უკრაინაში ინფლაციამ 2,6 პროცენტი შეადგინა

2006 წლის ოქტომბერში უკრაინაში ინფლაციამ 2,6პროცენტი შეადგინა, იანვარ-ოქტომბერში კი, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 8,7პროცენტი. აღნიშნულ ინფორმაციას უკრაინის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტზე დაყრდნობით "უკრინფორმი" აქვეყნებს. სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 2006 წლის იანვარ-ოქტომბერში ფასები სამომხმარებლო საქონელზე 2,1 პროცენტით გაიზარდა, მომსახურებაზე - 37,3 პროცენტით. ინფლაციამ უკრაინაში მიმდინარე წლის ოქტომბერში 2 პროცენტი შეადგინა, ხოლო იანვარ-სექტემბერში - 5,9 პროცენტი. ქვეყნის ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაკეთებული პროგნოზის მიხედვით 2006 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 5,8 პროცენტის, ხოლო ინფლაცია 11,4-11,6 პროცენტის ფარგლებში იქნება. ცნობისათვის, 2005 წელს უკრაინაში ინფლაციის მაჩვენებელმა 10% შეადგინა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ოქტომბერში 1 ტონა ბენზინის საერთაშორისო ფასი 510-520 დოლარის ფარგლებში მერყეობდა

საქართველოში 1 ტონა ბენზინის საერთაშორისო ფასი, რომლითაც საქართველოში იმპორტი ხორციელდება, მთელი ოქტომბრის თვის განმავლობაში 510-520 დოლარის ფარგლებში მერყეობდა, ხოლო დიზელის - 525-545 დოლარის ფარგლებში. დღეისათვის საწვავის ფასი თბილისის ბაზარზე შეადგენს: თურქმენეთიდან იმპორტირებული A- 80 (ნორმალი) - 1,18-1,20 ლარი; აზერბაიჯანიდან იმპორტირებული A- 91 ბენზინი - 1,20-1,25 ლარი; ევროპიდან იმპორტირებული A- 91 ბენზინი - 1,40 ლარი; A- 95 (პრემიუმი) ბენზინი - 1,50 ლარი; A- 98 (სუპერი) ბენზინი - 1,60 ლარი; დიზელის საწვავი - ევროდიზელი - 1,50 ლარი; L- 62 (აზერბაიჯანული) - 1,20 - 1,30 ლარი; L- 62 (თურქმენული) - 1,20 - 1,25 ლარი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ქუთაისის ენერგომომარაგების ხარისხი გაუმჯობესდება

სს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" ქუთაისის ელექტროქსელში სარეაბილიტაციო სამუშაოებს უახლოეს დღეებში დაასრულებს.

როგორც ენერგოკომპანიიდან გვაცნობეს, ამ დროისთვის, მიმდინარე და გადაუდებელი სარემონტო სამუშაოების გარდა, ინტენსიური სამუშაოები მაღალი ძაბვის ქვესადგურ "სათაფლიადან" გამომავალი 6-კილოვოლტიანი ხაზის აღდგენის მიზნით მიმდინარეობს.

აღნიშნული ხაზით ელექტროენერგია ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს, კერძოდ, ბუხაიძის ქუჩის II მიკრორაიონსა და მიმდებარე ქუჩებზე მცხოვრებ 14 000 მომხმარებელს მიეწოდება. წლების განმავლობაში აღნიშნულ დასახლებას ელექტროენერგია ერთი ხაზით მიეწოდებოდა. ქსელის სიძველისა და მოხმარების ზრდის გამო ხშირი იყო ავარიები, რის გამოც აბონენტების ენერგომომარგება ფერხდებოდა.

ენერგოკომპანიის დასავლეთ საქართველოს ცენტრალური ფილიალის ტექნიკური სამსახურის გადაწყვეტილებით, აღდგება ბუხაიძის II მიკრორაიონის მკვებავი მეორე კაბელი, რომელიც 4 წლის წინ გამოვიდა მწყობრიდან. ეს მომსახურების ცენტრს საშუალებას მისცემს, მომხმარებელთა ნაწილი ახალ ხაზზე გადმოიყვანოს, შეამციროს დატვირთვა, ხოლო ავარიის შემთხვევაში - პარალელური სქემით, მიკრორაიონის შეუფერხებელი ენერგომომრაგება მოახდინოს.

ენერგოკომპანიაში მუშავდება დასახლებისთვის ელექტროენერგიის საჰაერო გადამცემი ხაზით მიწოდების პროექტი, რაც საშუალებას მისცემს კომპანიას ბუხაიძის ქუჩის II მიკრორაიონის ელექტრო-ქსელის სრული რეაბილიტაცია დაიწყოს. **ინტერპრესნიუსი**

## საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,7355 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღეს გამართული ვაჭრობის შედეგად საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი აშშ დოლართან მიმართებაში 1,7355 ლარის ნიშნულზე დაბალანსდა.

როგორც ეროვნული ბანკიდან გვაცნობეს, თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავაჭრო სესიაზე დღეს მონაწილეობა მიიღო ორმა კომერციულმა ბანკმა. დაიდო ერთი საბირჟო გარიგება, რომლის მოცულობამ 100 000 აშშ დოლარი შეადგინა. დღევანდელ საბირჟო სესიაში საქართველოს ეროვნულ ბანკს მონაწილეობა არ მიუღია.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით: 1 აშშ დოლარი - 1,7355 ლარი. უცხოურ ვალუტაზე კომერციული ბანკების თავდაპირველმა მოთხოვნა-მიწოდებამ 100 000 აშშ დოლარი შეადგინა.

7 ნოემბრიდან ძალაში დარჩა აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 1,7355 ლარი. **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 7/11 | 8/11 | 9/11 |
|---|---|---|---|
| კიევი | 18 | 18 | 21 |
| რიგა | 19 | 20 | 20 |
| ვილნიუსი | 18 | 20 | 20 |
| მოსკოვი | 17 | 14 | 15 |
| მინსკი | 20 | 20 | 20 |
| პარიზი | 20 | 21 | 20 |
| რომი | 25 | 26 | 26 |
| ლონდონი | 19 | 19 | 18 |
| მადრიდი | 26 | 23 | 24 |
| ბონი | 19 | 21 | 22 |
| ვარშავა | 20 | 22 | 21 |
| ათენი | 27 | 27 | 27 |
| ბერნი | 22 | 22 | 23 |
| ამსტერდამი | 17 | 17 | 17 |
| ოსლო | 18 | 16 | 17 |
| ანკარა | 25 | 23 | 24 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 41 | 41 | 41 |
| ტოკიო | 28 | 29 | 28 |
| კოპენჰაგენი | 17 | 15 | 14 |
| ბაქო | 23 | 23 | 27 |
| ერევანი | 28 | 30 | 27 |
| ასტანა | 11 | 13 | 17 |
| ჰელსინკი | 15 | 16 | 14 |
| დუბლინი | 15 | 15 | 12 |
| ლისაბონი | 25 | 23 | 22 |
| პრაღა | 21 | 21 | 21 |
| სოფია | 20 | 22 | 24 |
| ბუდაპეშტი | 25 | 26 | 23 |
| ბუხარესტი | 23 | 25 | 26 |

# ლიტვა - "ბალტიის ვეფხვი"

ამბროსი გრიშიკაშვილი
კრაკოვიდან

როგორც ლიტვის ცენტრალური ბანკი აცხადებს, მიმდინარე წელს, წინასწარი მონაცემებით, ქვეყანაში მშპ-ს ზრდის ტემპი 8 პროცენტზე მაღალი იქნება. საგულისხმოა, რომ გასულ წელს ანალოგიური მაჩვენებელი 7,6 პროცენტს შეადგენდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რეიტინგულმა კომპანია "Fitch"-მა ლიტვის რეიტინგი "A-", შეცვალა "A"-თი, ამასთან, განსაკუთრებით აღნიშნა ამ ქვეყანაში არსებული კარგი ფისკალური ვითარება და გამორჩეული სამეურნეო დისციპლინა, მაშინ გასაგები გახდება, თუ რატომ მიაჩნიათ საერთაშორისო ექსპერტებს ლიტვა აღმოსავლეთ ევროპის "ვეფხვად".



ალსანიშნავია, რომ სამეურნეო საქმიანობაში ლიტვის ბალტიელი მეზობლებიც არანაკლებ წარმატებას აღწევენ. მაგალითად, ესტონეთში მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი გასულ წელს 10,5 პროცენტს აღწევდა. იგივე ითქმის ლატვიაზეც. კერძოდ, ამ ქვეყანაში გასულ წელს მშპ 10,2 პროცენტით იზრდებოდა. წელს ვარაუდობენ, რომ ის 8,5 პროცენტის დონეზე იქნება.

უნდა ითქვას, რომ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი გაცილებით დაბალია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. კერძოდ, მშპ-ს ზრდა გასულ წელს ჩეხეთში შეადგენდა 6,1 პროცენტს, იგი წელსაც დაახლოებით იგივე დონეზე იქნება, სლოვაკეთში გასულ წელს უდრიდა 6 პროცენტს; წელს ვარაუდობენ, რომ იგი, გასულ წელთან შედარებით, 0,8 პროცენტით მაღალი იქნება. უნგრეთში მშპ-ს ზრდის ტემპი გასულ წელს იყო 4,2 პროცენტი, წელს 4 პროცენტსაც არ მოელიან. სლოვენიაში გასულ წელს თუ იგი 4 პროცენტს შეადგენდა, წელს ვარაუდობენ, რომ 0,5 პროცენტით უფრო მაღალი იქნება. რაც შეეხება პოლონეთს, მშპ-ს ზრდის მაჩვენებელი გასულ წელს შეადგენდა 3,5 პროცენტს, წელს აცხადებენ, რომ იგი 5 პროცენტს გადააჭარბებს.

რა განაპირობებს ბალტიის ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ასეთ მაღალ ტემპებს?

ეკონომისტების აზრით, ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველი და უმთავრესია ის, რომ ამ ქვეყნებში სახელმწიფოს როლი ქვეყნის სამეურნეო საქმიანობაში მეტად შეზღუდულია და მინიმუმამდეა დაყვანილი.

ამ წარმატების მეორე მიზეზი ისაა, რომ იქ, პრაქტიკულად, უკვე დასრულებულია პრივატიზაცია და პრივატიზებული საწარმოები მაღალი ეფექტურობით მუშაობს. ამასთან, ბიუროკრატია აქ ნაკლებ დამამძიმებელია მეწარმეთათვის. აქაურ ფირმებს ეფექტურ მუშაობაში ხელს ისიც უწყობთ, რომ დასავლეთ ევროპასთან შედარებით საკმაოდ დაბალია შრომითი რესურსების ღირებულება.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებმა უფრო მეტად განიცადეს შრომითი რესურსების გადინება დასავლეთის ქვეყნებში მაღალანაზღაურებადი სამუშაოს საძებნელად, ვიდრე სხვა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებმა. ამიტომ მუშაკთა დეფიციტი ლიტვაში, ლატვიასა და ესტონეთში ამჟამად ძალიან საგრძნობია. შედეგად, ამ ქვეყნებმა გადაწყვიტეს, 2007 წლიდან თავისუფლად შეუშვან სამუშაო ძალა ბულგარეთიდან და რუმინეთიდან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფისკალური საკითხი ბალტიის ქვეყნებში წარმატებითაა გადაწყვეტილი. მაგალითად, ლიტვაში მიმდინარე წელს ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ს 1,3 პროცენტის დონეზე იყო. 2000 წლის შემდეგ ამ ქვეყანაში ეს მაჩვენებელი 3 პროცენტზე დაბალ დონეზეა შენარჩუნებული (ანუ იმ დონეზე, რაც ევროკავშირის მოთხოვნებით ევროზონაში შესვლის მაძიებელ ქვეყნებს მოეთხოვებათ. ამიტომ ცოტა გაუგებარია, რატომ უთხრეს ლიტვას უარი ევროზონაში შესვლაზე. მიზეზი ის გახდა, რომ მან ინფლაციის დასაშვებ დონეს, ანუ 2,6 პროცენტს, 0,3 პროცენტული პუნქტით გადააჭარბა. ახლა ლიტვას, ალბათ, 2010 წლამდე ევროზონაში აღარ მიიღებენ).

თუმცა, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, როდესაც ბალტიის ქვეყნების ასეთ წარმატებებზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს პატარა ქვეყნებია, რომლებზეც კონიუნქტურული ციკლები უდიდეს გავლენას ახდენენ. ამიტომ მათი ასეთი წინსვლა იმითაც არის განპირობებული, რომ ბოლო წლებში დასავლეთ ევროპის ქვეყნებში კარგი კონიუნქტურა არსებობდა.

# "ყაზტრანსგაზ-თბილისმა" გაზის წყალგამაცხელებელი აპარატის სარგებლობის წესები გამოაქვეყნა

როგორც კომპანიიდან გვაცნობეს, წყალგამაცხელებელი აპარატის ჩართვამდე აუცილებლად უნდა შემოწმდეს საკვამურის წევა და სათავსის ვენტილაციის ხარისხი.

"თუ ანთებული ასანთის ალი არ შეიტაცება გამაცხელებლის თავსაფრის ქვეშ და იხრება უკანა მხარეს, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ საკვამურში საკმარისი წევა არ არის. სავენტილაციო არხის გისოსზე ქაღალდის თხელი საფენის მიდებისას, იგი მჭიდროდ უნდა მიეკრას გისოსს და გაჩერდეს ამ მდგომარეობაში, თუ არ გაჩერდა ე.ი. წევა არ არის საკმარისი. ასეთ პირობებში წყალგამაცხელებლით სარგებლობა კატეგორიულად აკრძალულია," - აცხადებენ კომპანიაში.

"ყაზტრანსგაზ-თბილისის" ინფორმაციით, კატეგორიულად დაუშვებელია სუფთა ჰაერის მიწოდების შეფერხება იმ სათავსისთვის, სადაც დამონტაჟებულია გამაცხელებელი აპარატები, რადგან ეს სათავსში ჰაერცვლის შეზღუდვას იწვევს. წყალგამაცხელებლით სარგებლობა დაუშვებელია გაუმართავი ავტომატიკის პირობებშიც, წყლის დაბალი წნევის ან სხვა ტიპის უწესრიგობის შემთხვევაში. წყალგამაცხელებლებში გაზის არასრული წვის დროს გამოიყოფა ნახშირჟანგი -მომწამლავი აირი CO, რომლის დაგროვება და შესუნთქვა სასიკვდილო შედეგით მთავრდება.

საკვამურში წევის არარსებობის შემთხვევაში, აბონენტმა უნდა მიმართოს შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციებს ან გაზის რაიონულ ბიზნეს ცენტრებს: ტელეფონებზე: სანზონა - 60 33 66, გლდანი - 24 78 63, დიღომი - 51 59 46, ჩუღურეთი - 96 35 77, საბურთალო - 48 24 33, ვაკე - 23 27 87, მთაწმინდა - 93 64 42, ისანი - 48 24 34, სამგორი - 76 61 81, ნუცუბიძე - 30 24 51, დიდუბე - 35 57 15, კრწანისი - 72 40 50, ვაზისუბანი - 78 27 40, ნაძალადევი - 56 49 77.

**ინტერპრესნიუსი**

## მორის ბეჟარის დასი

მორის ბეჟარის მსოფლიოში აღიარებული საბალეტო დასი - "ბეჟარ ბალე ლოზან" მოსკოვში პეტრე ჩაიკოვსკის საკონცერტო დარბაზის სცენაზე "რჩეულს" სამი საღამოს განმავლობაში წარმოადგენს.

აღიარებულ ბალეტმაისტერს 2007 წლის იანვარში 80 წელი უსრულდება, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძველებურად ბალეტითაა დაკავებული. ბეჟარი სცენაზე დგას 1948 წლიდან, ხოლო საბალეტო სამყაროს 1950 წლიდან უდგამს სპექტაკლებს.

ბეჟარმა შექმნა სპექტაკლები პეტრარკაზე, დიონისეზე, ჩაპლინზე, დედა ტერეზაზე, ფედერიკო ფელინიზე, საფრანგეთში კინომატოგრაფიის გამოგონების ასი წლისთავზე.

"იმდენი სპექტაკლი მაქვს შექმნილი, ვერც კი ვითვლი", - აცხადებს ქორეოგრაფი, რომელიც ყველაზე უკეთ სარეპეტიციო დარბაზში გრძნობს თავს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

## რუბცოვსკის თეატრი

რუსეთის ალტაის მხარის რუბცოვსკის თეატრი დრამატურგ ალა ზუბოვას პიესის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის მეუღლის, რაისა გორბაჩოვას შესახებ სპექტაკლის რეპეტიციებს იწყებს. თეატრის რეჟისორის სტანისლავ სპივაკის ინფორმაციით, ამ სპექტაკლის დადგმის წინადადება მას კულტურისა და კინემატოგრაფიის ფედერალურმა სააგენტომ, მიხეილ გორბაჩოვის თხოვნით შესთავაზა. აღსანიშნავია, რომ რაისა გორბაჩოვა წარმოშობით, ალტაის მხრიდან იყო. იგი რუბცოვის რაიონის ვესელოიარსკში დაიბადა. სპექტაკლი რაისა გორბაჩოვას 75 წლისთვისადმია მიძღვნილი. 2007 წლის იანვარში მას 75 წელი შეუსრულდებოდა. რაისა გორბაჩოვას როლს მსახიობი ალა ბოროდინა შეასრულებს.

*ჯი-ეიჩ-ენი*




## ალმოდოვარი - უპირველესი პრეტენდენტი



ესპანელი რეჟისორის პედრო ალმოდოვარის ფილმი Volver ("დაბრუნება") წარდგენილია წლევანდელ ევროპული კინოჯილდოების 6 ნომინაციაზე. Volver-ს და გერმანულ ფილმს The Lives Of Others-ს მთავარი ჯილდოს მოპოვების თანაბარი შანსები აქვთ. ეს ორი ფილმი უფრო ახლოს არის გამარჯვებასთან, ვიდრე რეჟისორ კენ ლოუჩის The Wind That Shakes The Barley, რომელიც წარდგენილია ხუთ ნომინაციაზე. ის წელს კანის ოქროს პალმის რტოს დაეუფლა.

ალმოდოვარის გახმაურებულ კომედია-დრამაში მთავარ როლს პენელოპა კრუზი ასრულებს. ამ ფილმში შესრულებული როლით კრუზი ნომინირებულია საუკეთესო მსახიობის ნომინაციაზე, მას შემდეგ, რაც კანის ფესტივალზე იგივე ნომინაციაში გაიმარჯვა.

კენ ლოუჩი და პედრო ალმოდოვარი - ორი დიდი და ნიჭიერი ევროპელი რეჟისორი კონკურენტებად გვევლინებიან საუკეთესო რეჟისორის ნომინაციაზე. წელს ევროპული ფილმების დაჯილდოების ცერემონიალი ვარშავაში 2 დეკემბერს ჩატარდება. შარშან საუკეთესო ევროპული ფილმის წოდება მიიღო ავსტრიელი რეჟისორის მაიკლ ჰენეკის თრილერმა Cache.

## ტომ კრუზმა United Artists-ის აღორძინება გადაწყვიტა

ჰოლივუდის ვარსკვლავი ტომ კრუზი ჰოლივუდის სტუდია United Artist-ის თანამფლობელი გახდა. თავის საქმიან პარტნიორ პოლ ვაგნერთან ერთად ტომ კრუზმა ცნობილი სტუდიის აღორძინება გადაწყვიტა, რომელიც უკვე 80-წელია არსებობს და დაარსებულია კინომსახიობების მიერ იმისთვის, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს მსხვილი ბიზნესის კონტროლს კინოსტუდიაში.

ბოლო 26 წლის განმავლობაში ფილმებმა ტომ კრუზის მონაწილეობით მას 6 მილიარდი დოლარი მოუტანა. პოლ ვაგნერთან ერთად ტომ კრუზი ფილმ "შეუსრულებელი მისია-3"-ის გადაღებებზე მუშაობდა. როგორც კულუარებიდან აცხადებენ, კინოსტუდიის სახით მსახიობი ძალიან ძნელ დავალებას შეეჭიდა. იგი ყოველწლიურად ოთხ ფილმს გამოუშვებს, ხოლო პოლ ვაგნერი ფირმის გენერალური მმართველი გახდება.

კომპანია United Artists-ი 1919 წელს მსახიობებმა ჩარლი ჩაპლინმა, დუგლას ფერბანქსმა, მერი პიქფორდმა და რეჟისორმა დევიდ გრიფიტმა შექმნეს. სწორედ ამ კინოსტუდიაში დაიწყო ბევრი ჰოლივუდის ვარსკვლავის კარიერა. ბოლო 20 წლის განმავლობაში სტუდია ფაქტობრივად არ ფუნქციონირებდა. ახლა ტომ კრუზი და პოლ ვაგნერი პირობას დებენ, რომ სტუდიას ააღორძინებენ და შექმნიან ისეთ ატმოსფეროს, სადაც ახალი მსახიობებისა და რეჟისორების ნიჭს გამოამჟღავნებენ.

როდესაც ჩარლი ჩაპლინმა და მისმა პარტნიორებმა United Artists-ი დააარსეს, ამ ბიზნეს-პროექტზე ამბობდნენ: "ფსიქოფატებმა საგიჟეთი ხელში ჩაიგდეს", მაგრამ იდეამ გაამართლა. ადრე კინოსტუდია სულ სხვანაირი იყო, ვიდრე ახლაა. გაზეთ Los Angeles Times-ის ჟურნალისტს კენეტ ტარანი ტომ კრუზისა და პოლ ვაგნერის შესაძლებლობებში დარწმუნებული არ არის.

"შედეგის წინასწარმეტყველება შეუძლებელია. პოლ ვაგნერი ძალიან ნიჭიერი ბიზნესმენია, თუმცა ძნელი სათქმელია, რის გაკეთებას შეძლებს იგი. შეიძლება მათ შეცვალონ საქმის მდგომარეობა, თუმცა ჰოლივუდში ყოველთვის უკეთესია ხალხის გაკვირვება, ვიდრე იმედის გაცრუება", განაცხადა კენეტ ტარანმა.

სარისკო ბიზნეს-გეგმის რეალიზებას ისიც დაემატა, რომ ტომ კრუზმა კომპანია Paramount-ი დატოვა, სადაც ბოლო წლების განმავლობაში მუშაობდა. მისმა ასეთმა საქციელმა მსახიობის კრიტიკა გამოიწვია, თუმცა როგორც კრუზმა აღნიშნა, ეს გადაწყვეტილება დიდი ხნის წინ ჰქონდა მიღებული.

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ 18 ოქტომბერს გაზეთ "24 საათში" მოძრავი (მობილური) ხმის ჩამწერი სტუდიის შესყიდვის მიზნით გამოცხადებული განმეორებითი ტენდერის განცახდებაში შესული ცვლილებები:

მოძრავი (მობილური) ხმის ჩამწერი სტუდია აღჭურვილი უნდა იყოს:

**მიკროფონი - 3 ცალი**
- პროფესიონალური
- კონდესატორული მიკროფონი
- კარდიოდა
- წრიული, რვიანი
- 20 ჰც - 20 კჰც
- 200 ომი > 16 мВ/Па (-36 ჰბგ) > 48გ
- ანტივიბრაციული საკიდი
- ალუმინის კეისი
- **მიკროფონი - 3 ცალი**
- პროფესიონალური
- ინსტრუმენტალური
- კონდესატორული მიკროფონი
- კარდიოდა,
- 20 ჰც - 20 კჰც , 48 გ

**ყურსასმენი - 1 ცალი**
- ყურსასმენი High-End ღია ტიპის (circumaural-თავსდება ყურების გარშემო)
- 15-28.000ჰც, 120 ომი, SPL 103dB

**წინა გამადლიერებლი - 1 ცალი**
- წინაღობა (300 ომი, 600 ომი, 1,2 კ.ომი, 2,4 კ.ომი),
- ორმაგი ოპტიკური კომპრესორი,
- S-PDIF და AES-EBU (44,1-96 კჰც),
- ფანტომური კვება 48V, 20hc-40khc, SN 110 dB, L

**წინა გამადლიერებელი-1 ცალი**
- 8-არხიანი წინა გამაძლიერებელი ა/ც კონვერტორი
- ADAT გამოსასვლელით,
- ფანტომური კვება 48V

**აუდიო ინტერფეისი**
- აუდიო ინტერფეისი
- 18 შესასვლელი და 14 გამოსასვლელი არხი
- 24-ბიტი / 192 კჰც
- SPDIF, ADAT შესასვლელი (8 არხი)
- 4 ანალოგური გამოსასვლელი 24-ბიტი / 96 კჰც

**დინამიკი კომუტაციისათვის - 2 ცალი**
აქტიური სტუდიური აკუსტიკური სისტემა კომუტაციისათვის

**დინამიკი მონიტორი - 2 ცალი**
- სტუდიური მონიტორები, 130ვტ,
- 40ჰც - 24 კჰც

**კომპიუტერი**
- ეკრანი 19" LCD
- დედა პლატა - ASUS, INTEL 955 CHIP
- პროცესორი - DUAL CORE INTEL P4D 3 GH
- ოპერატიული მეხსიერება - DDR2 2 x 1024
- ვინჩესტერი - SATA2 4X160
- DWD + RW
- ROWER SUP 500 WATT
- RACK CASE
- VGA GEFORCE NX 6200 128 DDR2
- UPS 2 Kwt 1 სთ. მოქმედების დრო

**კომპიუტერი:**
- "ნოუთბუკი", Mac G3-დან,
- MacOs 9.2.2-დან
- გარე მეხსიერებით მყარ დისკზე 120 გბ

**მიკროფონის სადგამი** - მოსახრელი, დასაკეცი, კომპაქტური - 6 ცალი

**მიკროფონის დამცავი ბადე** - 6 ცალი

**დენის კაბელი**
- 100 მეტრი
- კვეთა 3X2,5

**პროფესიონალური მიკროფონის კაბელი ხმაურის დაბალი დონით**
- 400 მეტრი

**მულტიკორი 8 არხიანი** - 10 მეტრი

**დენის წყარო** - 600ვტ, აკუმულატორი (140ა/სთ, 12ვ)

**მანქანის ავეჯი**
სატრანსპორტო კეისები შესაბამის აპარატურაზე

**ავტომანქანა მაღალი გამავლობის**
- ძრავი - 2.0 დან 2,5 ჩათვლით, დიზელი
- 2 საავარიო დამცავი საჰაერო ბალიში
